

International bilingual journal in  
Humanities & social Sciences

# Millennium

## მილენიუმი

Academy for Digital  
Humanities - Georgia

Vol.2  
2024

The Peer-reviewed Bilingual Scientific Online Journal of the Academy for Digital Humanities

in Humanities and Social Science

დიגיტალური ჰუმანიტარის აკადემია - საქართველოს

ორენოვანი საერთაშორისო ახალგაზრდული სამეცნიერო რეფერირებადი ონლაინჟურნალი

# მილენიუმი

# Millennium

**Volume 2**

Tbilisi / თბილისი

2024

The peer-reviewed bilingual scientific online journal **Millennium** was initiated by the founders of the Academy for Digital Humanities and is designed for young researchers working in Humanities and Social Sciences – master students, doctoral students and postdocs. Millennium aims to promote the academic development of a new generation of scientists by creating an academic platform for young researchers working in the Humanities and Social Sciences to publish scientific papers.

დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგუური სამეცნიერო ჟურნალი „მილენიუმი“ დაარსდა დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის დამფუძნებელთა მიერ და განკუთვნილია ჰუმანიტარიისა და სოციალურ მეცნიერებებში მოღვაწე ახალგაზრდა მკვლევართათვის - მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტებისათვის. ჟურნალი „მილენიუმი“ მიზნად ისახავს მეცნიერთა ახალი თაობის აკადემიური განვითარების ხელშეწყობას - ჰუმანიტარულ დარგებსა და სოციალურ მეცნიერებებში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის აკადემიური პლატფორმის შექმნას სამეცნიერო ნაშრომების გამოსაქვეყნებლად.

**Scientific Council:**

Chairman of the Scientific Council: Manana Tandaschwili (Germany)

Members of the Scientific Council: Jost Gippert (Germany), Gerd Carling (Germany), Iryna Gurevych (Germany), Sergey Kim (Switzerland), Emzar Jgerenaia (Georgia), Vakhtang Litcheli (Georgia), Nana Loladze (Georgia), Rati Skhirtladze (Georgia)

Secretary of the Scientific Council: Sarah Dopierala (USA)

**სამეცნიერო საბჭო:**

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: მანანა თანდაშვილი (გერმანია)

სამეცნიერო საბჭოს წევრები: იოსტ გიპერტი (გერმანია), გერდ კარლინგი (გერმანია), ირინა გურევიჩი (გერმანია), სერჯეი კიმი (შვეიცარია), ემზარ ჯგერენაია (საქართველო), ვახტანგ ლიჩელი (საქართველო), ნანა ლოლაძე (საქართველო), რატი სხირტლაძე (საქართველო).

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: სარა დოპიერალა (აშშ)

**Editorial Board:**

Mariam Kamarauli (Editor-in-Chief), Eka Kvirkvelia (Editor), Mzia Khakhutaishvili, Maia Kuktchishvili, Ketevan Datukishvili, Mariam Rukhadze, Giorgi Jgharkava (Executive Secretary), Mariam Gobianidze, Zviad Zalikian.

**სარედაქციო საბჭო:**

სარედაქციო საბჭო: მარიამ ყამარაული (მთავარი რედაქტორი), ეკა კვირკველია (რედაქტორი), მზია ხახუტაიშვილი, მაია ქუჭიშვილი, ქეთევან დათუკიშვილი, მარიამ რუხაძე, გიორგი ჯღარკავა (აღმასრულებელი მდივანი), მარიამ გობიანიძე, ზვიად ზალიკიანი.



დიგიტალური  
ჰუმანიტარიის  
აკადემია

© Academy for Digital Humanities - Georgia  
© დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემია - საქართველო

ISSN 2960-9887 (Online)

## Content / სარჩევი:

### I. Digital Kartvelology / დიგიტალური ქართველოლოგია

**Giorgi Jgharkava**, *Digital Processing of Proverbs in Kartvelian Languages – Theoretical and Technological Framework* 5

გიორგი ჯღარკავა, ქართველურ ენათა ანდაზების კვლევა ციფრულ ეპოქაში – თეორიული და ტექნოლოგიური ჩარჩო

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7991>

**Mariam Kamarauli**, *Digital Methods of Comparative Manuscript Research: The Martyrdom of St. Febronia* 44

მარიამ ყამარაული, ხელნაწერთა შედარებითი კვლევის დიგიტალური მეთოდები: წმ. ფებრონიას წამება

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7992>

**David Maisuradze**, *Georgian Paleographic Fonts and their Role in Scientific Studies* 66

დავით მაისურაძე, ქართული კალიგრაფიული შრიფტები და მათი მნიშვნელობა სამეცნიერო კვლევებისათვის

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7993>

### II. Corpus Linguistics / კორპუსლინგვისტიკა

**Mariam Gobianidze**, *The Issue of Equivalence of Aphorisms in the English Translations of Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin" (based on one aphorism)* 84

მარიამ გობიანიძე, აფორიზმის ეკვივალენტობის საკითხი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში (ერთი აფორიზმის მაგალითზე)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7994>

**Julian Hasche**, *Corpus-linguistic Analysis of Verba Sentiendi in „Vepxistqaosani“ in Georgian and Basque* 102

იულიან ჰაშე, გრძნობა-აღქმის ზმნების კორპუსლინგვისტური ანალიზი „ვეფხისტყაოსნის“ დედანსა და პოემის ბასკურ თარგმანში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7997>

**Mariam Rukhadze**, *Semantical Analyses of Deverbal Functional Elements from a Corpus-linguistic Point of View* 119

მარიამ რუხაძე, ნაზმნარი ფუნქციური ელემენტების სემანტიკური ანალიზი კორპუსლინგვისტურ ჭრილში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7999>

### III. Language Technologies / ენის ტექნოლოგიები

**Marc-Daniel Rahn**, *Can Counting Words make Sense? A Simple Application of Visual Tools for Basic Machine Learning in Linguistics* 138

მარკ-დანიელ რანი, აქვს თუ არა სიტყვების დათვლას აზრი? ვიზუალური ხელსაწყოების მარტივი გამოყენება საბაზისო მანქანური სწავლებისათვის ლინგვისტიკაში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8000>

### IV. Political Linguistics / პოლიტიკური ლინგვისტიკა

**Tatia Tstetskhladze, Anastasia Kamarauli**, *Contemporary Georgian Political Speech from Gender and Party Perspectives* 160

თათია ცეცხლაძე, ანასტასია ყამარაული, თანამედროვე ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველება გენდერულ და პარტიულ ჭრილში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8002>

### V. Comparative literature studies / შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

**Nino Sabadze**, *The Problem of the Face of the Dragon in Caucasian and European Mythological-epic texts* 194

ნინო საბაძე, გველეშაპის სახის პრობლემა კავკასიურ და ევროპულ მითოეპიკურ ტექსტებში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8003>

### VI. History / ისტორია

**Ioseb Schengelia**, *On the History of a Castle in Samegrelo (Chakvinji Castle)* 215

იოსებ შენგელია, ერთი ციხესიმაგრის ისტორიისათვის სამეგრელოში (ჭაკვინჯის ციხე)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8004>

# Digital Processing of Proverbs in Kartvelian Languages – Theoretical and Technological Framework

Giorgi Jgharkava

(Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7991>  
[giorgi.jgharkava@tsu.ge](mailto:giorgi.jgharkava@tsu.ge) || ORCID: [0000-0002-4979-3019](https://orcid.org/0000-0002-4979-3019)

**Abstract:** One common aspect of intangible legacy is language. Texts with a variety of genres and contents are the tools through which language is realised. Proverbs should receive particular consideration among these tools since they bear distinctive national characteristics. The creation of a database of proverbs of the Kartvelian languages (Georgian, Megrelian, Laz and Svan) and the implementation of linguocultural research using this database is especially interesting and topical, because it proves the genetic unity of these languages and the existence of a common cultural-mental and linguistic space of the Georgian people. The Kartvelian languages, as well as communities, are closely related. Therefore, essential differences between the proverbs of the Kartvelian languages are rare. Differences are due to the geographical location, local rites and customs, specifically toponyms and anthroponyms, as well as other local features. All this has been reflected in the proverbs. The comparison and harmonisation of Kartvelian proverbs based on their semantic equivalence is a significant resource for interdisciplinary research. The theoretical and technological framework for the digital processing of proverbs in the Kartvelian languages are discussed in this paper.

**Keywords:** Proverbs, Kartvelian Languages, Digital Processing of data

Language is a universal form of intangible heritage. The means of realization of language are texts of diverse genres and content. Out of these, special attention should be paid to proverbs because they are marked with peculiar national features. Proverbs represent specific aspects of life, culture and history of a given nation. Proverbs are distinguished by the ability to preserve the most ancient encoded information. Therefore, research of proverbs is important for the study of national intangible culture and for further development and promotion of the given field. Human wisdom and the system of perspectives concentrated in proverbs determine the core nature of a certain culture. Thus, the structural-semantic analysis of proverbs demarcates the general picture built upon the common beliefs, viewpoints and global perspectives of a certain society.

Creation of a database of proverbs of Kartvelian (Georgian, Megrelian, Laz and Svan) languages and implementation of linguocultural research using this database is especially interesting and topical, because it proves the genetic unity of Kartvelian languages and the existence of a common cultural-mental and linguistic space of the Georgian people. Kartvelian languages, as well as communities, are closely related. Therefore, essential differences between the proverbs of Kartvelian languages are rare. Differences are due to the geographical location, local rites and customs, specifically toponyms and anthroponyms, as well as other

local features. All this has been reflected in the proverbs. Comparison-harmonization of Kartvelian proverbs based on their semantic equivalence is a significant resource for interdisciplinary research, since proverbs are interesting not only linguistically, but also from the viewpoint of folklore, ethnography, ethnopsychology, sociolinguistics, psycholinguistics, translation and cultural studies etc. A proverb represents important empirical material for general typological research as well, because a proverb is characterized by isomorphism and allomorphy, variance and invariance.

In the modern digital age, the acquisition and processing of relevant empirical material is strongly tied to the use of the latest technologies and methods, which is why interdisciplinary studies based on extensive empirical material are moving to a new stage. Considering the recent scientific literature created in the field of Paremiology (Moreno 2005; Mieder 2010, 2013, 2022; Coinnigh 2014; Lewandowska, Antos 2014; Pavlović 2016; Sergienko 2016 etc.), it is clear that the existence of digital resources of proverbs and the study of paremies by corpus linguistic methods open up new research perspectives. Against the background of all the above, the creation of an electronic database of Kartvelian proverbs is important not only for the development of thematic corpora, but also for the implementation of corpus-based and/or corpus-driven studies. Theoretical and technological framework for digital processing of proverbs in Kartvelian languages are discussed in the paper.

# ქართველურ ენათა ანდაზების კვლევა ციფრულ ეპოქაში – თეორიული და ტექნოლოგიური ჩარჩო

გიორგი ჯღარკავა

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7991>

[giorgi.jgharkava@tsu.ge](mailto:giorgi.jgharkava@tsu.ge) || ORCID: [0000-0002-4979-3019](https://orcid.org/0000-0002-4979-3019)

## შესავალი

ანდაზა განსაკუთრებული ენობრივ-კულტურული და მენტალური ფენომენია, რის გამოც, ანდაზის კვლევა მნიშვნელოვანი და აქტუალურია არა მხოლოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისით, არამედ სხვა დისციპლინათა პერსპექტივიდანაც; მათ შორის წამყვანი ადგილი ლინგვისტურ ანალიზს უჭირავს, რადგან ენაშია გაცხადებული ერის ყოფა-ცხოვრების, ისტორიისა და კულტურის სპეციფიკური ნიშნები. ანდაზა უძველესი კოდური ინფორმაციის შემცველია. ამავდროულად, იგი ხალხური ზეპირსიტყვიერების ისეთი ჟანრია, რომელიც ზეპირმეტყველებაში დღესაც გვეძლევა. ანდაზაში კონცენტრირებულია საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, სიბრძნე, მაღალხეობრივი და აღმზრდელობითი დარიგებები. ანდაზებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური მორალი და შეგონება ხშირად კულტურულ-სპეციფიკური ნიშნითაც არის შეფერილი, რაც იძლევა საშუალებას ერთმანეთს შეერწყას ანდაზისთვის ბუნებრივი იზომორფიზმი და ალომორფიზმი, ვარიანტულობა და ინვარიანტულობა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ქართველურ ენათა ანდაზებისა და მათში ასახული კულტურულ-მენტალური ფენომენების შედარება-ზეპირისპირებითი ანალიზი და საერთო-ქართველური ანდაზური ფონდის კომპლექსური კვლევა.

ანდაზა, როგორც ინტერდისციპლინური ფენომენი, დიდი ხანია მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესწავლის ობიექტია. ამა თუ იმ ენის ანდაზურ ფონდში განსხვავებულ ხალხთა და კულტურათა არსებითი მახასიათებლებია ასახული, რის გამოც ანდაზების მიმართ ინტერესი დღემდე არ განელეებულა. ანდაზების ინტერდისციპლინური შესწავლა დღესაც აქტიურად მიმდინარეობს, რაზედაც ამ უკანასკნელ ხანებში შედგენილი ბიბლიოგრაფიებიც მიუთითებს, რომლებშიც პარემიოლოგიის (resp. ანდაზათმცოდნეობის) დარგში შექმნილი



ასეულობით სამეცნიერო ნაშრომია გაერთიანებული<sup>1</sup>. ამასთან, პარემიოლოგიური კვლევების აქტუალურობას ადასტურებს ისიც, რომ არსებობს „პარემიოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია“ (AIP-IAP – International Association of Paremiology), რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად იმართება ინტერდისციპლინური კოლოკვიუმი ანდაზების თემატიკაზე (<http://www.colloquium-proverbs.org/icp/en/>). უცხოენოვანი, უმეტესწილად ბოლოდროინდელი, სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა ნათლად აჩვენებს, რომ სხვადასხვა ენის ანდაზური ფონდის ანალიზისას ყურადღება მახვილდება ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორცაა ანდაზების სემიოტიკური და სემანტიკური (Lundberg 1958; Norrick 1985; Grzybek 2014), სტრუქტურული (Levin 1968; Silverman-Weinreich 1981; Coinnigh 2014), პრაგმატიკული და სტილისტიკური (Briggs 1985; Jesenšek 2014), კოგნიტური (Moreno 2005; Lewandowska, Antos 2014;) ასპექტები. ცალკე შესწავლის ობიექტია ანდაზები ლიტერატურასა (Dent 1984; Bryan, Mieder 1994, 1997; Mieder 2010, 2013) და მასმედიაში (Solano 2010; Konstantinova 2014).

ქართველურ ენათა ანდაზების შეკრებასა და მეცნიერულ კვლევას მდიდარი ისტორია აქვს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ანდაზებისაგან განსხვავებით, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზები, მით უფრო კონტრასტული ანალიზის პრინციპებით, ნაკლებადაა შესწავლილი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ცალკეულ ნაშრომს. გარდა ამისა, თანამედროვე პროგრამული და ტექნოლოგიური საშუალებები ანდაზების სისტემური შესწავლის ახალ შესაძლებლობებს აჩენს. ამიტომ, საშურია, ერთი მხრივ, ქართველურ ენათა ანდაზური ფონდის შედარებითი კვლევა საერთოქართველური ენობრივ-კულტურული სურათის სრულყოფის მიზნით; მეორე მხრივ, გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია ქართველურ ენათა პარემიოლოგიური მასალის ჩართვა საერთაშორისო ინტერდისციპლინური კვლევების კონტექსტში, რაც, კვლევის შედეგების სანდოობის გაზრდასთან ერთად, ქართველოლოგიის მეტ ინტერნაციონალიზაციასაც უზრუნველყოფს.

### 1. საანალიზო ემპირიული მასალის მიმოხილვა

ემპირიული მასალის შეკრება და გამოცემა დიდად უწყობს ხელს მეცნიერულად მის დამუშავებასა და შესწავლას. ამ თვალსაზრისით არ არის ერთგვაროვანი სურათი ქართველურ ენათა ანდაზებს შორის; კერძოდ, ქართული

<sup>1</sup> მაგალითისთვის იხ. Mieder 2022.

ანდაზების ბეჭდური გამოცემები და მონაცემთა ბაზები ჭარბობს სხვა ქართველური ენებისას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების შეკრება და გამოცემა დიდი ხნის წინ დაიწყო, მთლიანად ქართველური ენები ამ კუთხით ჩამორჩება სხვა, განსაკუთრებით ევროპულ ენებს<sup>2</sup>.

### 1.1 ქართველურ ენათა ანდაზების შეკრებისა და გამოცემის ისტორია (მოკლე მიმოხილვა)

ქართული ანდაზების შეკრება და გამოცემა მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული ზეპირსიტყვიერების შესწავლასთან<sup>3</sup>; მცირე კრებულები პირველად XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე გამოჩნდა. ამ პერიოდში ქართული ანდაზების შეკრება-გამოცემა დ. ბაგრატიონის სახელს უკავშირდება. მის მიერ შეგროვებული ასზე მეტი ქართული „გალექსილი ანდაზა“ ხელნაწერთა კოლექციების სახით ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის S3723 ფონდში. მოგვიანებით, მ. ჩიქოვანმა მიაგნო დ. ბაგრატიონის „გალექსილი ანდაზების“ დამატებით კიდევ რამდენიმე ხელნაწერს და საგანგებოდ შეისწავლა ისინი (ჩიქოვანი 1948)<sup>4</sup>.

მე-19 საუკუნეში განსაკუთრებით გააქტიურდა ქართული ანდაზების შეკრება-გამოცემისა და მეცნიერული შესწავლის საქმე, რომელშიც მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: დ. ჩუბინაშვილი<sup>5</sup>, პლ. იოსელიანი<sup>6</sup>, პ. უმიკაშვილი<sup>7</sup>, რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე<sup>8</sup>, ს. მერკვილაძე<sup>9</sup> და სხვები. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის შესწავლამ ცხადყო, რომ იქ არსებულ ცალკეულ ხელნაწერებში არა-

<sup>2</sup> ევროპული ენების ანდაზების გამოცემათა სტატისტიკა ასახულია ბოლოდროინდელ ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში (მაგალითისთვის იხ. Mieder 2012, 2022).

<sup>3</sup> ქართული ანდაზების შეკრების მდიდარი ისტორია (1829-1901 წლების მონაცემები) მოცემულია ქართული ფოლკლორის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში (ვირსალაძე და სხვები 1973).

<sup>4</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ზანდუკელი 1961.

<sup>5</sup> დ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის 1846 და 1863 წლებში გამოქვეყნებული ანდაზების ნიმუშები.

<sup>6</sup> 1835 წლის 30 სექტემბრით დათარიღებული ანდაზებისა და გამოცანების რვეული, რომელიც პლ. იოსელიანს ეკუთვნის, 1948 წელს გამოაქვეყნა მ. ჩიქოვანმა.

<sup>7</sup> პ. უმიკაშვილის მიერ სხვადასხვა დროს შეკრებილი ფოლკლორული მასალა, მათ შორის, ანდაზები იხ. ნაშრომებში: უმიკაშვილი 1876, 1937, 1964.

<sup>8</sup> ჭავჭავაძესა და ერისთავს შეუკრებიათ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და გამოუციათ სახელწოდებით: „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“ (თფილისი, 1873).

<sup>9</sup> ფოლკლორისტ ს. მერკვილაძის მიერ გამოქვეყნებული ხალხური ანდაზები და გამოცანები ქართული ანდაზების ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი პუბლიკაციაა (იხ. მერკვილაძე 1898).

ერთი ფოლკლორული ნიმუში, მათ შორის ანდაზებიცაა წარმოდგენილი (ოქროშიძე 1948:405-421). ქართული ანდაზების ერთ-ერთი გამომცემელი დ. ჩუბინაშვილიცაა; 1846 წელს გამოქვეყნდა მისი „ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ“ (პირველი ნაწილი: პროზა), რომელშიც ანბანის რიგზე დალაგებული ქართული ანდაზებია მოცემული. შინაარსის უკეთ გასაგებად ზოგიერთ ანდაზას ახლავს დამატებითი კომენტარი (ჩუბინაშვილი 1846:378-394; 456-458).

ქართული ანდაზების შეკრების საქმეში ასევე განსაკუთრებული როლი შეასრულეს: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ<sup>10</sup>, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ<sup>11</sup>, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა; ამასთან, კავკასიის სასწავლო ოლქის რამდენიმე პერიოდულმა გამოცემამ: „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, „Сборник сведений о кавказе“ და სხვ<sup>12</sup>.

ანდაზების შეკრება-შესწავლის მიმართულებით მნიშვნელოვანია იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების როლიც. გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალებში („მოამბე“ „ივერია“, „ცისკარი“, „ჯეჯილი“) პერიოდულად იბეჭდებოდა ქართული ანდაზები. ჟურნ. „ცისკარში“ გამოქვეყნდა გალექსილი ქართული ანდაზები (148

<sup>10</sup> ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების როლზე ზეპირსიტყვიერების შესწავლის საქმეში მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საზოგადოების შექმნიდან მალევე ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, პეტრე უმიკაშვილს და სხვებს საგანგებოდ შეუდგენიათ „პროგრამმა ხალხური სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის“, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება და საუბარია როგორც ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრების მნიშვნელობაზე, ისე ჩამწერის მიერ საგანგებო წესების დაცვაზე, ზეპირსიტყვიერების ნაწარმოებთა კლასიფიკაციაზე და სხვ. (ვრცლად იხ. ოქროშიძე 1948:405-421).

<sup>11</sup> საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, სახელწოდებით „ძველი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით 1909-1915 წლებში გამოდიოდა. ჯამში დაიბეჭდა 4 ტომი; I, II და III ტომებში ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრთან ერთად ქართველურ ენათა ანდაზებიცაა წარმოდგენილი (იხ. ტ. I, განყოფ. IV, გვ. 97-100; ტ. II, განყოფ. IV, გვ. 344-349, განყოფ. V, გვ. 86-114; ტ. III, გვ. 276-307). აღსანიშნავია, რომ „ძველი საქართველოს“ I, II და III ტომებიდან ამოღებული მასალა ე. თაყაიშვილის რედაქტორობით ცალკეც დაიბეჭდა და მიეძღვნა აკაკი წერეთლის ხსოვნას (იხ. ხალხური სიტყვიერება, წიგნი I, 1915-1917).

<sup>12</sup> გარდა დასახელებული წყაროებისა, ქართული ანდაზები ხშირად ქვეყნდებოდა XIX-XX საუკუნეების პერიოდულ პრესაში. მაგალითისთვის იხ. ჟურნ. „Гусли“, №20, 1882 წ., გვ. 4; №24, 1882 წ., გვ. 13 (ბალანჩივაძე და სხვები 2019).

ერთეული) ამგვარი სათაურით: „სხუა და სხუა ანდაზანი ხმარებულნი ხალხთაგან“ („ცისკარი“, №2, 1853 წ., გვ. 43-58)<sup>13</sup>. ქართული ანდაზების შეკრებასა და გამოცემაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართველ საზოგადო მოღვაწე-მწერლებს: აკაკი წერეთელს<sup>14</sup>, იაკობ გოგებაშვილს, ვაჟა-ფშაველას<sup>15</sup>, ალექსანდრე ყაზბეგს, თედო რაზიკაშვილსა და სხვებს. ისინი არა მხოლოდ აგროვებდნენ ანდაზებს, არამედ აქტიურადაც იყენებდნენ პრაქტიკული საჭიროების მიხედვით. იაკობ გოგებაშვილი ხაზს უსვამდა ანდაზების დიდაქტიკურ შინაარსს, მათ საგანმანათლებლო მნიშვნელობას და პოპულარიზაციის მიზნით არაერთი ანდაზა ჩართო „დედაენაში“<sup>16</sup>.

ქართული ანდაზების სისტემატიზაცია მე-20 საუკუნეშიც ახალი ძალითა და შემართებით გაგრძელდა ამავე საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეთა – ალ. ხახანაშვილის, მ. კვლენჯერიძის, ივ. გომელაურის, ნ. კეცხოველის, გ. ლომთათიძის, ი. ქავთარაძის, ლ. მეტრეველის, დ. თურდოსპირელის, ე. გაბრიჩიძის, თ. სახოკიას, ალ. ღლონტის, ა. კანდელაკის და სხვათა ხელშეწყობითა და დაუღალავი მუშაობით. დიდძალი მასალაა შესული საქართველოს ეროვნულ არქივში შენახულ „ზეპირსიტყვაობის შემკრების წრის რეველში“ (დოკუმენტის მოცულობა 250 გვერდზე მეტია), რომელიც ცნობილ პედაგოგს ივ. გომელაურს XX საუკუნის დასაწყისში შეუდგენია. მისივე ხელნაწერ ტექსტში პირველივე გვერდზე ვკითხულობთ: „ქ. ჭიათურაში, სადაც მე თორმეტი წელიწადს ვიყავ ქართული ენის მასწავლებლად (1905-1917 წ.წ.), ხსენებულ წლებში შევადგინე

<sup>13</sup> XIX-XX საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ანდაზების შესახებ დამატებით იხ. ვირსალაძე და სხვები 1973.

<sup>14</sup> ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა 1871 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ა. წერეთლის წერილი, რომლის ადრესატია გაზეთის რედაქტორი. წერილის ავტორი მკითხველს ატყობინებს, რომ ალექსანდრე წერეთელს ჰქონია „ერთი ხელთნაწერი რეველი, რომელიც შეიცავს სხვა და სხვა ანდაზებს, შეკრებულს მამის მისის თ. გრიგოლ წერეთლისაგან. ეს ანდაზები ანაბანაზედ არიან დაწობილი“ (წერეთელი 1871:2-3).

<sup>15</sup> ძალზე საინტერესო მასალას შეიცავს ვაჟა-ფშაველას მიერ 1913 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში წარმოდგენილი ჩანაწერები „ფშაველი და მისი წუთისოფელი“. ეთნოგრაფიულ მოთხრობებთან ერთად ავტორს გამოქვეყნებული აქვს 167 ანდაზა (იხ. ტ. II, განყოფ. IV, გვ. 344-349).

<sup>16</sup> ანდაზების პოპულარიზაციას ემსახურება გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ცნობა ახალი ტიპის ლოტოს გამოგონების შესახებ. „ლოტო ანდაზებით“ იყო თამაშის სახეობა; კერძოდ, „ამ ლოტოში ციფრის მაგიერ ამოიკითხება პირველი ნახევარი ანდაზისა, ხოლო მეორე ნახევარი თვით ქალაღზეა დაწერილი, იმ ქალაღზე, რომელიც ურიგდება მოთამაშეებს... სასარგებლოც არის და სასიამოვნოცაო, ამ გვარს ლოტოზე ითქმის“ („ივერია“, №84, 1886 წ., გვ. 2).

წრე, რომლის წევრებსაც ჩემთან ერთად შეჰქონდათ თავიანთ სოფელში გაგონილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. იქიდან წამოსვლის შემდეგ მე გავავსე რვეული ჩემი შეკრებილი ლექსებით და ანდაზებით“ (საისტორიო ცენტრალური არქივის კოლ. 1446, №689). საქართველოს ეროვნული არქივი ინახავს აგრეთვე გ. ჟორდანიას პირად ფონდში დაცულ რამდენიმე ანდაზას (კოლ. 1813, №282, კოლ. 1813, №284).

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ცალკეული ანდაზები და ანდაზების კრებულები ხშირად კრიტიკის საგანი ხდებოდა. მაგალითად, ლ. მეტრეველის „ქართული ანდაზების“ გამოცემას (1926 წ.) მალევე გამოეხმაურა ა. ჭყონია გაზეთ „კომუნისტში“ 1926 წლის 15 იანვარს დაბეჭდილი წერილით. ავტორი კრებულში ზოგიერთი ანდაზის ჩართვას უარყოფითად აფასებდა; მისი თქმით, აღნიშნული ანდაზები სოციალურ უთანასწორობასა და ცრუმორწმუნეობას ქადაგებდა, ხელს უწყობდა ეროვნული შუღლის გაღვივებას (ჭყონია 1926:5)<sup>17</sup>. ლ. ლეჟავამ სპეციალური წერილი მიუძღვნა ქართული ანდაზების გამოცემის საქმეს. მეცნიერს მხედველობაში ჰქონდა თ. სვინტიძის მიერ შედგენილი „ქართული ანდაზები“ (1955 წ.); შემდგენელს მიუთითა გამოცემის რამდენიმე ნაკლზე; მათ შორისაა ერთი და იმავე ანდაზის გამეორება სხვადასხვა ადგილას, ანდაზების თვითნებური „შესწორება“: სიტყვათა კლება-მატება და მისთ. (ჟურნ. „მნათობი“, №7, 1956 წ., გვ. 177-181).

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე ქართული ანდაზები ბეჭდურად რამდენჯერმე გამოიცა. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი კრებულები: „რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები“ (შემდგენელი აღ. ღლონტი, თბილისი, 1957), „ქართული ანდაზები“ (შემდგენელი ა. კანდელაკი, თბილისი, 1959), „ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანები“ (ხალხური სიბრძნე V, ანდაზებისა და ლექსიკონის შემდგენელი ლ. ლეჟავა, თბილისი, 1965), „ქართული ანდაზები და გამოცანები“ (შემდგენლები ზ. თანდილავა და სხვები, ბათუმი,

<sup>17</sup> მაგალითისთვის, ა. ჭყონიას საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი ანდაზა: „თუ კაცსა ბედი აქვს, მოზვერიც დაუმაკდებო“ (ჭყონია 1926:5). კომუნისტური იდეოლოგიის გავლენით დაწერილი ზემოხსენებული კრიტიკული წერილის პარალელურად საინტერესოა ა. მაკარაძის რეცენზიაც, რომელიც აღ. ჩავლეიშვილის კრებულს „ანდაზები, აფორიზმები“ მიმოიხილავს. რეცენზენტი წერს: „ოცდამეხუთე განყოფილებაში წარმოდგენილია ანდაზა „თუ ნაკლოვანებებზე ილაპარაკებ, მეგობრები ნაკლები გეყოლება“ (მაკარაძე 1978:4). შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ კომუნისტური მორალი გვასწავლის, რომ ეს ასე არ უნდა იყოს“. ცხადია, ამგვარი ურთიერთსაწინააღმდეგო, ობიექტურობისგან დაცლილი და იდეოლოგიურად მოტივირებული კრიტიკა საინტერესოა მხოლოდ საკითხის კვლევის ისტორიის თვალსაზრისით.

1976), „ქართული ანდაზები“ (ჩაიწერა და დაამუშავა ვ. ხორნაულმა, თბილისი, 1984), „რჩეული ქართული ანდაზები“ (შემდგენელი კ. ჯორჯანელი, თბილისი, 2003), „ქართული ხალხური ანდაზები“ (რედაქტორები: ი. ბაქრაძე, რ. დარჩიაშვილი, თბილისი, 2008), „ქართული ანდაზები (ბრძნული გამონათქვამები)“ (ჩხენკელი და სხვები, თბილისი, 2009), „ქართული ანდაზები“ (შემდგენელ-რედაქტორი ლ. ანდრონიკაშვილი, თბილისი, 2014), „ქართული ანდაზები“ (თბილისი, 2016) და სხვ. საინტერესოა 2009 წელს დაბეჭდილი „მსოფლიოს ხალხთა ანდაზები და გამონათქვამები“, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის (ესპანური, ინდური, კორეული, თურქული, ფრანგული, უკრაინული და სხვ.) ანდაზებთან ერთად ქართული მასალაცაა შესული. კრებულში მოცემული ანდაზები დალაგებულია როგორც ცალკეული ქვეყნის მიხედვით, ისე თემატური პრინციპით (კალანდაძე 2009)<sup>18</sup>.

ზემოთ დასახელებულ კრებულებში მასალის წარმოდგენის ყველაზე გავრცელებული პრინციპია ანდაზების დალაგება ანბანის რიგზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამის პარალელურად სხვა მიდგომაც არსებობს. მაგალითად, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში გამოქვეყნებულია ზ. გ. ბილანიშვილის მიერ 1883-1887 წლებში სოფ. პატარძულში შეკრებილი ვრცელი ეთნოგრაფიული მასალა, მათ შორის, 600-ამდე ანდაზა, რომელთა ნაწილი თემატური პრინციპითაა დალაგებული. კერძოდ, გამოყოფილია: ა) სამეურნეო ანდაზები; ბ) ანდაზები ამინდსა და დროზე („ქველი საქართველო“, 1913 წ., ტ. II, განყოფ. V, გვ. 86-114). გარდა ამისა, ანდაზების თემატურად დალაგების ცდა წარმოდგენილია თ. ბეგიაშვილის „ქართულ ფოლკლორში“ (1941 წ.). უნდა აღინიშნოს ალ. ჩავლეიშვილის მიერ შედგენილი „ანდაზები, აფორიზმები“ (1977 წ.); მასში წარმოდგენილია სხვადასხვა თემაზე (სიკეთე, მეგობრობა, სამშობლო, სილამაზე და სხვ.) შექმნილი ანდაზები და აფორიზმები. შემდგენლის მითითებით, მასალა ამოკრებილია ქართულ და რუსულ ენებზე არსებული წყაროებიდან, ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურიდან. ამ კუთხით საინტერესოა აგრეთვე ვ. ჯავრიშვილის ნაშრომი „ანდაზები და ნაკვესები“ (1992 წ.), რომელშიც ავტორისეული ანდაზებია მოცემული. თემატიკის მიხედვით ანდაზების დაჯგუფების პრინციპი გამოყენებულია ბოლო დროს შექმნილ მონაცემთა ბაზაშიც (იხ. ბმული: <https://idioms.tsu.ge/>). უნდა შევნიშნოთ, რომ ანდაზების დალაგების ყველა პრინციპს აქვს დადებითი

<sup>18</sup> აღსანიშნავია, რომ უცხო ენათა ანდაზების პუბლიკაციები ქართულ პრესაში მე-19 საუკუნიდან დასტურდება. მაგ., გაზეთ „ცნობის ფურცელში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია ეგვიპტური (1898 წ.), თათრული (1899 წ.) და სხვა ანდაზები (ვირსალაძე და სხვები 1973:11-12).

და უარყოფითი მხარეები. მაგ., ანბანთრიგზე ან სემანტიკურ ბუდეებად დალაგებისას მცირედით განსხვავებული ერთი და იმავე შინაარსის ანდაზა შეიძლება რამდენჯერმე გამეორდეს. საინტერესოა, რომ ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ხალხური სიბრძნის V ტომში (1965:21-237)<sup>19</sup> წარმოდგენილ სემანტიკურად იდენტურ ანდაზებს ერთვის სპეციალური მინიშნებები, რათა მკითხველს შეეძლოს მარტივად მოძებნოს კონკრეტული ანდაზის მსგავსი სხვა ანდაზებიც, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შედარებით ნაკლებპოპულარულია ანდაზების დაჯგუფება მათი წარმოშობის დროის მიხედვით, რადგან უმეტეს შემთხვევაში ამგვარი კლასიფიკაცია მეტად პირობით ხასიათს ატარებს<sup>20</sup>.

1829-1901 წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი და გამოქვეყნებული ფოლკლორული ნიმუშები, მათ შორის, ანდაზები შესულია ქართული ფოლკლორის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში (ვირსალაძე და სხვები 1973). ამჯერად დავასახელებთ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ჩაწერილი დიალექტური თავისებურებების ამსახველი ანდაზების რამდენიმე პუბლიკაციას; ესენია:

ა) ს. გაჩეჩილაძის მიერ **იმერეთის** სოფ. წვევაში შეკრებილი და 1909 წელს გამოქვეყნებული „ანდაზები, ჩქარა სათქმელი<sup>21</sup> და ზმა“ (იხ. „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. I, გვ. 97-100).

ბ) **მესხური** ანდაზები და გამოცანები (შეაგროვა და 1895 წელს გამოსცა კ. გვარამაძემ)<sup>22</sup>.

გ) ა. კანდელაკის მიერ შედგენილი კრებულის („ქართული ანდაზები“, 1965 წ.) მეორე ნაწილში მოცემული მასალა ივ. ხორნაულს, ხალხური ზეპირსიტყვიერების დიდ მოამაგეს, **ფშავსა და ხევსურეთში** ჩაუწერია. მის მიერ შეკრებილი ანდაზები მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით იქცევა ყურადღებას

<sup>19</sup> წიგნში შესულია 3231 ანდაზა. როგორც V ტომის წინასიტყვაობიდან ირკვევა, წარმოდგენილი მასალა ემყარება 60 ნაბეჭდ და 50 ხელნაწერ წყაროს (ლექვავა 1965:5-16).

<sup>20</sup> ვფიქრობთ, რომ სამომავლოდ, ანდაზების კრებულების გამოცემისას, ოპტიმალური ვარიანტი იქნება მასალა დალაგდეს არა ანბანური ან თემატური პრინციპით, არამედ კონცეპტების მიხედვით. ამ საკითხზე პირველად ყურადღება მიგვაქცევინა ასოც. პროფესორმა ს. ოშიაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

<sup>21</sup> შესიტყვება „ჩქარა სათქმელი“ ავტორის მიერ გამოყენებულია ენის გასატეხის აღსანიშნავად.

<sup>22</sup> ვრცელი ემპირიული მასალა, კერძოდ, მესხეთსა და გურიაში შეკრებილი ანდაზები და სიტყვის მასალები კ. გვარამაძის ავტორობით მოგვიანებითაც გამოიცა (იხ. „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, 1913-1914 წ.წ., ტ. III, გვ. 276-307).

ცნობილი ქართული ანდაზების კუთხური ვარიანტები, შინაარსობრივად შეცვლილი და//ან დიალექტიზმების შემცველი ანდაზები და სხვ.

დ) ცალკე წიგნად არის გამოცემული ა. მსხალაძის **აჭარული ანდაზები** (1984 წ.). წიგნში შესულია როგორც ავტორის მიერ შეკრებილი, ისე ფოლკლორული კრებულებიდან თუ ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ფონდიდან ამოწერილი ემპირიული მასალა; აღსანიშნავია, რომ ანდაზებს ერთვის ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა განმარტებები.

ე) თ. შიოშვილის მონოგრაფიებში მოცემულია 26 **შავშური** (იხ. „შავშური ფოლკლორი“, 2016 წ.) და 90 **კლარჯული ანდაზა** (იხ. „კლარჯული ფოლკლორი“, 2017 წ.).

ქართველურ ენათა ანდაზების შეკრებისა და გამოცემის ისტორია, ქართულის გარდა, სხვა ქართველური ენების მონაცემების მიმოხილვასაც ითვალისწინებს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ალ. ცაგარლის განსაკუთრებით დიდი დამსახურება **მეგრული** ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებისა და შესწავლის საქმეში. 1834-1917 წლებში გამომავალ ჟურნალში – „Журнал Министерства народного просвещения“ (ЖМНП) – გამოქვეყნებულია ალ. ცაგარლის ვრცელი წერილი „1877 წლის ზაფხულში კავკასიის მხარეში მოგზაურობის შესახებ“. ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მოგზაურობის უმთავრესი მიზანი მეგრული მასალების შეგროვება იყო. ამ მოგზაურობის დროს მეცნიერს ზღაპრებთან, სიმღერებთან და სხვადასხვა გამონათქვამთან ერთად ანდაზებიც ჩაუწერია (ЖМНП, №194, 1877, გვ. 208-231). ალ. ცაგარლის შეგროვილი ნიმუშების ნაწილი რამდენიმე წლის წინ გამოსცა გამომცემლობა „იალონმა“ სახელწოდებით „მეგრული ხალხური ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, სიმღერები“ (2020 წ.). მასში შესულია 28 მეგრული ანდაზა.

ჩვენ მიერ დასახელებულ პერიოდულ გამოცემაში – „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ (СМОМПК) ქართულის გარდა შესულია **მეგრული** და **სვანური ანდაზებიც**, სულ 500-ამდე ერთეული. ქართულ, მეგრულ და სვანურ ანდაზებს პარალელურად ახლავს რუსული თარგმანი და ზოგჯერ სათანადო კომენტარებიც; აღსანიშნავია, რომ СМОМПК-ში წარმოდგენილი ქართველურ ენათა ანდაზები არა მხოლოდ თარგმნილია რუსულად, არამედ ზოგჯერ მათი რუსული შინაარსობრივი ეკვივალენტებიც არის დაძებნილი<sup>23</sup>. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდში ქართული

<sup>23</sup> СМОМПК-ს ცალკეული გამოცემების ელექტრონული ვერსიები იხ. ბმულზე: <https://books.google.com>



და მეგრული ანდაზები რუსულის გარდა სხვა უცხო ენაზეც ვრცელდებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში; მაგალითად, ცნობილია, რომ კავკასიის ხალხთა კულტურების შესასწავლად საქართველოში ჩამოსულმა ფრანგმა ჟურნალისტმა ჟიულ მურიემ თბილისსა და ზუგდიდში დიდი ხანი დაყო და ფრანგულ ენაზე მოგვიანებით გამოცემულ თავის წიგნში ჩართო რამდენიმე ქართული და მეგრული ანდაზის ფრანგული თარგმანი, ორიგინალის გარეშე (ბრეგაძე 2013, 2020). 1903 წელს პარიზში გამოვიდა თ. სახოკიას *Les proverbes Géorgiens* („ქართული ანდაზები“); შემდგენელ-გამომცემელს წარმოდგენილი აქვს ქართული ანდაზების ფრანგული თარგმანები. ცალკე გამოცემული ეს პუბლიკაცია ევროპაში უფრო ადრე ფრანგულ ჟურნალში „Revue des Traditions Populaires“ დაბეჭდილ მასალებს; კერძოდ, 818 ქართული ანდაზის ფრანგულ თარგმანს ორიგინალი ტექსტის გარეშე (ბრეგაძე 2020:416). ფრანგულ ენაზე გამოცემული ქართული ანდაზები თ. სახოკიას მიერ დალაგებულია თემატურ ჯგუფებად.

**მეგრული ანდაზების** 127 ერთეული მოცემულია ი. ყიფშიძის შედგენილ ქრესტომათიაში, რომელიც ახლავს რუსულ ენაზე გამოცემულ მეგრული ენის გრამატიკას (Кипшидзе 1914:418-463). თ. სახოკიას ჩაწერილი „მეგრული ანდაზები და გამოთქმები“ აერთიანებს გასული საუკუნის 900-იან წლებში მოძიებულ 436 ანდაზას<sup>24</sup>; ჩამწერ-შემდგენელ თ. სახოკიას ანდაზებისთვის დაურთავს ქართული შესატყვისები და ხშირ შემთხვევაში კომენტარებიც, რომელთა საშუალებით წარმოდგენილია შემდგენლის (თ. სახოკიას) ინტერპრეტაცია; ამასთან, ზემოაღნიშნულ მასალაში ასახულია ანდაზების ვარიანტულობა და სამეგრელოს არეალისთვის დამახასიათებელი ფორმათა ნაირგვარობა, რაც მეტ დირექტულებას სძენს მას. ამ ჩანაწერებიდან თ. სახოკიას 1897 წელს „მოამბეში“ (№10, გვ. 162) გამოუქვეყნებია 10 მეგრული ანდაზა შესაბამისი ქართული ვერსიით<sup>25</sup>. აღნიშნული მასალა სრულად მოგვიანებით, 1989 წელს, გამოაქვეყნა შ. აფრიდონიძემ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XXVIII ტომში (გვ. 240-271).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თ. სახოკიას წვლილი ქართული ზეპირსიტყვიერების შესწავლის საქმეში. ჯერ კიდევ 1889 წლიდან, ქართლში სოფლის მასწავლებლად მუშაობის პერიოდში, იგი გულმოდგინედ აგროვებდა ხალხში

<sup>24</sup> ჩანაწერების დედანი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის თ. სახოკიას ფონდში (№167, 314, 317).

<sup>25</sup> გამოცემულ მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებს ხშირად ახლავს ან იდეურ-სემანტიკურად ეკვივალენტური ქართული ანდაზა, ან შესაბამისი ანდაზის ქართული თარგმანი. აღნიშნულის გამო, ასეთ შემთხვევებში ნაშრომში ვიყენებთ ტერმინს „ვერსია“.

გაბნეულ ფოლკლორულ ნიმუშებს, მათ შორის, ანდაზებსაც. 1943 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში თ. სახოკია წერდა: „პირდაპირ აღმაფრთოვანა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვაობამ, ამ მრავალფეროვანმა და ამოუწურავმა ზღვამ ხალხის სიბრძნისამ... ქართულ მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავის მოყრისათვის ზრუნვა გადამეკცა კულტად, ჩემის სიცოცხლის მიზნად“ (სახოკია 1969:220)<sup>26</sup>. საინტერესოა ისიც, რომ თ. სახოკიას შეუგროვებია სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშები<sup>27</sup>, რომლის გამოცემაც ეთნოგრაფთა საზოგადოებას შემდგომი მეცნიერული შესწავლის მიზნით 1950-იან წლებში დაუპირებია, თუმცა, ცხადია, მაშინდელი ცენზურის პირობებში ეს ვერ მოხერხდა და აღნიშნულმა მასალამ მხოლოდ XXI საუკუნის დასაწყისში იხილა დღის სინათლე (კოტეტიშვილი 2005)<sup>28</sup>.

1990 წელს გამოქვეყნდა კ. სამუშიას მიერ ზუგდიდსა და მის მიმდებარე რაიონებში შეკრებილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომელთა შორისაც რამდენიმე ანდაზაცაა წარმოდგენილი შესაბამისი ქართული ვერსიით. აღსანიშნავია, რომ წიგნის ავტორი ანდაზის ნაცვლად იყენებს ტერმინს *სენტენცია*.

კ. დანელიასა და ა. ცანავას მიერ შედგენილ „ქართული ხალხური სიტყვიერების“ II ტომში შესულია 828 მეგრული ანდაზა. ანდაზები გაწყობილია ქართულ ანბანთრიგზე, თითოეულს ახლავს ქართული ვერსია (დანელია, ცანავა 1991:418-463).

2013 წელს ფ. ნადარაიამ გამოაქვეყნა 100 მეგრული ანდაზა სათაურით „მარგალური მოკოეფი“ („მეგრული ანდაზები“) („სამეგრელო-ზემო სვანეთი“, ცნობარი, მარტვილი, გვ. 35-39). ანდაზები აქაც ანბანთრიგზეა გაწყობილი, მოცემულია მხოლოდ მეგრულ ენაზე და არ ახლავს ქართული ვერსია.

<sup>26</sup> ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. თედო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული (1969 წ.).

<sup>27</sup> „ქართული უწმაწური ანდაზები და სიტყვა-თქმანი“, რომლის დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II; ფონდები: 145, 151, 167, 314-316), შ. აფრიდონიძის მიერ შეჯერებული ვარიანტების მიხედვით 2005 წელს გამოიცა კ. კოტეტიშვილის კრებულში „მოუკრეფავნი“; აქვეა დაბეჭდილი მეგრული სკაბრეზული ანდაზები და გამოთქმები.

<sup>28</sup> უნდა აღინიშნოს, რომ უწმაწური ლექსიკის წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლის მიმართ არაერთგვაროვანი აზრის მიუხედავად, ლინგვისტური კვლევებისთვის ყველა სახის მასალა, როგორც ენობრივი ფაქტი, თავისთავად საინტერესოა, რადგან „უწმაწური ლექსიკისა და ინვექტივის გამორიცხვა, როგორი მცირეც უნდა იყოს მისი ხვედრითი წილი, ენას „სტერილურად“ წარმოგვიდგენს და ამდენად, მის დამახინჯებულ სურათს მოგვცემს. ამა თუ იმ ენის ადეკვატური, იდეალური აღწერა იქნებოდა მისი ყველა დისკურსის აღწერა“ (ომიაძე 2009:184).

2019 წელს დაიბეჭდა მ. კვიციანი-ჯინის „კვიციანი“. მასში წარმოდგენილია: ლექსები, ფოლკლორული ტექსტები, ონომასტიკური მასალა, ენის გასატეხი, შელოცვები, გამოცანები, 800 ერთეულამდე მეგრული ანდაზა და სხვ. აღნიშნული ანდაზები ავტორს ჯერ კიდევ 1966 წელს დაუღაგებია და გაუწყვია ანბანთრიგზე. წიგნში მოცემულ ზოგიერთ ანდაზას ახლავს ქართული თარგმანი და//ან ავტორისეული მცირე კომენტარი. იშვიათად, მაგრამ მაინც, ნაშრომში ანდაზად ჩათვლილია იდიომი, ნარატიული ტექსტი, ფრთიანი გამონათქვამი და ა.შ. (მაგალითისთვის იხ. გვ. 202, №7; გვ. 203, №33, გვ. 206, №8, გვ. 211 №27). მასალის გადამუშავების აუცილებლობას თვით მ. კვიციანიც შენიშნავს ანდაზების ბოლოს არსებული მინაწერით: „შეიძლება მეტიც გამოსულიყო, რომ მუშაობა გამეგრძელებინა, შეიძლება დახვეწის შემდეგ ნაკლებიც ყოფილიყო...“ (კვიციანი 2019:234).

საქართველოსა და თურქეთში გამოცემული **ლაზური ანდაზების** რამდენიმე ბეჭდური წყარო შეიძლება დავასახელოთ; კერძოდ, ესენია:

ა) თურქული გამოცემის (Kamil Aksoylu, Laz Kulturu Tarih, Dil, Gelenek ve Toplumsal Yapı, Ankara, 2010) მიხედვით ქართული ანბანის რიგზე გაწყობილი 218 ერთეული ანდაზა შესაბამისი ქართული ვერსიით, მომზადებული ნ. ახალაიასა და ზ. ქავთარაძის მიერ; შეტანილია წიგნში: „ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში“ (ახალაია და სხვები 2015:656-676).

ბ) სარფული ფოლკლორის მიმოხილვისას ც. ნარაკიძე და თ. შიოშვილი უხვად იმოწმებენ ლაზურ ანდაზებს პარალელური ქართული შინაარსობრივი შესატყვისებით; შეტანილია წიგნში: „სარფი“ (ჩოხარაძე და სხვები 2015:423-429).

გ) 126 ერთეული ლაზური ანდაზა მოცემულია თურქეთში გამოცემულ ბოლოდროინდელ ნაშრომებში. მათ შორის აღსანიშნავია რ. კოსანოღლუს Lazca Deyimler ve Atasözleri Sözlüğü – „ლაზური იდიომებისა და ანდაზების ლექსიკონი“ (Kosanoğlu 2020). ლაზური ანდაზები დალაგებულია ქართულ ანბანთრიგზე ლაზური ფონემატური სისტემის გათვალისწინებით; ახლავს თურქულენოვანი ვერსიები.

**მეგრული და ლაზური ანდაზები**, ქართული ვერსიით, გამოცემულია ერთ წიგნად შემდეგი სახელწოდებით: „ხალხური სიბრძნე (მეგრული და ლაზური ანდაზები)“ (შემდგენლები და ქართული ვერსიის ავტორები: რ. შეროზია, ო. მემიშიში, თბილისი, 1994). მასში შესულია 1922 მეგრული და 890 ლაზური ანდაზა. შემდგომ, 2015 წელს, ლაზური ანდაზები და იდიომები ცალკე ო. მემიშიშიმა გამოსცა. ავტორის თქმით, წიგნში შესულია წლების განმავლობაში

საველე-შემკრებლობითი მუშაობის დროს მოძიებული მასალა. დალაგების პრინციპი შემდეგნაირია: ანბანის რიგზე მოცემულ ლაზურ ანდაზებს მოსდევს სიტყვასიტყვითი ქართული ვერსია, ზოგჯერ კი – შესატყვისი ქართული ანდაზა.

**სვანური ანდაზების** ერთ-ერთი პირველი შემკრები და გამომცემელი არის „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით მოღვაწე მეცნიერი ბესარიონ ნიჟარაძე, რომელმაც 1913 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში („ძველი საქართველო“, ტ. II, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით) გამოაქვეყნა რამდენიმე სვანური ანდაზა (განყოფ. II, გვ. 98-100); გასული საუკუნის 60-იან წლებში გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დაიბეჭდა რამდენიმე სვანური ანდაზის ქართული შესატყვისები სათაურით „სვანური ანდაზები“. წარმოდგენილ მასალას მიწერილი აქვს „ვ. და ე. გვიჩიანები, მესტიის რაიონი“ (№53, 1965, 5 მარტი). სვანური ანდაზების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების ამსახველი შედარებით სრული მონაცემი 1973 წლამდე არ გამოცემულა. ამ დროს ა. შანიძისა და მ. ქაღდანის რედაქციით გამოქვეყნდა სვანური ენის მკვლევრის, ფოლკლორისტისა და ეთნოგრაფის, ა. დავითიანის, „სვანური ანდაზები“; მასში მოცემულია მეცნიერის მიერ წლების განმავლობაში ნაგროვები მასალა, 3000-ამდე ანდაზა. ა. შანიძე წინასიტყვაობაში მაღალ შეფასებას აძლევს ა. დავითიანის შრომას. იგი წერს: „ამ გამოცემას მნიშვნელობა აქვს როგორც დიალექტოლოგიისა და ლექსიკოგრაფიისათვის, ისე ეთნოგრაფიისათვის, მაგრამ მთავარი მისი ღირებულება მაინც ის არის, რომ ამ წიგნით გამოვლენილია ბევრი რამ ჩვენი უზომოდ ვრცელისა და დიდად მდიდარი ხალხური სიტყვიერების ერთ უბანზე სიყვარულით შეკრებილი უძვირფასესი ნიმუშებისა სვანთა გონებრივი საგანძურიდან, რომელიც ქართული თარგმანის საშუალებით ფართო წრეებისათვის ხდება ხელმისაწვდომი“ (შანიძე 1973:4). ა. დავითიანის განსაკუთრებულ ღვაწლს და ნაშრომის ღირებულებას ხაზს უსვამს მ. ქაღდანიც (ქაღდანი 1973:5-7). ნაშრომის გამოცემას მაღევე მოჰყვა დადებითი გამოხმაურებები სხვა მეცნიერთა მხრიდანაც (გელოვანი 1973; ღლონტი 1973; შამელაშვილი 1973).

2000 წელს გამოიცა **სვანური ანდაზების** კიდევ ერთი სრული კრებული სახელწოდებით „ლაჰრჷკდ ური“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „არაკად არის//საარაკოდ არის“; იგივეა, რაც ქართული არაკად თქმულა//ანდაზად თქმულა. კრებულის შემდგენელ-გამომცემელია ა. კორძაია. აღსანიშნავია, რომ ა. დავითიანის ზემოხსენებულ კრებულში (1973 წ.) ბალსქვემოური დიალექტის

ლახამულური კილოკავისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებებია ასახული, ხოლო ა. კორძაიას (2000 წ.) წარმოდგენილი აქვს ბალსხემოური დიალექტის სხვადასხვა კილოკავზე ჩაწერილი ანდაზები<sup>29</sup>. როგორც კრებულის შემდგენელი მიუთითებს, „კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ისეთ მცირე ტერიტორიაზე, რაც ბალსხემოურ სვანეთს უჭირავს, ძნელია მოიპოვებოდეს იმდენი ანდაზა ან ანდაზის იმდენი ვარიანტი, რომ შეიძლებოდეს კრებულში მისი გეოგრაფიული პრინციპით დალაგება, მაგრამ ეს – მხოლოდ ერთი შეხედვით“ (კორძაია 2000:7). მეცნიერი იზიარებს და ანდაზებისთვისაც აზოგადებს ა. შანიძისა და ვ. თოფურიას მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „ბალსხემოური, სხვა კილოებთან დაპირისპირებით, ცალკე ერთეულია, მაგრამ ეს ერთეული თავის წილში სრულიადაც არ არის მთლიანი. მრავალფეროვანია ის წვრილ-წვრილი განსხვავებანი, რომელთაც გვიჩვენებენ ცალკეული ხეობები და სოფლები: სხვა არის უშგულური სვანური, სხვაა მულახური და სხვაა ლატალური. ხეობიდან ხეობამდე და ზოგჯერ ერთი სოფლიდან მეორემდე საკმაოდ დიდია კილოკავური განსხვავება“ (სვანური პროზაული ტექსტები, I:XIV).

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, დღესაც აქტუალურია XX საუკუნის 60-იან წლებში ნათქვამი: „ჩვენს ერში, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაბნეულია მრავალი ანდაზა, როგორც ზღვის ფსკერში მარგალიტი, და მათი პოვნა და შეგროვება მეტად საჭიროა“ (გომართელი 1966:99).

## 1.2 ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული რესურსები

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ანდაზური ემპირიული ფონდის ელექტრონულ ბაზებად გარდაქმნაზეც აისახა; უნდა აღინიშნოს, რომ ბ. ნიუარაძის გამოცემული სვანური ანდაზები, სვანურ გამოცანებთან ერთად, განთავსებულია TITUS-ის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში (ელექტრონული ვერსია ეკუთვნის პროფ. იოსტ გიპერტს)<sup>30</sup>. რ. შეროზიასა და ო. მეშიშიშის შედგენილი მეგრული და ლაზური ანდაზების ელექტრონული ვერსია მოამზადა მ. ბუკიამ<sup>31</sup>.

<sup>29</sup> ა. კორძაიას ნაშრომის რეცენზიაში რ. იოსელიანი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ კრებულში თავმოყრილი ანდაზები განსაკუთრებით ღირებულია, რადგან იგი წარმოადგენს ბალსხემოური დიალექტის ნიმუშებს, ხოლო სვანურის ამ კილოს „სამედიატორო ენას“//„სალიტერატურო სვანურს“ უწოდებენ (იოსელიანი 2003).

<sup>30</sup> სვანური ანდაზები და გამოცანები ის. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://titus.uni-frankfurt.de> (ბოლო წვდომა: 16.03.2023).

<sup>31</sup> აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://lev.ge/> (ბოლო წვდომა: 25.05.2023).

ბოლო ხანებში შეიქმნა ქართული ანდაზებისა და იდიომების ელექტრონულ მონაცემთა ბაზა<sup>32</sup>; აღნიშნული ციფრული რესურსი რუსთაველის ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის ფარგლებში მომზადდა პროფ. მანანა რუსიეშვილის ხელმძღვანელობით; იგი შეიცავს 7 ათასამდე ქართულ ანდაზასა და იდიომს. აღსანიშნავია, რომ ბაზაში შესაძლებელია ქართული ანდაზებისა და იდიომების სემანტიკური ეკვივალენტების ძიება ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, თურქულ და არაბულ ენებში, რაც საინტერესო და მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური კვლევების თვალსაზრისითაც<sup>33</sup>.

## 2. „ციფრული რევილუცია“ და სამეცნიერო პარადიგმათა ცვლა

ჩვენს დროში საკვლევი ემპირიული მასალის მოპოვება და დამუშავება მჭიდროდ უკავშირდება უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას, რამაც განაპირობა ტრადიციულ მიდგომებთან ერთად კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვა. სწორედ ამგვარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა შექმნა წინაპირობა XXI საუკუნეში ახალი დისციპლინების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. დიგიტალური ბაზების შექმნისა და კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პარალელურად, ვრცელ ემპირიულ მასალაზე დამყარებული ლინგვისტური კვლევებიც ახალ ეტაპზე გადადის.

ენობრივ მონაცემთა დოკუმენტირება მხოლოდ მასალის ჩაწერით არ შემოიფარგლება და მისი სათანადო დამუშავებისა და არქივირების აუცილებლობასაც აყენებს (Himmelman 1998; Gippert et al. 2006; Drude 2016)<sup>34</sup>. ამ მიზნით არაერთი რესურსია შექმნილი, მათ შორის, ველზე მოპოვებული აუდიო და/ან ვიდეომასალის დამუშავების ერთ-ერთი გავრცელებული და ყველასთვის ხელმისაწვდომი ღია პროგრამული საშუალება არის „ელანი“ (ELAN – EUDICO Linguistic Annotator), რომელიც ჩაწერილი ტექსტის გაშიფვრის, წინადადებუ-

<sup>32</sup> ატვირთულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სერვერზე და ელექტრონულად ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://idioms.tsu.ge/> (ბოლო წვდომა: 03.04.2024).

<sup>33</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს პროფესორმა მ. მიქაძემ შეადგინა და ბეჭდურად გამოსცა „ქართული ანდაზა ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული შესატყვისებით“, სადაც ამოსავალი ენის მასალას – ანბანთრიგზე დალაგებულ ქართულ ანდაზებს – მიწერილი აქვს დანარჩენ ენათა სემანტიკურად ეკვივალენტური ანდაზები.

<sup>34</sup> ქართულ სამეცნიერო სივრცეში ენის ციფრული (resp. დიგიტალური) დოკუმენტირების შემსწავლელი დისციპლინის აღსანიშნავად შექმნილია ტერმინი „დოკუმენტირების“ (თანდაშვილი 2016).

ბად//ფრაზებად//ცალკეულ სიტყვებად სეგმენტირების, ტრანსკრიბირების, ანოტირებისა და სხვა მნიშვნელოვანი ოპერაციის საშუალებას იძლევა<sup>35</sup>. გარდა ამისა, „ელანში“ შესაძლებელია ტექსტისა და გამოსახულების „ერთი ფანჯრის პრინციპით“ წარმოდგენა, რაც ექსტრალინგვისტური მახასიათებლების ანალიზისთვის და დარგთაშორისი კვლევებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„ელანში“ იმპორტირებული და დამუშავებული ველზე მოპოვებული მასალების შემდგომი ანალიზისთვის ფართოდ გამოიყენება კიდევ ერთი პროგრამული ინსტრუმენტი „ფლექსი“ (FLEx – Fieldworks Language Explorer), რომელიც ენობრივი მონაცემების ინტერდისციპლინური თვალსაზრისით სისტემური წარმოდგენის საშუალებას იძლევა. კერძოდ, „ფლექსში“ შესაძლებელია როგორც ტექსტური კორპუსის შექმნა, ისე მასზე დამყარებული ლექსიკონის გენერირება, ცალკეულ სიტყვათა მორფოლოგიური ანალიზი და სხვა<sup>36</sup>.

ელექტრონულ მატარებლებზე გადაყვანილი და სათანადო ტექნოლოგიური მხარდაჭერით ადჭურვილი მონაცემთა ბაზები რესურსების კორპუსლინგვისტური დამუშავების საშუალებას იძლევა და კვლევის სიზუსტითა და სისტემურობით ხასიათდება.

## 2.1 მონაცემთა ბაზები, თანამედროვე ტექნოლოგიები და ქართველურ ენათა ანდაზები კორპუსლინგვისტიკის პერსპექტივიდან

კორპუსლინგვისტიკის, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიურ ეპოქაში განვითარებული სამეცნიერო დისციპლინის უპირველესი ამოცანა კორპუსების აგება, მათი მართვა და გამოყენების მეთოდების შემუშავებაა. ჩვეულებრივ, ცალკეული კვლევების მასშტაბებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად, კორპუსების არსებობა ენისა და კულტურის დოკუმენტირების, მისი არქივირების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. ჩვენს შემთხვევაში, ქართველურ ენათა მასალების დამუშავება სათანადო მეთოდური და ტექნოლოგიური საშუალებების დახმარებით მით უფრო აქტუალური და საშური, რადგან გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის („იუნესკოს“) მიხედვით, გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ენების ნუსხაში შეტანილია სამივე არასალიტერატურო ქართველური ენა: მეგრული, ლაზური და სვანური. „იუნესკოს“ შეფასებით, ამ ენებს გაქრობის საფრთხე სულ უფრო

<sup>35</sup> აღნიშნული პროგრამული რესურსის შესახებ ვრცლად იხ. <https://archive.mpi.nl/tla/elan> (ბოლო წელიწადი: 16.03.2023).

<sup>36</sup> ენათა და კულტურათა დოკუმენტირების თეორიულ საფუძვლებზე, თანამედროვე მეთოდებსა და პროგრამულ საშუალებებზე იხ. თანდაშვილი 2020; თანდაშვილი და სხვები 2020.

მეტად ემუქრებათ, რადგან ბავშვები აღარ სწავლობენ მათ, როგორც მშობლიურ ენას. „იუნესკოს“ ატლასზე<sup>37</sup>, რომელზედაც მონიშნულ ენებს გაქრობის საფრთხის დონეებიც აქვთ მითითებული, ზემოხსენებული სამი ქართველური ენა კვალიფიცირებულია როგორც ნამდვილად გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი (Definitely endangered)<sup>38</sup>.

„კორპუსმშენებლობისას“ უპირველესი ნაბიჯი ტექსტის ელექტრონული ვერსიის მომზადებაა, რომელიც შემდგომ სათანადოდ უნდა დამუშავდეს, დაერთოს მეტამონაცემები და ა.შ. კორპუსის ჯეროვანი ფუნქციონირება კვლევის პროცესში დიდწილად განპირობებულია კორპუსის მართვის მენეჯერით (resp. კორპუსმენეჯერით), რომელიც უზრუნველყოფს ძიების პროცესს სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით (მაგ., კორპუსში ძიება შესაძლებელია მორფოლოგიური მახასიათებლების მითითებით, მეტამონაცემების მიხედვით და ა.შ.). ქართული ენის ეროვნული კორპუსისა (<http://gnc.gov.ge>) და სხვა, მათ შორის, თემატური კორპუსების შექმნა, ამასთანავე, მათი გამოყენებით კორპუსლინგვისტური კვლევების განხორციელება ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია<sup>39</sup>.

ვინაიდან კორპუსი დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავებისთვის სწრაფი, ეფექტური, დრო-სივრცული თვალსაზრისით ხელმისაწვდომი და სანდო საშუალებაა, კორპუსლინგვისტური კვლევები სულ უფრო გარდაუვალი და აქტუალური ხდება. კორპუსის მნიშვნელობა და კორპუსული კვლევების პერსპექტიულობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ანდაზებთან მიმართებით. ტრადიციული კვლევებისგან განსხვავებით, თანამედროვე პარემიოლოგიური კვლევების დიდი ნაწილი სწორედ კორპუსზე დამყარებულ (Corpus-based studies) ან კორპუსით განპირობებულ (Corpus-driven studies) კვლევებს წარმოადგენს<sup>40</sup>.

<sup>37</sup> საფრთხეში მყოფი ენების მსოფლიო ატლასი (მესამე გამოცემა, 2010 წ.) და სათანადო ინფორმაცია იხ. „იუნესკოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე: <https://unesdoc.unesco.org> (ბოლო წვდომა: 01.12.2023).

<sup>38</sup> იუნესკოს მიხედვით, გაქრობის საფრთხის ამ დონეზე მყოფ ენებს ძირითადად მშობლების (ან უფრო ძველი) თაობა იყენებს.

<sup>39</sup> „კორპუსული მოძრაობის“ ისტორია საქართველოში და კორპუსლინგვისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის როლი დიგიტალური ქართველოლოგიის კონტექსტში გაანალიზებულია მ. თანდაშილისა და მ. ყამარაულის მონოგრაფიაში „შესავალი დიგიტალურ ქართველოლოგიაში“ (2021 წ.).

<sup>40</sup> მაგალითისთვის იხ. 2014 წელს გამოსულ კრებულში („შესავალი პარემიოლოგიაში: სრული (ყოველმხომცველი) გზამკვლევი ანდაზების შესასწავლად“ (Introduction to Paremiology: A Comprehensive Guide to Proverb Studies) მოთავსებული კვლევები.



წმ. ფებრონიას წამების ტექსტის გამოკვლევამ ლევენშტაინის დისტანციის მეთოდის გამოყენებით აჩვენა, რომ, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით, Sin. georg. 6-სა და Bodl. MS georg. b.1-ში დაცული ტექსტები ყველაზე ახლოსაა ერთმანეთთან. მსგავსების თვალსაზრისით მეორე



ადგილზეა ხელნაწერები: Sin. georg. NF 84+90 და Sin. georg. 6; რაოდენობრივი ანალიზის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ხელნაწერები: Sin. georg. NF 84+90 და Bodl. MS georg. b.1, თუმცა ხარისხობრივი სიახლოვის თვალსაზრისით ისინი შეიძლება მესამე ადგილზე დავაყენოთ. ყველაზე მეტი განსხვავება ხარისხობრივი თვალსაზრისით დასტურდება KKNCM A-95-სა და Sin. georg. 6 ხელნაწერებს შორის (944 განსხვავება) და A-95-სა და Bodl. MS georg. b.1 ხელნაწერებს შორის (882 განსხვავება). შდრ. ცხრილი 1 და ცხრილი 2:

|                      | Sin. georg. NF 84+90 | Sin. georg. 6 | KKNCM A-95 | Bodl. MS georg. b. 1 |
|----------------------|----------------------|---------------|------------|----------------------|
| Sin. georg. NF 84+90 | 0                    | 1051          | 1184       | 1276                 |
| Sin. georg. 6        | 1051                 | 0             | 1118       | 708                  |
| KKNCM A-95           | 1184                 | 1118          | 0          | 1088                 |
| Bodl. MS georg. b. 1 | 1276                 | 708           | 1088       | 0                    |

ცხრილი 1: სხვაობები ხელნაწერებში: რაოდენობრივი ანალიზი ლევენშტაინის დისტანციების მიხედვით

|                      | Sin. georg. NF 84+90 | Sin. georg. 6 | KKNCM A-95 | Bodl. MS georg. b. 1 |
|----------------------|----------------------|---------------|------------|----------------------|
| Sin. georg. NF 84+90 | 0                    | 641           | 820        | 778                  |
| Sin. georg. 6        | 641                  | 0             | 944        | 503                  |
| KKNCM A-95           | 820                  | 944           | 0          | 882                  |
| Bodl. MS georg. b. 1 | 778                  | 503           | 882        | 0                    |

ცხრილი 2: სხვაობები ხელნაწერებში: ხარისხობრივი ანალიზი ლევენშტაინის დისტანციების მიხედვით

რაც შეეხება განსხვავებების კლასიფიკაციას, კვლევამ აჩვენა, რომ განსხვავებების უმეტესობა დასტურდება ტექსტში შეტანილი დამატებების სახით (ტექსტში მარკირებულია მწვანე ფერით), რასაც მოჰყვება ლექსიკური და გრამატიკული ვარიაციები (ტექსტში მარკირებულია წითელი ფერით). განსხვავებები დასტურდება ასევე სიტყვათა თანმიმდევრობაში (ტექსტში მარკირებულია ლურჯი ფერით). ოთხივე ხელნაწერის შეპირისპირებითი ანალიზის ფრაგმენტი მოცემულია ცხრილში 3.

|    | Sin. georg. NF 90, 6r, 1 ff.                  | Sin. georg. 6, 184v, 22 ff.                | A-95, 306va, 2 ff.                            | Bodl. MS. Georg. b. 1, 181vb, 8 ff.          |
|----|---|--|---|--|
| 6r | 61 და რ(ა)ე(ა)მს მოაქცეთა აქვე სწრაფი ვყო     | და რ(ა)ე(ა)მს მოხედეთ ვყო                  | და რ(ა)ე(ა)მს მოიქეთ აქვე სწრაფი ვყო          | და რ(ა)ე(ა)მს მოიქეთ ვყო                     |
|    | 62 ქორწილი მავისი და ესე ვითარცა ესმა ვერღარა | ქორწილი მავისი და ესე ვითარცა ესმა ვერღარა | ქორწილი მავისი და ესე ვითარცა ესმა ვერღარა    | ქორწილი მავისი : და ესე ვითარცა ესმა ვერღარა |
|    | 63 [ლარა იკადრეს მოგება შექცესა]              | იკადრეს მოგება შექცესა                     | იკადრეს მოგება სიტყვისა                       | იკადრეს მოგება შექცესა                       |
|    | 64 [მათი] ვაჟ წარუყვანს სომრეულ მკვდრებისა    | მათი მას წარუყვანს სომრეულ მკვდრებისა      | მათი წარუყვანს მათი თანა სომრეულ მკვდრებისა   | მათი წარუყვანს სომრეულ მკვდრებისა            |
|    | 65 [დრე] იხსა და წარქმარა [ცემისა]            | და წარქმარა აღმოსავალი                     | და წარქმარა აღმოსავალი                        | და წარქმარა აღმოსავალი                       |
|    | 66 [კა]ლით კურთ : ხ(ი)ლი ლუსიმბოს წარუყვანს   | კურთ : ხ(ი)ლი ლუსიმბოს წარუყვანს           | ხ(ი)ლი ლუსიმბოს წარუყვანს                     | კურთ : ხ(ი)ლი ლუსიმბოს წარუყვანს             |
|    | 67 [პრ]იმენ სასალარი რ(ომელი) მათესა          | პრიმენ სასალარი რ(ომელი) მათესა            | პრისიმ სასალარი რ(ომელი) მათესა               | პრიმენ სასალარი - რ(ომელი) მათესა            |
|    | 68 <და> [ს]აქლი და დადგინა იგი მკვდართა ზედს  | იყო დედიო და დადგინა იგი მკვდართა ზედს     | დედიო და დადგინა იგი მკვდართა ზედს            | ყო დედიო : და დადგინა იგი მკვდართა ზედს      |
|    | 69 <და> [ს]აქლი და დადგინა იგი მკვდართა ზედს  | მაკ(უ)ლი და დადგინა იგი მკვდართა ზედს      | მაკ(უ)ლი და დადგინა იგი მკვდართა ზედს         | მაკ(უ)ლი და დადგინა იგი მკვდართა ზედს        |
|    | 70 <და> [ს]აქლი და დადგინა იგი მკვდართა ზედს  | და მიწინეს იგინი აღმოსავალი კურთ           | და მიწინეს იგინი აღმოსავალი კურთ              | და მიწინეს იგინი აღმოსავალი კურთ             |
| 3v | 71 [იწმენეს იგინი სოფელსა] [მს სალმ]          | სოფელსა მს სალმორისა :                     | და მიწინეს იგინი სოფელსა მს სალმორისა         | სოფელსა მს სალმორისა :                       |
|    | 72 <ოგრისა და მოემდ[ი] [მარისა]               | და მოემდო მარისა                           | მოემდინარისა :                                | და მოემდინარისა :                            |
|    | 73 <და შეიყრეს აღმსარებელი ქრისტესნი          | და შეიყრეს აღმსარებელი ქრისტესნი           | და შეიყრეს აღმსარებელი ქრისტესნი              | და შეიყრეს აღმსარებელი ქრისტესნი :           |
|    | 74 [მ] და თქვენ ვითარმედ ქრისტესნი ვართ :     | და თქვენ ვითარმედ ქრისტესნი ვართ :         | რო(მ)ელთა თქვენ ვითარმედ ქრისტესნი ვართ :     | და რო(მ)ელთა თქვენ ვითარმედ ქრისტესნი ვართ : |
|    | 75 [რო(მ)ელ]ნიმე ცეცხლს მისცნა [სელინის]      | რო(მ)ელნიმე ცეცხლს მისცნა სელინის          | და რო(მ)ელნი მათ განი ცეცხლს მისცნა : სელინის | რო(მ)ელნიმე ცეცხლს მისცნა სელინის            |
|    | 76 [მ]საუღლმან და რო(მ)ელთამე მსგელთა         | მსაუღლმან და რო(მ)ელთამე მსგელთა           | მსაუღლმან და რო(მ)ელთამე მსგელთა              | მსაუღლმან - და რო(მ)ელთამე მსგელთა           |
|    | 77 თავნი მოკვეთა : და რო(მ)ელთამე ყორცთა      | თავნი მოკვეთა : და რო(მ)ელთამე ყორცთა      | თავი მოკვეთა და რო(მ)ელთამე ყორცთა            | თავნი მოკვეთა - და რო(მ)ელთამე ყორცთა        |
|    | 78 თან თუბრანა მოურა ძალთა { }                | უბრანა მოურა ძალთა :                       | ბრანა ძალთა მოურა                             | უბრანა მოურა ძალთა :                         |
|    | 79 და დაეცა ენი დიდი მკვდართა აღმოსავლისა     | და დაეცა ენი დიდი მკვდართა აღმოსავლისა     | და დაეცა ენი დიდი მკვდართა აღმოსავლისა        | და დაეცა ენი დიდი მკვდართა აღმოსავლისა       |
|    | 80 ველისათა >                                 |  |   |  |

ცხრილი 3: ოთხივე ხელნაწერის დაპარალელური ვერსია განსხვავებების წარმოჩენით

მთლიანობაში ვარიაციების 82% გრამატიკული ხასიათისაა და ძირითადად სახელის მორფოლოგიაში დასტურდება: ეს არის განსხვავებები ბრუნვასა და რიცხვში, ასევე, თანდებულების გამოყენებაში.

წმ. ფებრონიას წამების შემცველი ხელნაწერების ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ანთროპონიმების დაწერილობის თვალსაზრისით. ტექსტის ანალიზმა საინტერესო სხვაობები გამოავლინა საკუთარი სახელების ქართულად გადმოტანის მხრივ, რამაც მათი გადამოწმების აუცილებლობა გააჩინა სხვაენოვან ვერსიებში. ამიტომაც ანთროპონიმთა დაწერილობა ერთმანეთს შევადარეთ, ერთი მხრივ, ქართულ ხელნაწერებში, მეორე მხრივ კი, ბერძნულ, ლათინურ და სომხურ ვერსიებში. იხ. ცხრილი 4.

|   |                    |
|---|--------------------|
|   | Bryene             |
| ბერძნული ( <i>Acta Sanctorum</i> )                  | Βρυένη             |
| ლათინური ( <i>Sanctuarium seu Vitae sanctorum</i> ) | Brucimis           |
| ლათინური ( <i>Magnum Legendarium Austriacum</i> )   | Bruenna            |
| სომხური ( <i>Vark' ew vkayabanowtiwnk' srboc'</i> ) | Բրիովնիա/Briovnia  |
| Sin. georg. NF 84+90                                | ბრ(უ)ენი/Br(w)eni  |
| Sin. georg. 6                                       | ბრენი/Breni        |
| KKNCM A-95  | ბ(ი)რენი/B(iv)reni |
| Bodl. MS georg. b. 1                                | ბ(ი)რენი/B(iv)reni |
| Ivir. georg. 79+A-1769                              | ბრენი/Breni        |

ცხრილი 4: საკუთარი სახელის ვარიაციები ბერძნულ, ლათინურ, სომხურ და ქართულ ტექსტებში ანთროპონიმ ბრენის მაგალითზე

ლევენშტაინის დისტანციების მეთოდის შედეგად გამოვლენილი მსგავსებებისა და, განსაკუთრებით, განსხვავებების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ ღია რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიმართებები არსებობს განხილულ ოთხ ხელნაწერს შორის: რომელი ხელნაწერი შეიძლება მივიჩნიოთ დედნად და არის თუ არა დასაშვები სხვადასხვა დედნის არსებობა სტატიაში გაანალიზებული ოთხი ხელნაწერის შემთხვევაში.

# Georgian Paleographic Fonts and their Role in Scientific Studies

David Maisuradze

(Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7993>

[davit.maisuradze@tsu.ge](mailto:davit.maisuradze@tsu.ge) || ORCID: [0009-0005-4558-5537](https://orcid.org/0009-0005-4558-5537)

**Abstract:** This article examines the role and significance of Georgian paleographic fonts in both scientific and popular contexts. Paleographic fonts, which digitally reproduce historical writing, greatly contribute to the study of the history of writing and to adequately reflect it in digital technologies. The article discusses the challenges and advancements in creating Georgian paleographic fonts, focusing on the transition from traditional to digital formats and their implications for research and public usage. Georgian paleographic fonts, still an emerging field, are essential for the accurate representation of historical scripts like Asomtavruli, Nuskhuri, and Mkhedruli. These fonts serve dual purposes: aiding scholarly research by providing detailed, authentic representations of historical writing and enhancing popular culture through their application in modern media. The article highlights specific examples of Georgian paleographic fonts, detailing their development from manuscripts and their integration into contemporary digital systems. The discussion includes the benefits of digital paleographic fonts over traditional printed materials, such as their ability to incorporate extensive graphemes, ligatures, and historical punctuation. Additionally, these fonts facilitate dynamic representation and paleographic analysis of text, offering a new way of visualizing paleographic features and making them accessible for educational and scientific purposes. Overall, the article underscores the growing importance of digital paleographic fonts in preserving Georgian script heritage, advancing scholarly research, and promoting historical awareness. Future projects aim to expand the digital repository of these fonts, increasing their functionality.

**Keywords:** Digital font, typeface, Georgian paleography, Unicode, manuscript

## Introduction

A paleographic font is a font that combines graphemes and paleographic features. “The modern paleographic font” also implies its digital format: it is a computer program that uses vector images to determine the meanings of these images, interactions and many other functions. Latin and Greek paleographic fonts, including those freely available, have long been known to the general public. At this time, only a few Georgian paleographic fonts are known; In fact, this field, especially in the digital space, is now gaining ground.

The present article briefly reviews the importance of paleographic fonts, their value for science, on the one hand, and popular use, on the other hand, as well as the development and difficulties in the development of Georgian paleographic fonts. Samples of Georgian paleographic fonts will also be shown.

### 1. Basis and categorization of paleographic fonts

Depending on what the grapheme representations of the font are based on, paleographic fonts can be categorized as [1] date-based, [2] manuscript-based, [3] calligrapher-based, or [4] calligraphic school-based.






### 2.3. Use for academic purposes

Paleographic fonts can be viewed primarily as a digital alternative to printed paleographic albums and tables. In the 20th and 21st centuries, several Georgian paleographic albums and tables were published which made a significant contribution to the development of Georgian paleography.<sup>1</sup> All of them were published in printed form. Digital fonts have several important advantages over such printed publications:

- The number of graphemes in a font is unlimited. Multiple alternate shape of the same grapheme can be incorporated into one font. This allows the font to convey every paleographic nuance perfectly without any aspect of meaning being lost.



- The font has the ability to represent an unlimited number of ligatures and their alternatives, which are often ignored in printed publications. This is especially true for cursive paleographic fonts, as well as, first of all, the Mkhedruli script, but also the Nuskhuri and some calligraphic developments of Asomtavruli script.




- Converting some Georgian paleographic writing styles into digital fonts would be unthinkable without ligatures. For example, the so-called *tkhzuli* (თხზული) or *dakselili* (დაქსელილი) script in which letters are interlaced. The creation of a digital font based on such writing is possible with modern technologies, which was impossible under the conditions of the limited typographical resources of the past centuries.
- The historical punctuation often ignored in printed editions, which varies depending on the century and the calligrapher, is fully integrated into the fonts.

<sup>1</sup> Some of the important ones are: *Taqaiashvili, E. (ed.), Album paléographique. I Livraison*, Tiflis, 1909; *Taqaiashvili, E. (ed.), Album paléographique. II Livraison*, Tiflis, 1920; აბულაძე, ი., ქართული წერის ნიმუშები: პალეოგრაფიული ალბომი, რედ. ა. შანიძე, თბ., 1949; აბულაძე, ი., ქართული წერის ნიმუშები: პალეოგრაფიული ალბომი, რედ. ე. მეტრეველი, თბ., 1973; The paleographic table is also attached in: ჯავახიშვილი, ი., ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბილისი, 1949; Dated Georgian manuscripts, 9th-16th cc., Z. Aleksidze, B. Kudava (ed.), translated by N. Aleksidze, Tbilisi, 2015.









“ .:; , :. ! ? " ' ( ) [ ] { } - < = > ~ 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 @ № § € \$

The next capital font is DM Mokvi-Cap, which is designed for a specific paleographic purpose: it shows the placement of capital letters in the Mokvi Gospels in relation to lower-case letters. In the image below, the reddish bar shows the placement of the lower-case letters:



This font is based on a famous 14th century (1300 AD) manuscript, the Mokvi Gospel<sup>4</sup>. The forms of the letters show the later, slightly stylized forms of the Asomatruli script. This font will not be successful for popular use because it is too specific and the uppercase Asomtavruli letters, which should be of equal height in the classical case, are placed unusually. Therefore, this font does not contain anachronisms.

### 3.2. Nuskhuri fonts based on Palestinian-Sinaitic calligraphy

The collection of Georgian manuscripts of St. Catherine's Monastery in Sinai is of special importance for scientific purposes. The first book samples of Nuskhuri script are preserved in this collection. The oldest example is the Sinai Polycephalon<sup>5</sup>, according to which a font was already created, although it is not comprehensive since not all the letters are used in this 9th century manuscript itself (only a small colophon was transcribed in the Nuskhuri script):

<sup>4</sup> Georgian National Centre of Manuscripts, Q 902.

<sup>5</sup> O.Sin.Geo.32-57-33.

# ᄡᄢᄣᄤᄥᄧᄨᄩᄪᄫᄬᄭᄮᄯᄰᄱᄲᄳᄴᄵᄶᄷᄸᄹᄺᄻᄼᄽᄾᄿ

Based on the whole group of 10th century Sinaitic Nuskhuri manuscripts, the characters are currently being selected and digitized. According to each manuscript, one individual font will be created. On the basis of some manuscripts, it is possible to create two or more fonts if their copyists are different. This image provides a preview of this future project:

- O.Sin.Geo.64 ᄡᄢᄣᄤᄥᄧᄨᄩᄪᄫᄬᄭᄮᄯᄰᄱᄲᄳᄴᄵᄶᄷᄸᄹᄺᄻᄼᄽᄾᄿ
- O.Sin.Geo.6 ᄡᄢᄣᄤᄥᄧᄨᄩᄪᄫᄬᄭᄮᄯᄰᄱᄲᄳᄴᄵᄶᄷᄸᄹᄺᄻᄼᄽᄾᄿ
- O.Sin.Geo.20 ᄡᄢᄣᄤᄥᄧᄨᄩᄪᄫᄬᄭᄮᄯᄰᄱᄲᄳᄴᄵᄶᄷᄸᄹᄺᄻᄼᄽᄾᄿ
- O.Sin.Geo.1 ᄡᄢᄣᄤᄥᄧᄨᄩᄪᄫᄬᄭᄮᄯᄰᄱᄲᄳᄴᄵᄶᄷᄸᄹᄺᄻᄼᄽᄾᄿ
- O.Sin.Geo.15 ᄡᄢᄣᄤᄥᄧᄨᄩᄪᄫᄬᄭᄮᄯᄰᄱᄲᄳᄴᄵᄶᄷᄸᄹᄺᄻᄼᄽᄾᄿ
- O.Sin.Geo.26 ᄡᄢᄣᄤᄥᄧᄨᄩᄪᄫᄬᄭᄮᄯᄰᄱᄲᄳᄴᄵᄶᄷᄸᄹᄺᄻᄼᄽᄾᄿ
- O.Sin.Geo.39 ᄡᄢᄣᄤᄥᄧᄨᄩᄪᄫᄬᄭᄮᄯᄰᄱᄲᄳᄴᄵᄶᄷᄸᄹᄺᄻᄼᄽᄾᄿ


This project is interesting in that, on the one hand, the fonts reflect an individual manuscript. On the other hand, their combination presents the paleographic features of both the era and the Palestinian-Sinaitic school, which is quite different from other Georgian calligraphic schools of the later period. The creation of Palestinian-Sinaitic paleographic scripts could be a good basis for a better study of this calligraphic school.

### 3.3. Nuskhuri fonts based on Athonian manuscripts

Similar in importance to the group of Palestinian-Sinaitic fonts is another planned project, which involves the creation of Nuskhuri fonts based on the Georgian collection of the Iviron Monastery in Athos. However, the digitization of Athonian manuscripts in the form of fonts has not yet begun. It will be a further continuation of the Palestinian-Sinaitic project and will use the experience gained there. However, unlike Sinaitic manuscripts, Athonian manuscripts are relatively difficult to access (including in digital photo format), making the development of perfect fonts difficult.

### 3.4. Other Nuskhuri fonts

The font DM A1 is based on the manuscript A1 of Georgian National Center of Manuscripts . The font shows 11th century classical Nuskhuri graphics. Also based on a manuscript (A79) preserved at the Georgian National Center of Manuscripts is the font DM A79, which shows an iteration of 12th century handwriting.




Fonts DM A1 (above) and DM A79 (below)

On the basis of the DM A79 font, a non-paleographic but general typeface (DM Lazare) was created which is used by scientific publications to write non-paleographic texts. This font includes all the necessary symbols, which are necessary for the orthography of the ancient or modern Georgian language:

რეკონსტრუირებული ძველი ქართული ნუსხური ანტიკვანძული სიმბოლოები !”“’()~+,-,.,:;~:~“””

Font DM Lazare

DM Gagnili is another Nuskhuri font with a relatively large volume in terms of characters. It was created by me in collaboration with GEpra<sup>6</sup> and the National Archives of Georgia, which involved finding and digitizing all the symbols used in the manuscript. The font is based on a 14th-15th century scroll, the Euchologion, which is kept in the National Archives of Georgia. In addition to authentic graphemes, the font also includes all the necessary modern symbols, including Arabic numerals, modern punctuation, currency symbols and more. This ensures, on the one hand, the usefulness of the font for popular purposes, and on the other hand, authenticity with the original scroll, as shown in the following image:




შამხურეიანი სეკრეტარი: აქლესარი: შინი-თარღო სეიშდომი:  
ყაა რთაა სოცხობინა: რთინ: მძითრე-მია ძიღინი-ღბიღელა:  
შამხურე-გოგოთაა აქვითინს ო-მთათ: მსურე-გოგოთათაა უგო  
არაღთ: ო-რთინს: რ-მუყმას-გოგოთაა უგინ: მსურე-ღ ბ: უგოთინს  
ო-რ-მ: გრე-გი უგოთ (ბი მყაა ყნი შამიღი ბი სოგო სოგოა მბინ  
რაა ბი ოღბინა: უგო-გინი (ბინ რ-მ: მ-გო-შამიღი ო-რ-მ-აგ-ბ ყნი

Font DM Gagnili

### 3.5. Mkhedruli fonts based on Georgian historical documents

The font DM Photine is based on the oldest Georgian legal document, the deed of Opiza<sup>7</sup>, which reflects an early form of Mkhedruli script, 11th century:

<sup>6</sup> PR and Marketing Communications company which supports the production of digital fonts: <https://gepra.ge/fonts/> <24.06.2024>.  
<sup>7</sup> Georgian National Centre of Manuscripts, Sd-1201.



Handwritten text in the old Georgian script, showing two lines of text.


The letters in this font represent a transitional step between the Nuskhuri and Mkhedruli scripts. This type of script is not legible for modern Georgians, so it is unlikely that this font will be used for popular purposes in the future.. It is more interesting from the paleographic point of view.

In contrast, the font DM Batonishvili, based on the calligraphy of one of the deeds<sup>8</sup> issued by King Erekle II of Kartl-Kakheti, 18th century, has found great use for popular purposes:


Handwritten text in the DM Batonishvili font, showing a single line of text.

Font DM Batonishvili

This font contains a number of ligatures that ensure the authenticity of the typed text with the original text:



<sup>8</sup> Georgian National Centre of Manuscripts, Hd 13168.



Font DM Batonishvili

### 3.6. Mkhedruli fonts based on manuscripts

The first paleographic font based on a Mkhedruli manuscript (not a document) is DM Medea, which reproduces the calligraphy of an 18th-century manuscript (The Story of Medea and Jason) preserved in the National Archives of Georgia. This font was also created by me in collaboration with GEPR and the National Archives. It accurately reproduces the shapes of the letters, but does not display the multitude of ligatures, as it was originally intended more for popular purposes, and the complication of legibility with ligatures was avoided. However, it is planned to enrich this font with ligatures, in which case the user will be able to enable or disable them at will.



Font DM Batonishvili

The most voluminous is the font DM Begtabeg, which is based on the 17th-century manuscript of The Knight in the Panther's Skin preserved in the Georgian National Manuscript Center<sup>9</sup>. This manuscript is distinguished by its exquisite calligraphy, which is why it was chosen as the basis for the “My Rustaveli” project<sup>10</sup>. On the initiative of the author of the project, Prof. Manana Tandashvili, the multilingual portal of The Knight in the Panther's Skin provides the text of the epic in Georgian, German, English, French, Italian, Greek, and Spanish. The purpose of the created font is to create the mood of the manuscript, not only in Georgian, but also in other languages. Therefore, the font not only repeats the outlines of the Georgian letters of the original manuscript, but also includes Latin and Greek letters, the design of which is a free creation and based on Georgian graphics. As a result, the Greek and Latin outlines of the "Georgian ductus" are created. Although the project currently does not include other languages with original scripts, the

<sup>9</sup> Georgian National Centre of Manuscripts, H-54.

<sup>10</sup> See: <https://myrustaveli.com/> <24.06.2024>.

font also includes the Arabic and Cyrillic alphabets, allowing multilingual texts to be typed with a common aesthetic:

ვინ მისუყარს არა ვერცხს, იგი თავის მტერს.

Wer seinen Geliebten nicht sucht, ist sein eigener Feind

Χто не ищет своего коханого, тот сам собі ворог

Αυτός που δεν αναζητά τον εραστή του είναι εχθρός του εαυτού του

من لا يبحث عن حبيبته فهو عدو نفسه

Font DM Begtabeg, different scripts

The font DM Begtabeg includes a number of ligatures (about 400), stylistic alternatives and positional alternatives, which provide an exceptionally high degree of authenticity. The user has the option to turn the ligatures on or off, as well as include only historical ligatures or only ligatures that are easy to read for today's readers. This ensures the significance of the font in both scientific and popular use.

იყ :: არაბეთს :: არსტეგან :: მეფე :: ღმრთისაგან :: სვანი ::  
მალნი :: ოსვი :: მღბნი :: ღმრთისაგან :: ყმინი ::  
მოსამართლე :: ღ :: მწყნე :: მტყმთი :: ვნელებანი ::  
თვთმეწანი :: თებნი :: კვი :: მოსანი :: წყინი.

იყო :: არაბეთს :: როსტეგან :: მეფე :: ღმრთისაგან :: სვანი ::  
მალნი :: ოსვი :: მღბნი :: ღმრთისაგან :: ყმინი ::  
მოსამართლე :: ღ :: მოწყნე :: მოტყმთი :: ვნელებანი ::  
თვთმეწანი :: თებნი :: კვი :: მოსანი :: წყინი.

აყო :: აბაბეთს :: ლოსტევეან :: მეფე :: ღმერთისაგან :: სვიანი ::  
მალალო :: სესვი :: მდებალი :: ლაშქარმთავალი :: უმიანი ::  
მოსამართლე :: და :: მოწყალე :: მოწმული :: ვანგებიანი ::  
თვითმეთმანი :: სეებლო :: კვლას :: მოსებანი :: წყლიანი ::

The font form closest to the original manuscript is shown in red. The black color shows a text loaded with ligatures that are still easy to read today. The blue text is devoid of any ligatures or alternatives.

### 3.7. Fonts based on the handwriting of Georgian figures of the 19th and 20th centuries

Since 2014, in collaboration with the Georgian National Center of Manuscripts, and later with GEPRA, fonts have been created based on the handwriting of a number of Georgian public figures of the 19th and 20th centuries. These fonts are distinguished by dynamic, italic style and are popular in general use. Some of them are presented below:

|                         |   |
|-------------------------|---|
| Ilia Chavchavadze       | <i>აბეკუბთიკ — მნაჟისტყუაქოყმხიქმხჳ</i> |
| Ivane Javakhishvili     | <i>აბეკუბთიკომნაჟისტყუაქოყმხიქმხჳ</i>   |
| Akaki Tsereteli         | <i>აბეკუბთიკ — მნაჟისტყუაქოყმხიქმხჳ</i> |
| Luarsab Andronikashvili | <i>აბეკუბთიკომნაჟისტყუაქოყმხიქმხჳ</i>   |
| Ambrosi Khelaia         | <i>აბეკუბთიკომნაჟისტყუაქოყმხიქმხჳ</i>   |
| Galaktion Tabidze       | <i>აბეკუბთიკომნაჟისტყუაქოყმხიქმხჳ</i>   |

These fonts (about 40 in total) can be represented as a sample of the development of everyday handwriting in the 19th and 20th centuries. In this regard, they can acquire a certain paleographical scientific value. All these fonts contain the symbols needed to write the modern Georgian language.

### 4. Conclusion

In summary, it can be said that paleographic fonts have benefits, on the one hand, in terms of popular use (which in turn also contributes to the popularization of science). On the other hand,

they contribute to the development of paleography and thus help humanity in general. They properly show the development of writing in time and space, authentically convey the original style of writing and are integrated into modern digital systems. This also contributes to the study of paleography, the increase in the quality of printed scientific publications, and the provision of illustrative material for them. By means of paleographic fonts, it is possible to simplify the research on the features of one era or calligraphic school.

To date, a number of Georgian paleographic fonts have been created for the Mkhedruli, Asomtavruli and Nushuri scripts. All of them are digital and based on the Unicode standard, which ensures their use on any screen. Future planned production of fonts will make even more clear the similarities and differences between different calligraphic schools, their relationships and developments.

## References

1. **Abuladze 1973:** I. Abuladze, Samples of Georgian writing: Paleographic album, edited by E. Metreveli, Tbilisi, 1973 (Original in Georgian: ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები: პალეოგრაფიული ალბომი, რედ. ე. მეტრეველი, თბ., 1973).
2. **Abuladze 1949:** I. Abuladze, Samples of Georgian writing: Paleographic album, edited by A. Shanidze, Tbilisi, 1949 (Original in Georgian: ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები: პალეოგრაფიული ალბომი, რედ. ა. შანიძე, თბ., 1949).
3. **Javakhishvili 1949:** I. Javakhishvili, Georgian Paleography, Tbilisi, 1949 (Original in Georgian: ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბილისი, 1949).
4. **Dated Georgian manuscripts (9th-16th cc.),** Z. Aleksidze, B. Kudava (ed.), translated by N. Aleksidze, Tbilisi, 2015.
5. **Album paléographique,** E. Taqaishvili (ed.), Vol. I, Livraison, Tiflis, 1909.
6. **Album paléographique,** E. Taqaishvili (ed.), Vol. II, Livraison, Tiflis, 1920.

## E-Resources

Project “My Rustaveli – Multilingual online portal for the Georgian diasporas” with and the font “DM Begtabeg” created for this project: <https://myrustaveli.com/en/> <01.09.2024>.

Fonts based on the handwriting of Georgian figures of the 19th and 20th centuries, project by Georgian National Centre of Manuscripts: <https://manuscript.ge/sazogado-mogvatseta-shriftebi/> <01.09.2024>.



Fonts based on the handwriting of Georgian figures of the 19th and 20th centuries in the Unicode standard: [https://calligraphy.ge/fonts/?swoof=1&product\\_tag=mogvatseta](https://calligraphy.ge/fonts/?swoof=1&product_tag=mogvatseta) <01.09.2024>.

Project “Gallery of Handwritten Fonts” by GEPRA and David Maisuradze: <https://gepra.ge/fonts/> <01.09.2024>.

Project page of the font “DM Anbandidi” and related images: <https://calligraphy.ge/fonts/dm-anbandidi/> <01.09.2024>.

Project page of the font “DM Gagnili” and related images: <https://calligraphy.ge/fonts/dm-gagnili/> <01.09.2024>.

Project page of the font “DM Batonishvili” and related images: <https://calligraphy.ge/fonts/dm-batonishvili/> <01.09.2024>.

Project page of the font “DM Photine” and related images: <https://calligraphy.ge/fonts/dm-photine/> <01.09.2024>.

# ქართული პალეოგრაფიული შრიფტები და მათი მნიშვნელობა სამეცნიერო კვლევისთვის დავით მაისურაძე

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7993>  
[davit.maisuradze@tsu.ge](mailto:davit.maisuradze@tsu.ge) || ORCID: [0009-0005-4558-5537](https://orcid.org/0009-0005-4558-5537)

თანამედროვე პალეოგრაფიული შრიფტი გულისხმობს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც აერთიანებს პალეოგრაფიული ნიშნებით დატვირთული გრაფემების ვექტორულ გამოსახულებებს, განსაზღვრავს მათ მნიშვნელობებს, იძლევა ტექსტის აკრეფისა და სხვადასხვა დიგიტალურ სისტემაში წარმოდგენის საშუალებას. მათი მნიშვნელობა დიდია როგორც პოპულარული, ისე სამეცნიერო მიზნით გამოყენების თვალსაზრისით.

პალეოგრაფიული შრიფტი შეიძლება დაეფუძნოს 1) რომელიმე ეპოქის ხელწერას, 2) კონკრეტულ ხელნაწერს, 3) კონკრეტული გადამწერის ან 4) მთელი კალიგრაფიული სკოლის კალიგრაფიას. ეპოქის ან კალიგრაფიული სკოლის ხელწერაზე დაფუძნებული შრიფტები უფრო განზოგადებულ სურათს იძლევიან; მათში დიდია გრაფიკოსი დიზაინერის შემოქმედებითი სუბიექტურობის როლი. მას უწევს, აარჩიოს მისი აზრით საუკეთესო ნიმუშები ეპოქის ან სკოლის თავისებურებების გადმოსაცემად, რაც შრიფტის ავთენტურობას და მნიშვნელობას მეცნიერებისთვის მეტ-ნაკლებად ამცირებს. ამის საპირისპიროდ, ავთენტურობის მაღალი ხარისხია შენარჩუნებული კონკრეტულ ხელნაწერზე ან კონკრეტული კალიგრაფის ხელწერაზე დაფუძნებულ შრიფტებში, რის გამოც სამეცნიერო მიზნებისათვის ამგვარ შრიფტებს უნდა მიენიჭოთ უპირატესობა. ამავე დროს, ასეთი ვიწრო სპეციფიკისა და მაღალი ავთენტურობის მქონე შრიფტების სიმრავლე სათანადოდ უზრუნველყოფს ეპოქის თუ კალიგრაფიული სკოლის ზოგადი სურათის წარმოდგენასაც.

დღეისათვის ისტორიული კალიგრაფიული ხელწერა განსაკუთრებით პოპულარულია წიგნის ყდების, პოსტერების, ლოგოტიპების, ნიშნებისა და სხვა მსგავსი პროდუქციის დასამზადებლად. თუმცა, რაც შემთხვევებში გამოყენებული შრიფტები უხარისხოა, გრაფემები არასწორადაა მოხაზული, დარღვეულია პროპორციები და სხვ. ამის მიზეზი ხარისხიანი შრიფტების არარსებობა და მეცნიერების პოპულარიზაციის ნაკლებობაა. დიგიტალური პალეოგრაფიული შრიფტების წარმოება და გავრცელება ამ ორივე პრობლემას აგვარებს.

პოპულარული მიზნით გამოყენებისათვის ქართული პალეოგრაფიული შრიფტების უმრავლესობა შეიცავს თანამედროვე ორთოგრაფიისთვის საჭირო სიმბოლოებს, მათ შორის ისეთ ანაქრონიზმებსაც, როგორცაა, მაგალითად, კითხვის ნიშანი და ბრჭყალები XII საუკუნის კალიგრაფიაზე დაფუძნებულ შრიფტში. ყველაზე სრულყოფილი პალეოგრაფიული შრიფტები ყველა იმ ქართულ გრაფემასაც მოიცავენ, რომლებიც Unicond-ის სისტემაშია აღიარებული (მათ შორის გრაფემები ქართველური და სხვა კავკასიური ენებისთვის).

პალეოგრაფიული შრიფტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამეცნიერო მიზნებით. შესაძლებელია შეიქმნას პორტალი, დიგიტალური პალეოგრაფიული ალბომი, რომელიც მომხმარებელს მიაწვდის უფრო დეტალურ ინფორმაციას დამწერლობის განვითარების, ეტაპების, დროისა და რეგიონის მიხედვით ვარიაციების შესახებ და ა.შ. თანამედროვე პალეოგრაფიულ შრიფტებს არაერთი უპირატესობა აქვთ ბეჭდური სახით გამოქვეყნებულ პალეოგრაფიულ ალბომებთან და ტაბულეტთან შედარებით:

- არაა შეზღუდული გრაფემების რაოდენობა, რაც ყველა ალტერნატიული მოხაზულობის წარმოდგენის საშუალებას იძლევა;
- შესაძლებელია აგრეთვე ლიგატურებისა და მათი ალტერნატივების განუსაზღვრელი რაოდენობით ინტეგრირება შრიფტის ერთ ფაილში. ეს იძლევა ურთულესი ქართული კალიგრაფიული მიმართულებების (მაგ., თხზულ-დაქსელილის) შრიფტის სახით გაციფრულების შესაძლებლობასაც;
- დიგიტალური შრიფტი აერთიანებს ისტორიული პუნქტუაციის, განკვეთილობისა და დაქარაგმების ნიშნებსაც, რაც ხშირად უგულებელყოფილია ბეჭდურ გამოცემებში (ძირითადად შრიფტის არარსებობის გამო);
- დიგიტალური შრიფტი დამწერლობის დინამიკურად წარმოდგენის საშუალებას იძლევა. ის უჩვენებს არა მხოლოდ ცალკეულ სიმბოლოებს, არამედ ზოგადად პალეოგრაფიული ნიშნებით დატვირთულ ტექსტს, გრაფემების ურთიერთობას, დისტანციას, გადაბმებს, ალტერნატივებს და სხვ.;
- დიგიტალური შრიფტის ყველა გრაფიკული გამოსახულება ვექტორულია, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ვიზუალს ნებისმიერ ზომაში;
- თანამედროვე პალეოგრაფიული შრიფტები Unicond-ის სტანდარტების დაცვითაა შექმნილი, რაც იძლევა არა მხოლოდ ტექსტის ბეჭდვის, არამედ ნების-

მიერ ეკრანზე მათი წარმოდგენის საშუალებას. Unicon-ის სტანდარტი შრიფტების უპრობლემო ურთიერთშენაცვლებასაც უზრუნველყოფს (ერთი შრიფტის მეორეზე გადართვით ტექსტი არ ზიანდება).

პალეოგრაფიული შრიფტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე აკადემიური სწავლების ფარგლებში პალეოგრაფიის შესასწავლად: სტუდენტს საშუალება აქვს, თავად აკრიფოს ტექსტი დინამიკური შრიფტის გამოყენებით და დააკვირდეს, როგორ გამოისახება ესა თუ ის ასო, სიტყვა, წინადადება ამა თუ იმ ეპოქის ან კალიგრაფის ხელწერაში.

2010 წლიდან დღემდე ჩემ მიერ შექმნილია დაახლოებით 30 პალეოგრაფიული შრიფტი; მათ შორის:

- VII და IX საუკუნეების ხელწერის ორი წიგნური ასომთავრული შრიფტი;
- მოქვის ოთხთავის სახედაო ასოებზე დაფუძნებული ასომთავრული შრიფტი;
- სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცულ ქართულ ხელნაწერებზე დაფუძნებული ნუსხური შრიფტები IX-X საუკუნეების სინური კალიგრაფიით. 8 შრიფტი უკვე შექმნილია; პროექტი მიმდინარეა;
- რამდენიმე ნუსხური შრიფტი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერების მიხედვით;
- ქართული ისტორიული იურიდიული საბუთების (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) ხელწერაზე დაფუძნებული რამდენიმე შრიფტი (გარდამავალი მხედრული, მდივან-მწიგნობრული);
- რამდენიმე მხედრული შრიფტი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული XVI-XVIII საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით;
- ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პირადი არქივების საფუძველზე შექმნილი „საზოგადო მოღვაწეთა შრიფტების“ სერია, რომელიც XVIII-XX საუკუნეებში მოღვაწე ცნობილ პირთა ხელწერას გადმოსცემს.

სამომავლოდ დაგეგმილია ასევე ქართულ ხელნაწერთა ათონურ კოლექციაზე დაფუძნებული შრიფტების შექმნაც. ციფრული პალეოგრაფიული შრიფტების სამომავლო წარმოება და გამრავლება უკეთ წარმოაჩენს ქართული დამწერლობის მრავალფეროვნებას დიგიტალურ სისტემებში, კალიგრაფიული სკოლების თავისებურებებს, მათ მსგავსებებსა თუ განსხვავებებს და ურთიერთობას ერთმანეთთან.

# The Issue of Equivalence of Aphorisms in the English Translations of Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin"<sup>1</sup> (Based on One Aphorism)

Mariam Gobianidze

(Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7994>

[mariam.gobianidze@tsu.ge](mailto:mariam.gobianidze@tsu.ge) || ORCID: [0009-0009-1608-0969](https://orcid.org/0009-0009-1608-0969)

**Abstract:** Shota Rustaveli's *The Knight in the Panther's Skin* is an exceptional work within medieval Georgian literature, renowned for its profound cultural and literary significance. The epic has been preserved in over 160 manuscripts and translated into 58 languages, including multiple English versions. The richness of Rustaveli's language and the depth of his aphorisms present unique challenges for translators. This article investigates the complexities and nuances involved in translating aphorisms from *The Knight in the Panther's Skin* into English, focusing on the works of Marjory Scott Wardrop (1912), Venera Urushadze (1968), and Lyn Coffin (2015). By analysing the aphorism „ოდეს ტურფა გაიეფდეს აღარა ღირს არცა ჩირად“ (“When the lovely is cheapened, it is no longer worth even dried fruit”), the article highlights the diverse approaches and strategies employed by these translators.

**Keywords:** Translation studies, Digital Rustvelology, Georgian Language

## Introduction

Shota Rustaveli's *The Knight in the Panther's Skin* is an exceptional work of medieval Georgian literature, renowned for its profound cultural and literary significance. This epic poem has been preserved in over 160 manuscripts and translated into 58 languages, including multiple English versions. The richness of Rustaveli's language and the depth of his aphorisms present unique challenges for translators. This article investigates the complexities and nuances involved in translating aphorisms from *The Knight in the Panther's Skin* into English, focusing on the works of Marjory Scott Wardrop (1912), Venera Urushadze (1968), and Lyn Coffin (2015). By analyzing the aphorism „ოდეს ტურფა გაიეფდეს აღარა ღირს არცა ჩირად“ / odes t'urpa gaiepdes, aryara yirs artsa t'irad (“When the lovely is cheapened, it is no longer worth even dried fruit”), the article highlights the diverse approaches and strategies employed by these translators.

Aphorisms are concise, pithy statements that convey significant moral or philosophical truths. In Rustaveli's epic, aphorisms are not only integral to the narrative but also encapsulate the poet's wisdom and the cultural ethos of the time. Translating these aphorisms into English poses

---

<sup>1</sup> This research [PHDF-22-851] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)."

the challenge of maintaining their brevity, poetic nature, and deep meaning, while also making them accessible and resonant for contemporary readers.

## 1. Discussion

Marjory Scott Wardrop, one of the earliest translators of *The Knight in the Panther's Skin*, aimed to stay as close to the original text as possible. Her translation of the aphorism "When the lovely is cheapened, it is no longer worth even dried fruit" is direct and maintains the structure and key elements of the Georgian text. Wardrop's approach is characterized by a high degree of fidelity to the original, but this often comes at the expense of capturing the idiomatic nuances that give the aphorism its cultural flavor.

In contrast, Venera Urushadze's translation takes a more interpretive approach. Urushadze aims to convey the underlying meaning and cultural context of Rustaveli's aphorisms rather than adhering strictly to the literal wording. Her rendition of the aphorism focuses on the idea that when something beautiful becomes common or devalued, it loses its worth. By doing so, Urushadze provides a translation that resonates more deeply with modern readers while preserving the aphorism's core message.

Lyn Coffin's translation, based on a word-by-word translation by Dodona Kiziria, represents a balanced approach between fidelity to the original text and the use of English idiomatic expressions. Coffin translates the aphorism as "When the lovely is cheapened, it is not worth a fig anywhere" using an English idiom (worth a fig) that captures the essence of the original while making it more relatable for an English-speaking audience. Coffin's translation reflects an understanding of both the linguistic and cultural dimensions of the aphorism, striving to maintain Rustaveli's poetic style and thematic depth.

## 2. Analysis

The analysis of these translations highlights the inherent challenges in translating aphorisms, which often carry rich cultural and linguistic significance. This study employs a contemporary methodological framework, utilizing a multilingual parallel corpus of *The Knight in the Panther's Skin* and integrating concepts from functionalist and descriptive translation studies. By evaluating the translation strategies and linguistic nuances of each translator, the article sheds light on the delicate balance between linguistic fidelity and cultural resonance.

The article delves into the specific aphorism in question, analyzing how each translation reflects the translators' different priorities and strategies. In Rustaveli's original text, the aphorism is part of a dialogue involving a rose, symbolizing beauty and value. Wardrop's direct translation preserves the original structure but may lack the idiomatic richness of the Georgian text. Urushadze's more artistic translation captures the functional meaning and cultural context, offering

a version that resonates with modern readers. Coffin's use of the idiomatic expression "worth a fig" in English captures both the original meaning and the idiomatic essence, providing a balance between fidelity and relatability.

### 3. Results

In conclusion, the article provides a comprehensive examination of the translation of aphorisms from *The Knight in the Panther's Skin*, offering insights into the nuances of translating culturally and linguistically rich texts. It highlights the delicate balance translators must maintain between preserving the original meaning and adapting the text to resonate with a new audience. The analysis of Wardrop, Urushadze, and Coffin's translations demonstrates the diverse approaches and challenges in rendering Rustaveli's aphorisms into English, emphasizing the importance of both linguistic and cultural fidelity in translation.

By examining these translations through a contemporary methodological framework, the article contributes to the broader discourse on translation studies, particularly in the context of medieval Georgian literature. It underscores the significance of understanding the cultural and idiomatic intricacies inherent in the source text and the translator's role in bridging these nuances for a modern audience. Through this exploration, the article not only sheds light on the specific challenges of translating *The Knight in the Panther's Skin* but also offers valuable insights into the broader field of translation studies, highlighting the ongoing dialogue between linguistic fidelity and cultural adaptation.

Ultimately, the article emphasizes that translation is not a mere linguistic exercise but a cultural one. Translators of *The Knight in the Panther's Skin* must navigate the complex interplay of language, culture, and meaning to convey Rustaveli's timeless wisdom to a global audience. The work of Wardrop, Urushadze, and Coffin illustrates the diverse strategies that can be employed to achieve this goal, each bringing unique strengths and perspectives to the translation process. By recognizing and appreciating these different approaches, we gain a deeper understanding of both the art of translation and the enduring significance of Rustaveli's epic.

აფორიზმის ეკვივალენტობის საკითხი შოთა რუსთაველის  
„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში  
(ერთი აფორიზმის მაგალითზე)<sup>2</sup>

მარიამ გობიანიძე

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7994>

[mariam.gobianidze@tsu.ge](mailto:mariam.gobianidze@tsu.ge) || ORCID: [0009-0009-1608-0969](https://orcid.org/0009-0009-1608-0969)

### შესავალი

შოთა რუსთაველი XII საუკუნის ქართველი პოეტია, რომელსაც ეკუთვნის შუა საუკუნეების მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიტერატურული ძეგლი „ვეფხისტყაოსანი“. პოემა ქართული სულიერი კულტურის უმაღლესი გამოხატულებაა. პოემის ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია 160-ზე მეტი ხელნაწერის სახით. მსოფლიო ლიტერატურაში ქართველი ერის იდენტობა სწორედ რომ „ვეფხისტყაოსანთან“ ასოცირდება: ისევე, „როგორც ჰომეროსია ელადა, დანტე – იტალია, შექსპირი – ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი – ესპანეთი, ასევე რუსთაველი საქართველოა“ (Бальмонт 1933).

პოემის აქტუალობა და მნიშვნელობა დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და უცხოელი მკითხველის ინტერესის სფერო გახდა. პოემა 58 ენაზე ითარგმნა და ზოგიერთ ენაზე რამდენიმეჯერაც. ამჯერად ჩვენი კვლევის საგანი აფორიზმის ეკვივალენტობის საკითხის შესწავლაა პოემის ინგლისურ თარგმანებში.

„ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე სხვადასხვა დროს ითარგმნა ხუთი მთარგმნელის მიერ. პოემა პირველად ინგლისელმა ქართველოლოგმა და მთარგმნელმა მარჯორი სკოტ უორდროპმა თარგმნა. უორდროპმა, რომელიც წლების განმავლობაში სწავლობდა ქართულ ენას და კულტურას, პოემის თარგმნას დაახლოებით ოცი წელი მოანდომა. თარგმანი გამოვიდა 1912 წელს ლონდონში<sup>3</sup> მარ-

---

<sup>2</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მხარდაჭერით (გრანტის ნომერი PHDF-22-851).

<sup>3</sup> Rust'haveli, Shot'ha. The Man in the Panther's Skin: A romantic epic / A close rendering from the Georgian attempted by Marjory Scott Wardrop. \_ London: The Royal Asiatic Society, 1912. \_ XVIII, 274.



ჯორი სკოტ უორდროპის გარდაცვალების შემდეგ. პოემა პროზაულადაა თარგმნილი.

„ვეფხისტყაოსნის“ მეორე ინგლისური თარგმანი ეკუთვნის ვენერა ურუშაძეს, რომელიც ჯერჯერობით პოემის ერთადერთი ქართველი მთარგმნელია. მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ პირველად გამოიცა 1968 წელს თბილისში.<sup>4</sup> თარგმანი არის პოეტური.

„ვეფხისტყაოსნის“ მესამე თარგმანი შესრულებულია ინგლისელი ფილოლოგის, მწერლის, მთარგმნელისა და ქართველოლოგის - ქეთრინ ვივიენის მიერ. პოემა 1977 წელს დაიბეჭდა ლონდონში.<sup>5</sup> პოემის ძირითადი ტექსტი პროზაულადაა თარგმნილი, პროლოგი და ეპილოგი კი – პოეტურად.

პოემის მეოთხე თარგმანი შესრულებულია ინგლისელი ისტორიკოსის, მთარგმნელისა და ქართველოლოგის – რობერტ სტივენსონის მიერ, რომელმაც 1977 წელს გამოსცა თარგმანი ნიუ-იორკში.<sup>6</sup> პოემა თარგმნილია რიტმული პროზის სახით.

„ვეფხისტყაოსნის“ უახლესი ინგლისურენოვანი თარგმანი ეკუთვნის ამერიკელ მწერალსა და მთარგმნელს ლინ კოფინს. თარგმანი გამოვიდა 2015 წელს თბილისში.<sup>7</sup> პოემა პოეტური სახითაა თარგმნილი. პოემის ინგლისურენოვანი პწკარედი შესრულებულია დოდონა კიზირიას მიერ. წინამდებარე კვლევა დაეყრდნობა მარჯორი უორდროპის, ვენერა ურუშაძისა და ლინ კოფინის ინგლისურენოვან თარგმანებს. ჩვენი მიზანია, რომ შევაფასოთ „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმის პოეტური თარგმანის ხარისხი, ამიტომ საკვლევად ვიღებთ პოეტურ თარგმანებსა და დოდონა კიზირიას პწკარედს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მარჯორი უორდროპის თარგმანი პირველია და, შესაძლოა, სხვა თარგმანების წყარო ყოფილიყო, გამოვიყენებთ უორდროპის პროზაულ თარგმანსაც. აქვე გვინდა მივუთითოთ, რომ

<sup>4</sup> Rustaveli, Shota. *The Knight in the Panther's Skin* / Transl. from the Georgian by Venera Urushadze / Ill. by Zurab Kapanadze / This translation is dedicated to the memory of Marjory Scott Wardrop. \_ Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 1968.

<sup>5</sup> Rustaveli, Shota. *The Knight in Panther Skin* / A free transl. in prose by Katharine Vivian / Forward by Professor David M. Lang / Prefatory Note by Academician A. G. Baramidze / Ill. by Mamuka Tavakarashvili / To the Georgian People and to Tess and Vivien. \_ London: The Folio Society, 1977.

<sup>6</sup> Rustaveli, Shota. *The Lord of the Panther-skin: A Georgian romance of chivalry* / Transl. by R. H. Stevenson; A. G. Teacher and Friend in memory \_ Albany: State Univ. of New York Press, 1977.

<sup>7</sup> Rustaveli, Shota. *The Knight in the Panther Skin* / new transl. by Lyn Coffin; ill Michaly Zichy; ed. Nodar Natadze. – 1st ed. – Tbilisi: Poezia Press, 2015.

პოემის ქართული ტექსტი ეყრდნობა „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის აკადემიურ გამოცემას,<sup>8</sup> დოდონა კიზირიას პწკარედი კი გამოყენებულია ხელნაწერის უფლებით.

### 1. აფორიზმის განსაზღვრებისათვის

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „აფორიზმი [ბერძ. *aphorismos* განსაზღვრება] სხარტი გამონათქვამია, რომელშიც განზოგადებულია ხალხის ცხოვრებისეული გამოცდილება, საუკუნოვანი სიბრძნე“<sup>9</sup> სხვა განმარტების მიხედვით, აფორიზმი ბერძნული სიტყვაა და მოკლედ, სხარტად და სტილისტურად დასრულებული ფორმით გამოხატულ აზრს ნიშნავს.<sup>10</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში აფორიზმისა და აფორისტული მეტყველების შესახებ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მოიპოვება და მათში აფორიზმის განმარტებები არაერთგვაროვანია. ფარნაოზ ერთელიშვილი, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა აფორიზმების საკითხს, მიუთითებს, რომ „აფორიზმი არის ზოგადი ხასიათის აღმზრდელობითი გამონათქვამი, რომელიც ერთ წინადადებაშია მოქცეული (და რომელშიც დამრიგებლობითი შინაარსი უშუალოდ გვეძლევა)“ (ერთელიშვილი 1958:165); Merriam-Webster-ის ლექსიკონის მიხედვით,<sup>11</sup> აფორიზმი არის 1. აღიარებული ჭეშმარიტების ლაკონურად ფორმულირება; 2. სხარტად ნათქვამი სიბრძნე; 3. ექსპრესიული სტილი: აფორისტული ენა. ცნობილი ინგლისელი მწერალი და ლექსიკოგრაფი სემუელ ჯონსონი (1709-1794) აფორიზმის ამგვარ განმარტებას გვთავაზობს: „აფორიზმის ხელოვნება გულისხმობს არა იმდენად რაიმე ორიგინალური ან ღრმა იდეის გამოხატვას, რამდენადაც სულ ორიოდ სიტყვით სასარგებლო და გასაგები აზრის გადმოცემას“ (არილი 1994:10). რუმინეთის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი კოსმინ კონსტანტინ ბაიასი სტატიაში „აფორიზმი: ფუნქცია და დისკურსული

<sup>8</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, რედ.: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, „სახელგამი“, თბილისი, 1957.

<sup>9</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი <http://ena.ge/explanatory-online/>. (ბოლო ნახვა 20.01.2024).

<sup>10</sup> იხილეთ: <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=7&t=74> (ბოლო ნახვა 20.01.2024).

<sup>11</sup> თარგმანი ჩვენია: „Aphorism is 1. a concise statement of a principle; 2. a terse formulation of a truth or sentiment: ADAGE; 3. an ingeniously terse style of expression: aphoristic language.“

46. **Wankhade, Rao & Kulkarni 2022:** M. Wankhade, A. C. S. Rao & C. Kulkarni, A survey on sentiment analysis methods, applications, and challenges. *ArtifIntell Rev* 55, 5731–5780. DOI: <https://doi.org/10.1007/s10462-022-10144-1>

# თანამედროვე ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველება გენდერულ და პარტიულ ჭრილში

თათია ცეცხლაძე

(ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

[tatiatsetskhladze19@gmail.com](mailto:tatiatsetskhladze19@gmail.com) || ORCID: [0009-0009-0849-0423](https://orcid.org/0009-0009-0849-0423)

ანასტასია ყამარაული

(ზემო ავსტრიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ჰაგენბერგი)

[a.kamarauli@web.de](mailto:a.kamarauli@web.de) || ORCID: [0009-0008-2258-8307](https://orcid.org/0009-0008-2258-8307)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8002>

## შესავალი

ენა პოლიტიკის უმთავრესი ინსტრუმენტია, ამიტომ თუ გსურთ გაიგოთ პოლიტიკური მოვლენების დინამიკა, აუცილებლად მოგიწევთ პოლიტიკური კომუნიკაციის, უპირველეს ყოვლისა კი პოლიტიკოსების ან პოლიტიკური აქტორების პოლიტიკური ენის კვლევა. პოლიტიკურ ენას აქვს ყოვლისმომცველი გავლენა საზოგადოებაზე, იგი ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის, პირად ცხოვრებაზეც. ამიტომ ენა, როგორც პოლიტიკის ცენტრალური ინსტრუმენტი, გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოების ორგანიზებისა და მართვის პროცესში. შესაბამისად, პოლიტიკური ენის ანალიზი გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ შეუძლია პოლიტიკურ ენას საზოგადოების აღქმისა და ქცევის რეგულირება და, შესაბამისად, გავლენის მოხდენა ხალხის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. პოლიტიკური ლინგვისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, კვლევის ობიექტი არის პოლიტიკოსთა სამეტყველო ენა, რომელიც მოიცავს პოლიტიკური კომუნიკაციის სემანტიკურ და პრაგმატულ ანალიზს, რიტორიკულ ანალიზს, დისკურსის ანალიზს, არგუმენტაციული სტრუქტურების ანალიზს და განწყობის ანალიზს.

## 1. მეთოდოლოგია

საბჭოთა კავშირის დაშლიდან 30 წელზე მეტი ხნის შემდეგაც კი, პოსტსაბჭოთა ქვეყნები კვლავ იმყოფებიან ტოტალიტარულ-ავტორიტარული სისტემიდან დემოკრატიულ სისტემად გარდაქმნის პროცესში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკური დინამიკა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჯერ კიდევ

ძალიან მაღალია და ექვემდებარება ცვლილებების უფრო ძლიერ პროცესს. ამიტომ ამ ქვეყნებში პოლიტიკური მეტყველების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი აუცილებელია ტრანსფორმაციის პროცესების გასაგებად და, გარკვეულწილად, პოლიტიკური მოვლენების პროგნოზირების მიზნითაც. ამგვარი კვლევები გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ ახერხებენ პოლიტიკოსები პოლიტიკის ამა თუ იმ მიმართულებით წარმართვას და რა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოვლენები არის მოსალოდნელი ამ ქვეყნებში.

საკითხის კომპლექსური კვლევისთვის, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის მონაცემთა დასამუშავებლად, აუცილებელია არა მხოლოდ კლასიკური ანალიზის (ფენომენოლოგიური, შედარებითი, კონტრასტული და ა.შ.) მეთოდების, არამედ დიგიტალური ჰუმანიტარიის შესაძლებლობების გამოყენებაც.

**დიგიტალური ჰუმანიტარიის** წარმოშობა თავად ჰუმანიტარული მეცნიერების შიგნით მიმდინარე კვლევითი პროცესების ტექნოლოგიზებით იყო განპირობებული, რამაც, თავის მხრივ, **კვლევის რაოდენობრივი (კვანტიტატიური) და თვისებრივი (კვალიტატიური) ასპექტები** ერთ სიბრტყეში მოაქცია და სათავე დაუდო დიდი მოცულობის ემპირიული რესურსების (**big data**) სწრაფი დამუშავების შესაძლებლობას **კლასტერული ანალიზის აგტომატიზების** გზით. რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის კომბინირება ჰუმანიტარულ დარგებში უზრუნველყოფს კვლევის ეფიციენტურობას და რელევანტური შედეგების სწრაფ მიღწევას, რომელიც შესაძლოა არ ფარავს კვლევის ყველა ასპექტს, მაგრამ მრავალმხრივი ანალიზის მეშვეობით საშუალებას იძლევა გამოვალინოთ საკვლევი საკითხის ზოგადი სურათი (თანდაშვილი, ყამარაული 2021:7).

ინტერნეტის, განსაკუთრებით სოციალური მედიის, მზარდ გამოყენებასთან ერთად, პოლიტიკური ლინგვისტიკის საგანი გაფართოვდა. ონლაინდისკურსების ანალიზი და ენობრივი დინამიკის კვლევა სოციალურ ქსელებში დღეისათვის კვლევის ცენტრალურ სფეროს წარმოადგენს. მედიის მრავალფეროვნების ფართო გამოყენებამ გამოიწვია ჰუმანიტარული მეცნიერებისთვის რელევანტური მონაცემების სწრაფი ზრდა და მუდმივი განახლება, რაც იწვევს დიდი რაოდენობის მონაცემების ადეკვატური ფორმით დამუშავების აუცილებლობას.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ გარდა ლინგვისტური ანალიზისა, განსაკუთრებულ როლს ასრულებს მეტამონაცემების ფაქტორიც.

რომელიც იძლევა შედეგების უფრო ღრმა კონტექსტუალიზაციის საშუალებას და ამით საგრძნობლად ზრდის პოლიტიკური ტექსტების კვლევის შედეგად მიღებული ცოდნის ხარისხს. პოლიტიკური მეტყველების ლინგვისტური ანალიზისთვის ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით მეტამონაცემებში, გარდა ტრადიციული პარამეტრებისა (ასაკი, სქესი, განათლება, სტატუსი), დამატებითი პარამეტრების დართვა: გენდერი და პარტიული კუთვნილება.

## 2. ანალიზი

ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევა ჩატარდა ბალანსირების პრინციპის დაცვით: საკვლევ პირებად ავირჩიეთ ორი მდედრობითი სქესის (სალომე ზურაბიშვილი და თაკო ჩარკვიანი) და ორი მამრობითი სქესის (ირაკლი კობახიძე და ნიკა მელია) პოლიტიკოსი. დამატებით ასევე გათვალისწინებული იყო ბალანსი პარტიული კუთვნილების თვალსაზრისით: მმართველი პარტია ვს. ოპოზიციური პარტიული სპექტრი. საკვლევი მასალა ასევე დაბალანსებული იყო როგორც თემატურად (საკვლევად შერჩეული მასალა გადამკვეთ თემატიკას მოიცავდა), ისე მოცულობის (სიტყვათა რაოდენობა) თვალსაზრისითაც. მეტამონაცემებში დამატებით შეტანილი საკვლევი პარამეტრების (გენდერი და პარტიული კუთვნილება) კომბინაცია შესაძლებელს ხდის გამოვიკვლიოთ, განსხვავდება თუ არა გენდერული კომუნიკაციის სტილი ერთსა და იმავე პარტიაში, ან როგორ იყენებენ ქალი ან მამაკაცი პოლიტიკოსები სხვადასხვა პარტიდან საერთო ენობრივ სტრატეგიებს კონკრეტული გამოწვევების დასაძლევად.

ჩვენ მიერ წარმოებული თანამედროვე ქართული პოლიტიკური მეტყველების ანალიზმა გენდერული და პარტიული პერსპექტივის გათვალისწინებით გამოავლინა მნიშვნელოვანი ნიუანსები სხვადასხვა პოლიტიკური აქტორების მიერ გამოყენებული ენობრივი სტრატეგიებისა და რიტორიკული სტილის გამოყენების თვალსაზრისით, რომელსაც ოთხ პუნქტად წარმოვადგენთ:

### ა) გენდერული განსხვავებები პოლიტიკურ მეტყველებაში

ქალი პოლიტიკოსები უფრო მკაფიო და გასაგებ ენას იყენებენ მამაკაც კოლეგებთან შედარებით. ამას ადასტურებს დაბალი წაკითხვის ინდექსი და მოკლე წინადადებების რაოდენობა მათ მეტყველებაში, რაც მიუთითებს მათ მიერ არჩეული კომუნიკაციის სტილზე, რომელიც უპირატესობას ანიჭებს პოლიტიკური გამოსვლის სიცხადეს და გაგებინების ეფექტურობას. ქალი პოლიტიკოსების მიერ პირველი პირის



ნაცვალსახელების სშირი გამოყენება (ზურაბიშვილი - 86, ჩარკვიანი - 90) მიუთითებს ქალი პოლიტიკოსების მხრიდან მათ პერსონალიზებულ მიდგომაზე, რაც შეიძლება დაეხმაროს აუდიტორიასთან პირადი კავშირის დამყარებაში. მამაკაცი პოლიტიკოსების მეტყველებაში პირის ნაცვალსახელთა გამოყენების დაბალი სტატისტიკა (მელია - 47, კობახიძე - 22) უფრო მეტი კოლექტიურობითა და ნაკლები ეგოცენტრულობით გამოირჩევა, რაც მათი საკომუნიკაციო სტილის ერთგვარ სტრატეგიად უნდა მივიჩნიოთ.

**ბ) პარტიული კუთვნილება და რიტორიკული სტრატეგიები:**

სამთავრობო პოლიტიკოსების მეტყველება გამოირჩევა ლექსიკური მრავალფეროვნებით, რაც გამოიხატება მათ მიერ გამოყენებული უნიკალური სიტყვის ფორმების ფართო სპექტრით. ეს შეიძლება იყოს მათი პოლიტიკური მეტყველების სტრატეგიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს საკითხების უფრო ფართო სპექტრისა და ყოვლისმომცველი ცოდნისა და ავტორიტეტის დემონსტრირებას. ოპოზიციური პარტიის პოლიტიკოსები ავლენენ ლექსიკის უფრო მეტ სიმჭიდროვეს, რაც უფრო ლაკონური და ფოკუსირებული მეტყველების სტილს ახასიათებს. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების მხრიდან ეს შეიძლება იყოს ტაქტიკური მიდგომა მკაფიო და ძლიერი გზავნილებით გაზარდონ კომუნიკაციის ეფექტურობა, რათა, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი საკუთარი (ოპოზიციური) პარტიის პოზიციის უპირატესობას, მეორე მხრივ კი, დააჯერონ მსმენელი და მოიპოვონ ელექტორატის მხარდაჭერა.

**გ) არგუმენტაციული სტრუქტურების გამოყენება:**

კვლევა ცხადყოფს, რომ მამაკაცი პოლიტიკოსები უფრო მეტად იყენებენ არგუმენტაციულ სტრუქტურებს, ვიდრე ქალი პოლიტიკოსები. კერძოდ, ირაკლი კობახიძის მეტყველება ხასიათდება არგუმენტირებული წინადადებების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით (50%), რაც დეტალური მსჯელობისა და დასაბუთებისადმი მის დამოკიდებულებაზე მიუთითებს. პოლიტიკურ მეტყველებაში არგუმენტაციული სტრუქტურების მაღალი პროცენტულობა უფრო ანალიტიკური და პოლიტიკაზე ორიენტირებული კომუნიკაციის სტილს შეესაბამება. ქალი პოლიტიკოსების მეტყველებაში არგუმენტაციულ სტრუქტურების შედარებით დაბალი მაჩვენებელი გვაქვს (ზურაბიშვილი - 31%, ჩარკვიანი - 24%). თაკო ჩარკვიანის მიერ

არგუმენტაციული სტრუქტურების ნაკლებად გამოყენება განპირობებულია მისი მეტყველების სტილით, რომელიც მეტი ემოციური მიმზიდველობით გამოირჩევა და ნაკლებად შეიცავს ფაქტობრივ განცხადებებს. შესაბამისად, მისი პოლიტიკური მეტყველება უფრო მეტად თხრობით სტილს მოიცავს, ვიდრე სტრუქტურირებულ არგუმენტაციას. თაკო ჩარკვიანის მეტყველება შეიძლება განვიხილოთ როგორც მეტყველების უფრო პოპულისტური სტილი, რომელიც ხშირად პრიორიტეტს ანიჭებს ემოციურ რეზონანსს, ვიდრე დეტალურ ლოგიკურ არგუმენტაციას.

#### დ) გავლენა პოლიტიკურ კომუნიკაციაზე:

განსხვავებები, რომლებიც შეინიშნება მამაკაც და ქალ პოლიტიკოსებს შორის, ისევე როგორც ხელისუფლებისა და ოპოზიციის წევრებს შორის, ხაზს უსვამს პოლიტიკურ ლინგვისტური ანალიზის პროცესში როგორც სქესის, ისე პარტიული კუთვნილების გათვალისწინების მნიშვნელობას. ეს ფაქტორები გავლენას ახდენს არა მხოლოდ ენისა და რიტორიკული სტრატეგიების არჩევაზე, არამედ საზოგადოების ჩართულობისა და დარწმუნების სტრატეგიების უპირატესობაზე გამომსვლელთა მხრიდან.

### 3. დასკვნა

კვლევის შედეგების ზოგადი შეფასება გვაგარაუდებინებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები იყენებენ უფრო ფორმალურ და კომპლექსურ ენას ავტორიტეტისა და კომპეტენციის დასამტკიცებლად, ოპოზიციის ლიდერები კი უპირატესობას ანიჭებენ უშუალო (ემოციურ) და მარტივ სტილს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისა და სტატუს კვოს გამოწვევის მიზნით. ქალი პოლიტიკოსები პოლიტიკური გამოსვლის დროს უპირატესობას ანიჭებენ სიცხადეს და გაგებინების ეფექტურობას. მათგან განსხვავებით, მამაკაცი პოლიტიკოსები უფრო მეტად იყენებენ არგუმენტაციულ სტრუქტურებს, ვიდრე ქალი პოლიტიკოსები. თუმცა, აქ პარტიული კუთვნილების საკითხი უნდა იყოს გადამწყვეტი: სალომე ზურაბიშვილისაგან განსხვავებით, თაკო ჩარკვიანის, როგორც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის, მეტყველება შეიძლება განვიხილოთ როგორც მეტყველების უფრო პოპულისტური სტილი, რომელიც ხშირად პრიორიტეტს ანიჭებს ემოციურ რეზონანსს, ვიდრე დეტალურ ლოგიკურ არგუმენტაციას.

# The Problem of the Face of the Dragon in Caucasian and European Mythological-Epic Texts

Nino Sabadze

(Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

**DOI:** <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8003>  
[nino.sabadze770@hum.tsu.edu.ge](mailto:nino.sabadze770@hum.tsu.edu.ge) || ORCID: [0009-0005-0760-9294](https://orcid.org/0009-0005-0760-9294)

**Abstract:** The article discusses both universal as well as specific national characteristics of dragons, their types, habitats, and ways of defeating them. The purpose of the article is to clearly reveal the image of the dragon in epic and mythological works, its functions and role in the life of heroes. Dragons are connected to many areas of the world and stand for both good and evil beginnings, hold wisdom, help the hero in some cases, protect treasures and fight with the hero, who sometimes fails and sometimes defeats the adversary. At the same time, the dragon can be considered a challenge in the hero's life, without which he could not prove his heroism. Every mytho-epic hero needs his dragon on the path of life to prove that he is truly a hero, in this case the dragon is a necessary and crucial power.

**Keywords:** Georgian mythology, Caucasian and European mythology and epic, Dragon and hero

## Introduction

The face of the dragon occupies an important place in folklore, mythology and literature. This ancient mythological character has never lost its relevance, because over the centuries it has acquired various symbolic meanings and undergone many transformations. Dragon sometimes brings rewards to people, sometimes - misfortune and trouble.

The dragon, as a mythological archetype, participates in texts of various genres: cosmogonic myths, fairy tales, narratives, epics, legends related to the foundation of the village, and pseudo-historical stories. It can be said that it is a comprehensive image within world folklore.

## 1. Methods

To write this article, I used the comparative method, which helped us to better understand the similarities and differences between different cultures and epic works. The study of the dragon's archetype is extremely interesting from the point of view of the comparative method of research. Until now, the dragon has not been considered as a mythological character in a comparative sense according to European and Caucasian legends. The article presents the archetype of the dragon according to the Anglo-Saxon epic Beowulf and Caucasian legends. In order to determine the similarities-differences and functional characteristics between them, a special place is devoted to the typological analysis of the material collected from the Georgian "Amiraniani".

The article discusses both universal as well as specific national characteristics of dragons, their types, habitat, ways of defeating them. The purpose of the article is to clearly show the image of the dragon in epic and mythological works, its functions and role in the life of a hero.

## 2. Discussion

The dragon is connected to many areas of the world and includes good and evil beginnings, holds wisdom, helps the hero in some cases, protects the treasure and fights with the hero, sometimes he fails, and sometimes he defeats the adversary. At the same time, the dragon can be considered a challenge in hero's life, without which he could not prove his heroism. Every mytho-epic hero needs his dragon on the path of life to prove that he is truly a hero, in this case the dragon is a necessary and crucial power. Therefore, it can be said that the dragon is a challenge for the hero rather than an embodiment of pure evil. Even when the dragon swallows the hero, it is a rebirth for the hero, a path of initiation, after which the hero returns to society with new knowledge and perspective. In the bosom of the dragon, the hero acquires sacred knowledge that he could not have otherwise received. Often, the relationship with the dragon comes with a number of rules, which the hero is unable to follow, and that is why, he is punished. It is quite difficult for a person to follow certain rules, at some point he will definitely violate them, and the violation will be followed by a corresponding punishment.

The dragon also has the ability to transform, it belongs to the sky, water and earth at the same time, it connects all these worlds together, it protects water, treasure, gold or ancient things, it settles in inaccessible places and encounters only special heroes, but the most important thing is that it is the main challenge and obstacle in the life of the hero.

## 3. Results

The dragon can be considered both a test and a challenge for the hero, as well as an awakening force. It is the meeting with the dragon that makes the hero special. An encounter with a dragon changes the hero's life and sets him on the path he was meant to take, and if it had not been for this challenge, he might never have discovered the power he possessed.

Accordingly, the dragon is the unifier of all elements and symbolizes unity, as in the depiction of a dragon with its tail in its mouth, which represents eternity and cycle. Its abode is the sea and water, sometimes the top of a high mountain and inaccessible cliffs, which is also not surprising, because the mountain is the link between the earth and the sky, and the dragon foresees everything through the crack and keeps an eye on the underground.

The dragon also shares knowledge and wisdom with man, which he does by bathing in its blood, eating its flesh, wearing a chain shirt and entering its bosom. However, its gifts and rewards are never free. The grace given by the dragon needs to be appreciated and treated with special care, otherwise, it will take away everything and destroy him.

It is interesting that the face of the dragon in Caucasian mythology is different from the dragon presented in European literature. In the Georgian language, dragon can be called by several synonymous words, and the word for dragon - “გველეშაპი“ [gveleshapi] itself is a composite. In addition, the characteristics differ in how they are presented in Caucasian mythology and how they appear in European literature. In the Caucasian material, it does not have the ability of spewing fire and flying. In the epics of the Caucasian peoples, as well as in the ancient epics, the dragon is more connected to the element of water, and also appears as a treasure guard. All the existing differences are particularly interesting because this is where the cross-cultural differences reveal themselves.

Research has shown that in the epic texts of all peoples, the dragon plays an important and crucial role, and the most important thing is that the dragon should not be seen as only good or bad, but the important thing is that it is necessary and crucial event for the hero. It can be said that it is the hero's test, challenge and crucial moment. It is the meeting with the dragon that decides the future path of the hero, his fate and his heroism too.

# გველეშაპის სახის პრობლემა კავკასიურ და ევროპულ მითოეპიკურ ტექსტებში

ნინო საბაძე

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8003>

[nino.sabadze770@hum.tsu.edu.ge](mailto:nino.sabadze770@hum.tsu.edu.ge) || ORCID: [0009-0005-0760-9294](https://orcid.org/0009-0005-0760-9294)

## შესავალი

გველეშაპის სახე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ფოლკლორში, მითოლოგიაში, ლიტერატურაში და გამოირჩევა როგორც ფუნქციური მრავალსახეობით, ისე გარეგნული სახესხვაობით, რაც ლექსიკურ დონეზეც არის ასახული. საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა გველეშაპის სახე, საუკუნეების მანძილზე იცვლიდა იგი დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, განიცდიდა ტრანსფორმაციას სხვადასხვა კულტურაში და, რაც მთავარია, არასოდეს დაუკარგავს აქტუალურობა. აღნიშნული პროცესების შედეგად იგი სიმბოლურ სახედ ჩამოყალიბდა, თუმცა მაინც არ დაუკარგავს მრავალფეროვნება: მას გააჩნია, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი დატვირთვა – მან შეიძლება მოიტანოს, როგორც დიდი გასაჭირი და უბედურება, ისე – სიკეთე. თუმცა, გველეშაპისაგან ბოძებულ სიკეთეს დიდი მოფრთხილება და დაფასება სჭირდება; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ყველაფერს წაართმევს და გაანადგურებს გმირს, რომელსაც მან წარმატება მოუტანა. ნაშრომის მიზანია, მკაფიოდ დაგვანახოს გველეშაპის სახე მითოეპიკურ ნაწარმოებებში, მისი ფუნქციები და როლი ეპიკური გმირის ცხოვრებაში.

## 1. დახასიათება - გველეშაპთა ტიპები

გველეშაპის სახეს მითოლოგიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. გველეშაპი თითქმის ყველა მითოლოგიაში ცნობილი იყო, როგორც ბოროტების პერსონიფიცირებული ფიგურა. ვეშაპი, გველეშაპი, გველი, ურჩხული, რა სახელიც არ უნდა ერქვას, ზღვათა, ტბათა, მდინარეთა, მღვიმეთა, ყოველგვარ ღრმულთა ბინადარი, უგამონაკლისოდ, კაცობრიობის ბუნებითი მტერი და ანტაგონისტია (კიკნაძე 2016b:228). სიტყვა *გველეშაპი* სპარსული კომპოზიტის აჟი-ვიშაპის თარგმანია: აჟი - გველი; ვიშაპი – ურჩხულის (დრაკონის) სახელი

(კიკნაძე 2016ბ:229). მისი სხეული შედგება გველისა და ვეშაპის კომბინაციისგან, რომელსაც ზოგჯერ ფრთებიც აქვს. გველური ნიშნით გველეშაპი ხოთონური არსებაა; როგორც ზღვისა და დედამიწის წარმონაქმნი, იგი სამყაროს თავდაპირველ ძალებს არის ზიარებული და ამიტომ განსაკუთრებულ ცოდნას ფლობს. ვეშაპი დიდი თევზის განსახიერებაა და ამ მახასიათებლით გველეშაპი წყლის სტიქიასთან არის დაკავშირებული, რომლის სამშობლო და თავდაპირველი სამყოფელი წყალია. გველეშაპი ნაზიარები იყო მიწისქვეშეთს (გველის მსგავსად), წყლის სტიქიას (თევზის მსგავსად) და ზეციურ სამყაროს (ფრინველის მსგავსად). გარდა ამისა, თავის თავში ის ცეცხლის სტიქიასაც ატარებს. აქედან გამომდინარე, იგი საკმაოდ დიდი ძალის მქონეა არა მარტო ფიზიკურად, არამედ სიბრძნის თვალსაზრისითაც, რადგან ყველა იმ სამყაროს ცოდნას იტევს, რომელსაც განსახიერებს მისი სხეულის ნაწილები. გველეშაპის სამყოფელი მაღალი მთის მწვერვალია (თუმცა მისი წარმომშობი წიაღი ზღვაა). იგი ხშირად უძრავად წევს ნაპრალში და ეს პოზიციაც მის სინკრეტულობაზე მიანიშნებს. გველეშაპის მთაზე ბინადრობას სიმბოლური დატვირთვა აქვს, ვინაიდან მთა მითოლოგიაში მიწისა და ცის შემაკავშირებელ სიმბოლოს წარმოადგენს. გველეშაპი, ამავე დროს, მიწის სიღრმესაც განჭვრეტს ნაპრალის მეშვეობით, რომელსაც მიწისქვეშეთთან შემაერთებელი არხის მნიშვნელობაც აქვს. გველეშაპის მთის მწვერვალზე ნაპრალში ყოფნა მიუთითებს, რომ იგი ყველა ამ სკნელის შემაკავშირებელია და მათ ხილულ საზღვარს განსახიერებს (სიხარულიძე 2006:180-182).

მითოლოგიაში, ასევე, ვხვდებით გველეშაპს, რომელსაც კუდი პირით უჭირავს და ასე კრავს წრეს, რაც მარადიულობის სიმბოლოა. იგი ამავდროულად მიემართება უსასრულობასა და უკვდავებას და ხელახალ შობასა და ბუნების დაუსრულებელ ციკლს აღნიშნავს; მოიცავს სამყაროს ყველა ნაწილს და წარმოგვიდგენს სამყაროს ციკლურობას.

გველეშაპის სახე (გველეშაპი იქნება თუ დრაკონი) განძთან და მის დაცვასთან არის დაკავშირებული. ზ. კიკნაძე აღნიშნავს, რომ გველეშაპი მცველია, ეს მისი უნივერსალური ნიშანია მსოფლიო მითოსში. ის უპირველესად ყველაზე ძვირფასს – საგანძურს იცავს, რომელიც ძირითადად ოქროს სახით არის მოცემული, რაც ძნელად მოსაპოვებელია (კიკნაძე 2016ბ:243).

გველემშაპთა დამარცხება მხოლოდ განსაკუთრებული მახვილით არის შესაძლებელი, რომლის მოპოვებაც მხოლოდ რჩეულ გმირს შეუძლია; გმირისა და გველემშაპის შეხვედრა კი გარდაუვალია, ისევე როგორც საბედისწერო.

დრაკონთა და მოპირისპირე ძალთა დამარცხება ბევრად მარტივი ხდება მაშინ, როცა მათი სუსტი მხარე ცნობილია; მათ სისუსტეს და მომაკვდინებელ ძალას წარმოადგენს სხეულის ქვემო ნაწილი.

კრ. ვოგლერი წიგნში „მწერლის მოგზაურობა“ წერს: ყოველი ნივთის ფლობა გმირისათვის საბედისწერო ხდება, რადგან გველემშაპი უბრალო საგანძურს არასოდეს იცავს, ხოლო განსაკუთრებულ ნივთებთან შეხებას მოაქვს ძალაც და ცოდნაც, რაც ძალიან დიდი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა გმირისათვის (Vogler 2007:14).

გველემშაპთან შეხვედრას გმირებისათვის მოაქვს ახალი ცოდნა და გამოცდილება, ახლებური აღქმა მათ ცხოვრებაში, რამაც ყველაფერი უნდა შეცვალოს: გმირებმა შეიძლება აღმოაჩინონ, რომ სიკვდილს გადარჩენას მოაქვს ახალი ძალები ან ახლებური აღქმა. სიკვდილთან სიახლოვეს შეუძლია, გააუმჯობესოს ცხოვრების აღქმა. ეს ყველაფერი მშვენივრად არის დახატული ლეგენდებში დრაკონის მკვლელ ზიგფრიდზე. ზიგფრიდის უდიდესი გამოცდა არის ის, რომ მოატყუოს დრაკონი, სახელად ფაფნირი. ისე ხდება, რომ დრაკონის სისხლი ეცემა ზიგფრიდს ენაზე. ამ გზით ის ნამდვილად შეხვდა სიკვდილს და სწორედ ამის წყალობით შეიძინა ახალი ძალები, კერძოდ კი სამყაროს აღქმა. მას ესმის ჩიტების ენა, სწორედ ორი მათგანი აფრთხილებს გმირს, რომ მისი აღმზრდელი, ჯუჯა რეგინი, გეგმავს მის მოკვლას. ზიგფრიდი მეორეჯერ გადაურჩება სასიკვდილო საფრთხეს, სწორედ თავისი ახლადადმოჩენილი ძალების წყალობით. ახალი აღქმა სიკვდილს გადარჩენის საზღაურია. ახალი ცოდნა და ხედვა, ასევე, შეიძლება მოჰქონდეს ხმალს, რომელსაც გმირი ხელთ ჩაიგდებს (Vogler 2007:180).

## 2. ანალიზი

### 2.1. გველემშაპის დამარცხების გზები და საშუალებები

გველემშაპთა დამარცხების კლასიკური წესი ასეთია: გმირი ჯერ უნდა შთაინთქას მის წიაღში და შემდეგ ხელახლა უნდა იშვას. ასეა ქართულ, ბერძნულ, შუამდინარულ, ინდურ და სხვა ტრადიციებში.



ბეოვულფში წარმოდგენილ ურჩხულთა დამარცხება თითქმის შეუძლებელია, თვით უმძლავრესი ჰრუნთინგიც კი დუნდება და უსარგებლო ხდება. ამ გველეშაპთა კანი ქერცლიანია, მისი მახვილით გაკვეთა კი – თითქმის შეუძლებელი, ამიტომ მასთან მებრძოლ გმირს უწევს, რომ რაიმე სხვა გზა გამონახოს. მაგ., გველეშაპთა სამყოფელში ჩასული ბეოვულფი ისევ მათი იარაღით ამარცხებს გრენდელის დედას, თორემ მისი სამყაროდან წამოღებული იარაღი აქ არ ჭრის.

გველეშაპთა სამყოფელში ნივთებიც განსხვავებულია. ისინი შექმნილია არა ადამიანური ძალით, არამედ დევეგმირთა მიერ. რ. კრიდიც შენიშნავს, რომ *„უზარმაზარი მახვილი, რითაც ურჩხულს ჰკლავს, თვითონ ურჩხულების დამზადებულია“* [ბეოვულფი 1989: 204].

ბოროტ ძალებს ადამიანური იარაღი ვერაფერს აკლებს, ამიტომ მათთან ბრძოლისას გმირმა ჯერ ჯადოსნური იარაღი უნდა მოიპოვოს, რათა შემდეგ სძლიოს კიდევ მას, რადგან ჩვეულებრივი გზებით ბოროტი ძალის დამარცხება შეუძლებელია.

ოსური ეპოსის ნართების გმირი ბათრადი დევის დასამარცხებლად ჯერ ორლესულ იარაღს მოიპოვებს და მხოლოდ ამის შემდეგ ამარცხებს შეიდთავიან დევს, რომლის კანსაც ხმალი ვერ ჰკვეთდა და ვერც ისარი ატანდა მის სხეულში (ნართები 1988: 250-253).

*„მითოსის მიხედვით, დემონური არსებები ფლობენ ჯადოსნურ იარაღს, რომელსაც გმირები დიდი ძალისხმევით მოიპოვებენ და საბედისწერო ბრძოლაში ამ იარაღით იმარჯვებენ კიდევ. ხევისურულ ტექსტებში მოგვითხრობენ, თუ როგორ ვახდა თორღვა ძაგანი გველეშაპის ნაჩუქარი ჯაჭვის პერანგით უძლეველი“* (მამისიმედიშვილი 2017:44).

დრაკონის სუნთქვა მწველია, შხამი ინთხევა მისი ენიდან, ცეცხლს აფრქვევს, სუნთქვა ცხელი აქვს და მხურვალე. ეს კი საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს გმირისთვის. მაგალითად, ბეოვულფს ბრძოლისას ხმალი უტყდება, რადგან მას არ შეეძლო დრაკონის ქერცლიანი კანის გაჭრა. მართალია, ხმალი კანში ჩაესო, სისხლიც კი ადინა დრაკონს, მაგრამ თავად ხმალი დაიმსხვრა, გმირის ფარმა კი დნობა დაიწყო, რადგან ვერ გაუძლო დრაკონის მხურვალე სუნთქვას. დრაკონის მწველმა შხამმა ყელი დაუზიანა ბეოვულფს, ხოლო მისი ეშვების მიერ დატოვებულმა შხამმა საბოლოოდ იმსხვერპლა გმირი.

დრაკონის სუნთქვა და შხამი რომ მომაკვდინებელ ძალას წარმოადგენს, შემდეგი ეპიზოდიც მოწმობს. როდესაც ტრისტანი ამარცხებს გველეშაპს, ეს ეპიზოდიც ასეა აღწერილი: „*მას ბრანგვის თავი ჰქონდა, ნაკვერცხალსავით წითელი თვალები, ორი რქა შუბლზე, გრძელი და ბანჯგვლიანი ყურები, ლომის თათები, გველის კუდი და ბასილისკოსებური ქიცვიანი ტანი*“ (ტრისტანი და იზოლდა 1960:40). როდესაც ტრისტანის შუბი ურჩხულის კანს ხვდება, ის იღუწება, თანაც ისე, რომ გველეშაპს კანსაც ვერ უზიანებს. ეს ურჩხულიც ნესტოებიდან შხამიან ალს ისვრის, რომელიც ცხენს კლავს, ჯავშანი კი ნახშირით შავდება. ტრისტანმა „*მახვილი მხეცს ხახაში ჩაურჭო ტარამდე და გული ორად გაუჭრა*“ (ტრისტანი და იზოლდა 1960:41). ტრისტანი ურჩხულს ენას სჭრის და ჯიბეში მაღავს, როგორც დამამტკიცებელ საბუთს, რომ ნამდვილად მოკლა ურჩხული, თუმცა ურჩხულის ენიდან გამოჟონილი გესლი და მწვანე ბოლი წამლავს რაინდს და გულწასული ეცემა.

როგორც ვხედავთ, გველეშაპთა თუ დრაკონთა მახასიათებლები მსგავსია, ისევე როგორც მათი დამარცხების გზა. ისინი ბოროტ ძალას წარმოადგენენ და მათი დამარცხება ასე ადვილი არ არის. გმირებს უწევთ საზრიანობის გამოჩენა, რათა სძლიონ მათ. ქართულ მითოლოგიაში გველეშაპი ზოგჯერ სიკეთესაც უკეთებს გმირს, თუმცა გმირიც ვალდებულია, დაიცვას წესები, რადგან მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში აუცილებლად დაიღუპება.

გმირი გველეშაპისაგან სიკეთეს იღებს ცოდნისა და გამოცდილების სახით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გმირი დაემორჩილება გარკვეულ წესებს. თუ გმირი შეცდომას დაუშვებს, მას დაღუპვა ელის. გმირს, ასევე, შეუძლია დაამარცხოს გველეშაპი, მოკლას ის ჯადოსნური იარაღით, განგმიროს ის, მაგრამ ეს რომ შეძლოს, ან ჯადოსნურ იარაღს უნდა ფლობდეს ან ცოდნას გველეშაპთა სისუსტეების შესახებ.

## 2.2 გველეშაპის სისხლი

გველეშაპის სისხლს განსაკუთრებული ძალა აქვს, მან შეიძლება ახალი შესაძლებლობები მისცეს გმირს, გველეშაპის სისხლმაც და მისი ხორცის ჭამამაც განსაკუთრებული ნიჭი შეიძლება მიანიჭოს მას, თუმცა გველეშაპის სისხლს გმირის დაღუპვაც შეუძლია, რადგან მათი სისხლი წყალს კრავს და ასქელებს.

გველეშაპთა სისხლი ბეოვულფში, კერძოდ, გრენდელისა და გრენდელის დედის, წყალს ადულებს, რაც მნახველში შიშს აღძრავს, რის გამოც ტბასა და მის შემოგარენს ადამიანები აღარ ეკარებიან. ეს მოვლენა კავკასიურ მითოლოგიაშიც არის ასახული. აფხაზურ ხალხურ ნართების ეპოსში სასრიყვა ებრძვის გველეშაპს და ამარცხებს მას. ბრძოლისას სულ სისხლით დაიტბორა იქაურობა, თანაც უჩვეულო სისხლი ჰქონდა გველეშაპს - ადულებულ წყალზე უფრო ცხელი, ტალახზე უფრო სქელი და ჭკარტლზე უფრო შავი (ამბავი ნართებისა 2007:172). აქაც სისხლი დუღს, ის სქელია და არ გვიკვირს, თუ რატომ კრავს ურჩხულთა სისხლი წყალს.

გველეშაპთა სისხლი არა მარტო დუღს და ტბასაც ადულებს, არამედ რკინასაც ადნობს, სწორედ ამიტომ არ გამოადგა ადამიანთა სამყაროდან წაღებული ჰრუნთინგი გველეშაპთა სივრცეში ბეოვულფს. იქ სხვა სამყაროა, იქ სხვა სინამდვილე ტრიალებს, ადამიანური საგნები ფუნქციას კარგავენ.

მაშინ, როდესაც ბეოვულფი ტბიდან ამოვა, მის უკან წყალი სქელდება, რადგან ურჩხულის სისხლი ამოწუხნუხდა. ორივე ურჩხული, გრენდელი და გრენდელის დედაც მკვდარია, მათი დაღვრილი სისხლი კი მთელ ტბას ედება და ასქელებს. აქ გვაგონდება იახსარის ტბაში დევთან ბრძოლა:

*„ზიგფრიდს, გერმანელთა გმირს ჯავშნად ექცა დრაკონის – გველეშაპის სისხლი. მოჰკლა დრაკონი, განიბანა იმის სისხლში და განუკვეთელი გაუხდა კანი“* (ჩხეიძე 1965:17).

ბეოვულფისა და იახსარის ისტორიას შორის განმასხვავებელი ის არის, რომ იახსარი ტბიდან ვეღარ ამოდის, რადგან უწმინდურმა სისხლმა შეკრა წყალი; მხოლოდ განსაკუთრებული, ოთხრქა და ოთხყურა, ცხვრის დაკვლის შემდეგ განიწმინდება აბუდელაურის ტბა, საიდანაც იახსარი მტრედის სახით ამოფრინდება (კიკნაძე 1996:17-18). ბეოვულფთან კი სხვაგვარად ვითარდება სიუჟეტი – გმირი თავს აღწევს ტბას და მხოლოდ ამის შემდეგ სქელდება ჭაობი.

გველეშაპის სისხლის მოცხება გმირებს კლავს, მათი სუნთქვა და ენაც კი შხამიანია, მათი სისხლი წყალს კრავს, საიდანაც გამოსვლა შეუძლებელია.

იახსართან გაუწმინდურებულ ტბას წმინდა სისხლით ასუფთავებენ, რათა ღვთისშვილმა ამოსვლა შეძლოს.

გველეშაპის სისხლშია განბანილი ზიგფრიდი, მას საშინელ ურჩხულთან ბრძოლა ჰქონია:

*„მოუკლავს იგი, მის სისხლში სხეული განუბანია  
არ იმსჭვალება მას შემდეგ მისი რქოვანი კანი.“*

(სიმღერა ნიბელუნგებზე 1961:37).

ტ. მახაურის აზრით „სასწაულმოქმედი ჯაჭვის მფლობელი თორღვა შეიძლება შევადაროთ აგრეთვე გერმანული ეპოსის გმირს ზიგფრიდს“ (მახაური 2003:192). ის ასევე მიიჩნევს, რომ „თორღვა ძვანის მზისა და მთვარის, დღისა და ღამის, სიკეთისა და ბოროტების ზღვარზე მდგომი პერსონაჟია“ (მახაური 2003:190).

თორღვა მინიჭებული ძალის გაუფრთხილებლობამ დაღუპა. თორღვა დასაწყისში დოვლათიანი გმირია, სწორედ ამიტომ ჩუქნის გველეშაპი ჯაჭვის პერანგს, ბეგთარს, რომელიც ტყვისაგან და ისრისაგან იცავს გმირს (კიკნაძე 2016ა:144-145). ბოლოს თორღვა არღვევს ტაბუს და, გაბუდაყებული, კარგავს გველეშაპის მიერ ნაჩუქარ ჯაჭვის პერანგს, ბანაობისას გაუსხლტება და წყლის დინებას გაჰყვება.

უჯაჭვოდ დარჩენილი თორღვას მომრევი კი ახლა უკვე იოლად მოიძებნება. საყურადღებოა ისიც, რომ თორღვას ჯაჭვის პერანგი, ისევე მის მჩუქებელს უბრუნდება, რადგან ჯაჭვი მდინარეში გაცურდება (მახაური 2003:202-203).

ქ. სიხარულიძე ფიქრობს, რომ „გარკვეული აზრით, ჯაჭვის პერანგი თავად გველეშაპის სიმბოლოც არის. მდინარის პირას დატოვებული პერანგი ისე მიცურავს წყლისკენ, როგორც გველი ან გველეშაპი მისრიალებს. ერთი ლექსი გვამცნობს, რომ თორღვას ჯაჭვი ლურჯი ფერისა იყო, რაც წყლის ნიშნადაც უნდა მივიჩნიოთ“ (სიხარულიძე 2006:197).

წყალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გველეშაპის ქართულ მითოსში. ამირანის ეპოსში შავი გველეშაპის დედა შავ ზღვაში ცხოვრობს:

*„შეება შავს გველეშაპს დაღალული და დამაშვრალი.*

*შავმა აიღო, ჩაყლაპა, შავი ზღვისაკენ გასწია.“*

*ჩაყლაპა შავმა და გასწია თავის დედისაკენ. რაკი დაინახეს ძმებმა, ამირანს უჭირსო, მაშინვე გაიქცნენ ამირანის საშველად. დაეწივნენ ქარცეცხლს, ესროლა უსიპმა ისარი და ცხრა ადგილი კუდი მოსწყვიტა გველეშაპს. ქარცეცხლს ისე მოწყვეტილი კუდი არა სტკიოდა, როგორც ჩაყლაპული ამირანი ატკიებდა მუცელს. დარეჯანისძე ჰგლეჯდა გულ-მუცელს და იკლავებოდა ქარცეცხლიც საშინლად. ქარცეცხლს ერთი რკინის ბოძი ჰქონდა, რომ ვინმე ჩაყლაპა, მოვიდოდა, შემოეხვეოდა იმ ბოძს გარს, დაამტვრევდა და მოინელებდა. ეხლაც ამირანის დამტვრევა უნდოდა, შემოეხვია ბოძს, მაგრამ კუდი პირს აღარ მოსწვდა, რადგან უსიპმა მოაწყვიტა. მივიდა დედასთან ქარცეცხლი და*

*შესხივლა: მუცელი მგვრემს, ცეცხლი მეკიდებაო. ვაიმე, შვილო, თუ დარჯჯანი-  
ანთი ვინმე ჩაჰყლაპე, იმათ კაცს შენ ვერ მაინვლებო. რა კაცი იყო რა ფერი  
ჰქონდაო?*“ (ქრესტომათია 1956:126-127). აქ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ფე-  
რები - შავი გველეშაპი ყლაპავს, შავ ზღვაში მიდის დედასთან, რაც, სავარაუ-  
დოდ, მისი სამყოფელი უნდა იყოს. გრენდელის დედაც ხომ ჭაობთა ბინადარია.  
ორივე გველეშაპის დედა წყალს უკავშირდება, ამასთანავე გრენდელი და მისი  
დედა სიბნელესა და ბოროტებას უკავშირდებიან, ისინი ხომ კაენის შთამომავ-  
ლები არიან. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სიშავე სიბნელეს ნიშნავს,  
სიბნელე კი - ბოროტებას და ღამე მისი ზეობის ხანას განასახიერებს. ასევე  
ნიშანდობლივია, რომ გველეშაპი, რომელიც ამირანს ყლაპავს, შავია. შავი  
გველეშაპი ყველაზე ძლიერად არის მოაზრებული, გმირი თეთრსა და წითელს  
ადვილად ამარცხებს, მაგრამ შავს ვეღარ უმკლავდება, ანუ რაც უფრო მეტად  
იყო სიბნელესა და ბოროტებასთან დაკავშირებული, მით უფრო მეტი ძალაც  
ეძლეოდა, რაც თავისთავად კეთილ საწყისებს ნამდვილად არ გულისხმობს.  
ასევე, მომაკვდავი გრენდელი ბნელ ტბას მიაშურებს. მართალია, ეპოსში დე-  
დასთან ლაპარაკი არ ჩანს, მაგრამ სწორედ ამ ამბის შემდეგ ჩნდება განრის-  
ხებული გრენდელის დედა, რომელსაც ერთი სული აქვს შური იძიოს თავისი  
შვილის სიკვდილის გამო. უნდა ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას პოემაში „ბახტრი-  
ონი“ გველეშაპის სამყოფელი სიშავით, შავი ფერით გამოირჩევა, რაც მის ბო-  
როტ ბუნებაზე მიგვანიშნებს: *„იქვე მაღალი კლდე იყო, გამოქვაბული შავადა,  
ხავსით მორთული, პირქუში, მრისხანე სანახავადა, იქა ბუდობდა ვეება გველი,  
მორთული ჯაგრითა“* (ვაჟა-ფშაველა 2011:103).

საყურადღებოა ისიც, რომ სამი გველეშაპი გვხვდება როგორც „ბეოვულ-  
ფის“ ეპოსში, ასევე ამირანის ეპოსშიც. ამირანიანში ისინი წარმოდგენილი  
არიან სამი ფერით - თეთრი, წითელი და შავი; მათგან შავი უძლიერესია. მარ-  
თალია, „ბეოვულფში“ გველეშაპები ფერებით არ არიან მოხსენიებულნი, მაგ-  
რამ, ამ შემთხვევაში, გვაქვს მათი სახელები - გრენდელი, გრენდელის დედა  
და დრაკონი, რომელიც იცავს განძს და ცეცხლოვანია. როგორც „ამირანიან-  
შია“, ბოლო, მესამე, შავი გველეშაპი უძლიერესია, რადგან მხოლოდ ის ახერ-  
ხებს ამირანის ჩაყლაპვას, ასევე ბეოვულფის ეპოსშიც, გმირი ამარცხებს გრენ-  
დელსა და მის დედას, მაგრამ მარცხდება მესამე დრაკონთან ბრძოლაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეპოსში მოქმედება ხშირად ზღაპრის  
სიუჟეტის მსგავსად ვითარდება. ზღაპრებში ხშირია გმირის გამოცდა საცოლის

მოსაპოვებლად ან სასურველი მიზნის მისაღწევად. მათ უწევთ, გადალახონ სიძნელეები, რის შემდეგაც მიიღებენ იმას, რისთვისაც იბრძოდნენ. საგულისხმოა, რომ ზღაპრებში რიცხვებს ხშირად ენიჭებათ საკრალური მნიშვნელობა. ასეთ რიცხვებს შორის არის რიცხვი 3. ზღაპრებში ეს შეიძლება იყოს სამმაგი მოქმედება, სამი ნივთი ან სამი პერსონაჟი, რაც გარკვეულ დანიშნულებას ატარებს. თუ ქართულ ზღაპარს საგანთა დანიშნულების თვალსაზრისით გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი მათგანი, რაოდენობით სამი, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, ზოგჯერ კი სამივე საგანი (მოქმედება) ერთი დანიშნულებისაა. როცა სამი პერსონაჟიდან (საგნიდან) თითოეული ერთმანეთისაგან განსხვავებული დანიშნულებით არის წარმოდგენილი, მაშინ ზღაპრის კომპოზიციისათვის მათი მნიშვნელობა ფასეულია. იმ შემთხვევაში კი, როცა სამმაგობა გვაქვს სახეზე და ერთი და იმავე მოქმედების სამჯერ შესრულება ხდება, იგი საზღაპრო მოქმედებისთვისაა გამიზნული. ზღაპარში გვხვდება სამი პერსონაჟი, რომლის მიხედვითაც სამი ძმიდან ორი უფროსი ჭკვიანად არის მიჩნეული, მესამე კი – სულელად. ასევე, გვხვდება სამი დამხმარე, რომელსაც გზად მიმავალი გმირი იძენს. კომპოზიციისათვის სამ დამხმარე პერსონაჟს მაშინ აქვს არსებითი მნიშვნელობა, როცა თითოეული ცალ-ცალკე ეხმარება გმირს ხელმწიფის რთული დავალების, ან თავად გმირის სურვილის შესრულებაში. ზღაპარში, ასევე, წარმოდგენილია სამი ჯადოსნური საგანი. სამი წკეპლიდან შავს შეუძლია ყელგამოჭრისათვის თავის მიბმა, თეთრს - სულის ჩადგმა, წითელს კი ფეხზე დაყენება. გაქვავებულთა გაცოცხლების ფუნქცია აკისრია შავ, თეთრ და წითელ მათრახებს. სხვადასხვა დატვირთვა აქვს გმირის მიერ მოპოვებულ სამ საგანს – ნატვრის სუფრას, მფრინავ ხალიჩას და უჩინმაჩინის ქუდს; ასევე კაჟს, წყალსა და სავარცხელს (ქურდოვანიძე 2002:92-93).

ისიც უნდა ითქვას, რომ ჯადოსნურ ზღაპრებში სამმაგობას თან ახლავს ხოლმე ეფექტის ზრდა, რომელიც მიიღწევა მარტივიდან რთულისაკენ სვლის პრინციპის გამოყენებითა და დაპირისპირებულ გმირთა მოქმედების ხატვით. მესამე პასუხის სიმართლედ მათ რიგს მიეკუთვნება (ქურდოვანიძე 2002:94-95). ბეოვულფისა და ამირანის ეპოსშიც სამ გველეშაპს ვხვდებით, რა თქმა უნდა, სამი გველეშაპის არსებობა სიმბოლურია და არც ის არის გასაკვირი, რომ მესამე მათგანი ყოველთვის ბევრად სასტიკი და დაუნდობელია, სწორედ მისი დამარცხება უჭირს გმირს და მათი იერარქიული ზრდაც არ არის გასაკვირი. ეფექტის ზრდის პრინციპი ბეოვულფში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

გრენდელი, გრენდელის დედა, ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი. ამირანის ეპოსში კი მათი ძალისა და სიავის მზრდადობა შემდეგნაირად გამოიხატა: თეთრი, წითელი და შავი გველეშაპი. სწორედ, შავი გველეშაპი ყლაპავს ამირანს და ამ გზით გადის გმირი ინიციაციის გზას.

ბეოგულფის სამი გველეშაპი სიავითა და სისასტიკით გამოირჩევიან. გრენდელი და მისი დედა ჭაობში მცხოვრები გველეშაპები არიან, უკანასკნელი დრაკონი კი განძს იცავს და ცეცხლს აფრქვევს. ყოველი მათგანი თავის სამყოფელში საგანძურს, უძველეს ნივთებს იტაცებენ ან იცავენ, დიდი ძალითა და სისასტიკით გამოირჩევიან, გმირისათვის მოწინააღმდეგე ძალას წარმოადგენენ, მშვიდობიანი მოსახლეობის ცხოვრებას საფრთხეს უქმნიან და ბოროტ ძალებს წარმოადგენენ.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ გმირს - ობოლ კვირიას ესიზმრება, რომ მისკენ შავი, ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი მიდის, რომელსაც მისი ჩაყლაპვა სურს. კვირია ხმლით შეუტევს და თავს გაუპობს, თუმცა „*მოკლულმა შემომანთხია ბოროტი სისხლი პირზედა*“ (ვაჟა-ფშაველა 2011:74), რის შემდეგაც გმირი ძირს უგონოდ ეცემა. აქ საგულისხმოა ის, რომ გველეშაპი შავია, ისევე, როგორც „ამირანიანის“ შემთხვევაში და გველეშაპის სისხლი კლავს, საიდანაც ურჩხულთა სისხლის კიდევ ერთი მახასიათებელი ჩანს. ასევე, ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ გმირი მინდია, გველეშაპთა სისხლით არა, მაგრამ ხორცის ჭამით კი იძენს განსაკუთრებულ ძალებს, „*ახალი სული ჩაედგა, ახალი ხორცი აისხა; გულის ხედვა და თვალების, როგორც ბრმას და ყრუეს, გაეხსნა*“ (ვაჟა-ფშაველა 2011:171), მას ყველა სულიერისა თუ უსულოს ხმა ესმის და ამას წარმატებაც მოაქვს გმირისთვის, იქამდე, სანამ არ არღვევს წესებს, როგორც ამირანისა და თორღვას შემთხვევაში, მინიჭებული ძალა მხოლოდ იმ დრომდეა საჩუქარი, სანამ გმირი იცავს წესებს და უფროსილდება ზებუნებრივ ძალას, ხოლო სასჯელად შეიძლება ექცეს მაშინ, როცა გადადის წესებს, არღვევს ტაბუს.

ერთი ჯადოსნური ზღაპრის მიხედვით, გმირს მადლიერი გველი სთხოვს, რომ ენა გამოეყოს და კოცნის, რის შემდეგაც გმირი იძენს განსაკუთრებულ უნარს; მას ცხოველთა და ფრინველთა ენა ესმის, რაც მას საბოლოოდ განსაცდელისაგან იხსნის.

ინგუშურ თქმულებებში ნართებზე გვხვდება მეფე სარმაქი, რაც ნიშნავს მეფე-ურჩხულს. მეფე სარმაქი ორმაგ სახელს იმიტომ ატარებდა, რომ დღისით

მას ადამიანის სახე ჰქონდა, ხოლო ღამით გველეშაპი ხდებოდა და ადამიანებს ერჩოდა (მამისიმედიშილი 2020:180). ინგუშურ თქმულებებში სარმაქი შხამს აფრქვევს, ხალხს წყალთან იტყუებს, შემდეგ კი ღუპავს მათ, თუმცა თუ სარმაქს მოკლავენ, იქვე ლურჯი ქვა არის და თუ იქამდე მიხობდება, გაცოცხლება შეუძლია (მამისიმედიშილი 2020:363). აქ ლურჯი ქვა წყალთან უნდა იყოს სიმბოლურად დაკავშირებული, რადგან გველეშაპის წარმომშობი წყალია. ასევე, ინგუშურ თქმულებებში გველეშაპი სარმაქი შემოსვული არის კომკს, რომელშიც იმყოფება ქალიშვილი – ბეთა. მოცემულ თქმულებაში გველეშაპი სარმაქი ცხრათავიანია. სესქათ სოსლა შეებრძოლება მას, ის თავებს აჭრის გველეშაპს, თუმცა მას თავები ისევ ეზრდება, მაგრამ გმირი ჯადოსნურ იარაღს ფლობს, ამ იარაღით მიყენებული ჭრილობა კი აღარ შუშდება, შესაბამისად, გმირმა მოახერხა გველეშაპის დამარცხება (მამისიმედიშილი 2020:277-278).

ჩენურ თქმულებებში ნართებზე გვხვდება შვიდი ძმა, რომლებიც გზად გველეშაპს ხედებიან და ებრძვიან მას. ბრძოლისას გველეშაპი მიხობავდა, მისი სხეულის სიმძიმისაგან მიწა იზნიქებოდა და გველეშაპის ნაკვალევზე ღრმა კალაპოტი იქმნებოდა, რომელშიც მდინარე სუნჯა მიედინებოდა (მამისიმედიშილი 2020:401-402).

გველეშაპთან ბრძოლა თავისთავად არის ბრძოლა ბოროტებასთან, ქაოსთან, თავად გველეშაპი კი ყოველთვის ან წყალს უკავშირდება, ან განძს.

ქართულში ვხვდებით გველეშაპთან მებრძოლ გმირებსაც, ასეთები არიან: ჟიჟია და ვაჟინა, ასევე კახანი. კახანი გველეშაპთან ბრძოლაში არ დაღუპულა, რადგან წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული ლატალები, რომ დაბრუნებისას დიდი ქვაბით რძე დაეხვედრებინათ განსაბანად (კიკნაძე 2016ბ:247). კახანმა სამი კიბე აიარა და სამი ისარი ესროლა თავში გველს, თუმცა გმირი ისე იყო ფერშეცვლილი და გასისხლიანებული, რომ მხოლოდ ლეთნიერში რძით განბანის შემდეგ თუ იცნობდა მას კაციო (ბარდაველიძე 1939:143-144). აქაც გველის სისხლი გმირს მოკლავდა, მაგრამ ის რძეში განიბანა და ამან გადაარჩინა. ამ შემთხვევაშიც გველეშაპთა სისხლი მომაკვდინებელია.

ლენხუმური მითოსის მიხედვით, გველეშაპთან მებრძოლები მონადირეები არიან - ჟიჟია და ვაჟინა, მამა-შვილი ან ძმები. ისინი სოფელში ჩაივლიან, სადაც გველეშაპია, ჟიჟია და ვაჟინა, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ სოფლის მოსახლეებს უნდა დაეხმარონ, აღსანიშნავია, რომ იმ სოფლისათვის სრულიად უცხონი არიან. თქმულებამ არაფერი იცის მათ წარმომავლობაზე, როგორც



ლორდ რაგლანი აღნიშნავს, არაფერი ვიცით გმირის ბავშვობაზე (Raglan 1934). როგორც წესი, მშობლები უცნობნი უნდა იყვნენ იმ საზოგადოებისათვის, სადაც გმირი მოხვედბა და გაიზრდება (კიკნაძე 2008). ზ. კიკნაძე აღნიშნავს, რომ ეს ბუნებრივიცაა, რადგან გმირი უცხო, იღუმალი წარმოშობისა უნდა იყოს. ჟიჟუია და ვაჟინა გველეშაპის მოსაკლავად გაემართებიან, მათ თან მიჰყავთ შესაწირად გამზადებული ბავშვი, ვისი ტირილიც გველეშაპს აღვიძებს. გმირები იღუპებიან გველეშაპთან ბრძოლაში, რადგან აკუწული გველეშაპის შხამი შეიწირავს მათ (კიკნაძე 2016ბ:246-247). ამ შემთხვევაშიც გველეშაპთა სისხლი არა, მაგრამ მათი შხამი მომწამვლელი და სასიკვდილოა, თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შხამში მათი სისხლი იგულისხმება, რომელიც უწმინდური და მომაკვდინებელია ადამიანთათვის.

შეეცარელი ვინკელრიდი შუბით გაემართება ურჩხულის გამოქვაბული-საკენ. ის შუბით განგმირავს ურჩხულს, შემდეგ კი აკუწავს მას. გამარჯვებულმა გმირმა, მადლობის ნიშნად, ცისკენ ხმალი აღმართა. შედეგად ურჩხულის შხამიანი სისხლი დაეწვეთა მის სხეულს და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა (კიკნაძე 2016ბ:248). ამ შემთხვევაშიც გველეშაპთა სისხლი მომაკვდინებელ ძალას ატარებს.

ამრიგად, გველეშაპთა სისხლს განსაკუთრებული მახასიათებლები აქვს, ის დუღს და ტბასაც ადუღებს, მან შეიძლება შეკრას წყალი. ის ასევე განსაკუთრებულ ძალას აძლევს გმირს, როგორც ეს მოხდა ზიგფრიდის და სხვათა შემთხვევაში. გმირებისთვის გველეშაპთა სისხლი მომაკვდინებელ ძალასაც ატარებს, რადგან შხამია მათში, რომელიც თუ არ კლავს, გონებას აკარგვინებს მათ და რომ არა განსაკუთრებული გზები, ისინი დაიღუპებიან - ტრისტანს იხოლდა გამოუჩნდება მხსნელად, კახანი კი რძეში განიბანება, რათა მოიშოროს მკვლელი სისხლი.

### 3. დასკვნა

ქართულ ტექსტებშიც და ანგლოსაქსურ ეპოსშიც გველეშაპთა მახასიათებლები ერთნაირია: ისინი ბოროტ ძალას წარმოადგენენ, გმირები ებრძვიან მათ, ზოგჯერ კი ამ ბრძოლას ეწირებიან კიდევ. ქართულ მასალაში გველეშაპი ძირითადად წყალს უკავებს ხალხს, „ბეოვულფში“ კი ისინი დაკავშირებულნი არიან წყალთან და ასევე გვხვდება განძის მცველი დრაკონიც.

გველეშაპს მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია აკისრია ტრადიციული გმირის ცხოვრებაში, რადგანაც ის სწორედ განსაკუთრებულ გმირებს ხვდება.

იგი ხშირად ეხმარება გმირს, სიკეთეს უკეთებს კიდევ, მაგრამ ეს სიკეთე დაფასებული უნდა იყოს - გმირი გველემშაპის წესებს უნდა ემორჩილებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გველემშაპი ტოვებს გმირს, სჯის მას ან ყველაფერს ართმევს, რაც უბოძა. უმეტესად კი, გველემშაპი დიდ წინააღმდეგობასა და გამოწვევას წარმოადგენს გმირისათვის. თუ გმირი გველემშაპის ყველა წინააღმდეგობასა და გამოწვევას გაუმკლავდება, მაშინ თავის სიძლიერესა და სიმამაცესაც დაამტკიცებს. ეს გზა ზედმეტად სახიფათოა, რადგან შეიძლება დაღუპოს გმირი, მაგრამ სწორედ ამ გზაზე წყდება გმირის ბედიც.

გველემშაპი ხან წყალს უკავებს ხალხს (ის ამ სახით განსაკუთრებით ზღაპრებში არის წარმოდგენილი), ხან ებრძვის გმირს და მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს. გველემშაპს ასევე შეუძლია გმირს სიბრძნე უბოძოს, განსაკუთრებული ნიჭი და უნარი მიანიჭოს, თუმცა ზოგჯერ გმირის დაღუპვის მთავარი მიზეზი ხდება.

გველემშაპი გვხვდება როგორც გველემშაპის, დრაკონის, ვემშაპის, დევის, გველის, ხარისა და სხვათა სახით. მას აქვს ტრანსფორმაციის უნარიც – ის ერთდროულად ეკუთვის ცას, წყალსა და მიწას. იგი ყველა ამ სკნელს ერთმანეთთან აკავშირებს, იცავს წყალს, განძს, ოქროსა თუ უძველეს ნივთებს, ბინას იღებს მიუვალ ადგილებში და ხვდება მხოლოდ განსაკუთრებულ გმირებს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გველემშაპი გმირისათვის ცხოვრების მთავარი გამოწვევა და დაბრკოლებაა. გმირი ან გაუძლებს და გადალახავს ამ წინააღმდეგობას, ან სამუდამოდ დაიღუპება ამ გზაზე.

გველემშაპი ერთდროულად შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც გმირის გამოცდად და გამოწვევად, ასევე გამოსაფხიზლებელ ძალად. სწორედ გველემშაპთან შეხვედრა ხდის გმირს განსაკუთრებულსა და გასაოცარს. გველემშაპთან შეხვედრა დიდი გამოფხიზლებასავით არის. მასთან შეხვედრა ცვლის ცხოვრებას და გმირს იმ გზაზე აყენებს, რომელზეც აუცილებლად უნდა წასულიყო და რომ არა ეს გამოწვევა, შეიძლება ვერც ვერასდროს გაეგო, თუ რა ძალას ფლობდა. ერთი მხრივ, გველემშაპი გმირს იმ გზისკენ უბიძგებს, რომელიც მისთვის არის განკუთვნილი, მეორე მხრივ კი, გამოწვევა და გამოცდაა, ის კი ან გადალახავს, ან გაუძლებს, ან გაიმარჯვებს, ან დამარცხდება. არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გმირისა და გველემშაპის დამოკიდებულებაში – ან გმირი იღუპება ან – გველემშაპი. სინათლე და სიბნელე ებრძვის ერთმანეთს

და ბოლოს რჩება მხოლოდ ერთი მათგანი. თუმცა, გველეშაპი ყოველთვის სიბნელეს არ ნიშნავს, ის სიბრძნესაც აზიარებს გმირს, ასწავლის მას და უზიარებს ცოდნას ან უბრალოდ მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ გმირს გამოცდა მოუწყოს და იქცეს გამოწვევად მის ცხოვრებაში.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების გარდა, უნდა ითქვას ისიც, რომ გველეშაპი ყველა სტიქიასა და ელემენტს აერთიანებს თავის თავში, როგორც გველი ეკუთვნის მიწასა და მიწისქვეშეთს, როგორც ვეშაპი და თევზი – წყალს, მას ასევე აქვს ფრთები, რითიც უკავშირდება ცას, ზეციურ სამყაროს და ჰაერს, ხოლო ცეცხლის ფრქვევის ძალით ის თავის თავში მოიცავს ცეცხლის სტიქიასაც. შესაბამისად, გველეშაპი გამაერთიანებელია ყველა სტიქიისა და ელემენტის და ერთიანობას კრავს, ისევე როგორც მაშინ, როდესაც გველეშაპს გამოსახვევ კუდით პირში და მარადიულობასა და ციკლურობას წარმოადგენს. მისი სამყოფელი ზღვა და წყალია, ხანაც მაღალი მთის მწვერვალი და მიუვალი კლდეები, რაც ასევე არ არის გასაკვირი, რადგან მთა მიწისა და ზეცის შემაკავშირებელია, ხოლო გველეშაპი ნაპრაღის მეშვეობით ყველაფერს განჭვრეტს და მიწისქვეშეთსაც ადევნებს თვალს.

გველეშაპის მახასიათებლები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს - დადებითად და უარყოფითად, თუმცა გველეშაპის სახე უმეტესად მაინც ნეგატიური დატვირთვით გვხვდება. ის არის წყლის მიმტაცებელი, დამსაკუთრებელი, გვალვისა და უწყლობის გამომწვევი. ასევე, შეიძლება გამოიწვიოს წყალდიდობა და დატბორვა; ის ითხოვს მსხვერპლს და მის გარეშე არაფერს უთმობს ადამიანებს. დადებით გამოვლინებაში გველეშაპი არის მცველი, ის გვევლინება უძველესი და საუკუნოვანი განძის მცველად, გველეშაპი, ასევე, ცოდნასა და სიბრძნეს უზიარებს ადამიანს, ის განასახიერებს მარადიულობასა და ციკლურობას. გველეშაპი თავის ცოდნასა და სიბრძნეს აზიარებს ადამიანს სისხლში განზანვით, ხორცის ჭამით, ჯაჭვის პერანგითა და მის წიაღში მოხვედრით, თუმცა. მისი საჩუქარი და ჯილდო უსასყიდლო არასოდეს არის და გარკვეული წესებისა და პირობების დაცვას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერს ართმევს გმირს, რაც უბოძა.

ჩვენეული დასკვნით, გველეშაპის მთავარი დანიშნულება გმირის ცხოვრებაში დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის შექმნაა, ის გამოწვევაა გმირისათვის და თუ არ იქნება გველეშაპი და არ გამოჩნდება გმირის გზაზე, მაშინ ვერც გმირი შეასრულებს თავის მისიასა და დანიშნულებას. ისევე, როგორც

გველემშაპის გამოჩენა არის გარდაუვალი და ერთგვარად განსაზღვრული, ასევე გარდაუვლობას წარმოადგენს ის, რომ გმირი აუცილებლად უნდა მოხვდეს გველემშაპის წიაღში და შემდეგ თავი დააღწიოს კიდევ, არ აქვს მნიშვნელობა ეს გველემშაპის მუცელი იქნება, ჭაობი თუ მიუვალი სამყოფელი; გმირი იქ უნდა მოხვდეს და ამ მოხვედრამ უნდა შეცვალოს მისი ცხოვრება. ეს გმირის ხელახალი შობაა და ის ბრუნდება ცოდნითა და სიბრძნით აღჭურვილი, რის შემდეგაც ველარასდროს იქნება ისეთი, როგორც იყო, ეს მისი ინიციატია და გასაგებელი გზაა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მისი სრულქმნა. ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ გველემშაპი ცალსახად ნეგატიურ როლს ასრულებს გმირის ცხოვრებაში, ის უბრალოდ გამოწვევაა მისთვის და თუ როგორ გადალახავს ის, როგორ გაართმევს თავს, ეს მხოლოდ და მხოლოდ გმირზეა დამოკიდებული. გველემშაპს შესრულებული აქვს თავის მისია და ახლა დგება გმირის ჯერი, როგორ გამოიყენებს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას, სიბრძნეს, რომელსაც გველემშაპმა აზიარა, სასიკეთოდ წარმართავს მას თუ ჰუმბრისის გზას გაუყვება. გველემშაპი უბრალოდ გმირის გამოცდა იყო.

სწორედ, გველემშაპი აქცევს გმირს გმირად; რომ არა ანტაგონისტი გველემშაპის გამოჩენა გმირის გზაზე და მის ცხოვრებაში, ის ვერასოდეს გაივლიდა გარდატეხას ან გარდასახვას, ვერ გამოავლენდა მასში ჩადებულ ნიჭსა და შესაძლებლობებს და დარჩებოდა უბრალო, მეორეხარისხოვან პერსონაჟად. სწორედ, გველემშაპი ანიჭებს მას გმირის სტატუსს. რომ არა ურჩხული, ვერ დაეინახავდით სინათლის და სიკეთის ძალას ასე ნათლად. რომ არა გველემშაპის ასეთი სისასტიკე და ბოროტება, მისი დაუნდობლობა ხალხის მიმართ, ვერ დაფასდებოდა გმირის საქმე და მისი ყოველი თავგადასავალი. რომ არა გველემშაპი, არ იქნებოდა და არ იარსებებდა გმირი. იმისათვის, რომ იარსებოს ერთმა, მას აუცილებლად სჭირდება მეორე. და ზუსტად ამიტომ გმირსაც სჭირდება თავისი გველემშაპი ცხოვრების გზაზე, რომ დაამტკიცოს თავის გმირობა, რომ მის ბრძოლას ჰქონდეს აზრი და არ იყოს უსაგნო. რომ არა გველემშაპი, არ იქნებოდა გმირი. ისინი ერთი მთლიანი ციკლის ორი მხარე არიან, უბრალოდ ორი განსხვავებული მხარე, როგორც დღე და ღამე, სინათლე და სიბნელე, სიკეთე და ბოროტება და ყოველთვის განსაზღვრავენ და განაპირობებენ ერთმანეთს, ერთიმეორის არსებობით უფრო ნათლად და მკაფიოდ წარმოაჩენენ თავიანთ ძალასაც და ფუნქციასაც.

გმირი გადის განსაცდელს, გამოცდას, რომელიც ზოგჯერ ინიციატიას

უტოლდება. მ. ელიადე წიგნში „მითები, სიზმრები და მისტერიები“ აღნიშნავს, რომ ინიციატია არის სიმბოლური სიკვდილი და შემდეგ გაცოცხლება. ურჩხულის წიაღში შესვლა ნიშნავს ემბრიონულ მდგომარეობაში დაბრუნებას. წყვილადი, რომელიც სუფევს ურჩხულის წიაღში, შეესაბამება კოსმიურ ღამეს, ყოფიერებამდელ ქაოსს. ეს არის დროებითი სიკვდილი ანუ ჩანასახის მდგომარეობაში დაბრუნების სიმბოლიზმი. დროებითი სიკვდილი არის გარდაუვალი გამოცდა ხელახალი დაბადებისთვის, ანუ ახალი სიცოცხლის დასაწყებად (ელიადე 2018:312-325).

გველეშაპი მნიშვნელოვანი და საჭირო პერსონაჟია, მის გარეშე აზრი არ ექნებოდა გმირის გზას. ხანდახან საჭიროა ყველაზე ბნელი ღამე, რათა უკეთ დავინახოთ და გავარჩიოთ სიკეთისა და სინათლის ძალა.

გველეშაპი განსაცდელია გმირისთვის და არა დამღუპველი მოვლენა, თუ როგორ გაუმკლავდება ამ გამოწვევას მხოლოდ გმირზე არის დამოკიდებული. გველეშაპს ყველა იმ გამოწვევასა და დაბრკოლებასთან ერთად რაც გმირისთვის მოაქვს, ასევე მოაქვს ახალი ცოდნა, ახლებური ხედვა და შეხედულებები. თუ როგორ შეიცვლება გმირი და როგორ შეცვლის თავის ცხოვრებას ეს მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, როგორ მიიღებს და გამოიყენებს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას, როგორ გამოიყენებს ახლებურ აღქმას, როგორ იმოქმედებს გამარჯვების შემდეგ; თუ გმირი მაინც ჰუბრისის გზას დაადგება და ვერ გააკონტრილებს მიღებულ ძალასა და შესაძლებლობებს, ეს მხოლოდ გმირზეა დამოკიდებული. ამ ჭრილში შეიძლება თამამად ითქვას, რომ გველეშაპთან მოპოვებული გამარჯვება, მისგან მიღებული ცოდნა ცდუნება, პასუხისმგებლობა და სასჯელიც კი არის. და მაინც გველეშაპთან განცდილი გამარჯვებაც კი იმხელა საცთურს შეიცავს, რომ რთულია უბრალო მოკვდავმა გაუძლოს; გველეშაპთან შეხვედრას ხშირად მოჰყვება ჰუბრისის გზა, რომელსაც გმირი ვეღარ აკონტროლებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **ამბავი ნართებისა 2007:** ამბავი ნართებისა, თბილისი, კავკასიური სახლი, 2007, 288 გვ.
2. **ბარდაველიძე 1939:** ვ. ბარდაველიძე, სვანურ ღლეობათა კალენდარი, 1, ახალწლის ციკლი, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა და სტამბა, 1939, 232 გვ.

3. **ბეოვუღფი 1989:** ბეოვუღფი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989, 229 გვ.
4. **ელიადე 2018:** მ. ელიადე, „მითები, სიზმრები და მისტერიები“, თბილისი, გამომცემლობა ალფი, 2018, 328 გვ.
5. **ვაჟა-ფშაველა 2011:** ვაჟა-ფშაველა, პოეზია, პოემები, ლექსები, ტომი 2, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა , 2011, 336 გვ.
6. **კიკნაძე 1996:** ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ქუთაისი, ნეკრესი, 1996, 288 გვ.
7. **კიკნაძე 2008:** ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, 351 გვ.
8. **კიკნაძე 2016ა:** ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია 1, ჯვარი და საყმო, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 268 გვ.
9. **კიკნაძე 2016ბ:** ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია 2, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 352 გვ.
10. **კოტეტიშვილი 1961:** ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბილისი, „საბჭოთა მწერალი“, 1961, 472 გვ.
11. **მამისიმედიშვილი 2017:** ხ. მამისიმედიშვილი, საკრალური ისტორიები, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017, 256 გვ.
12. **მამისიმედიშვილი 2020:** ხ. მამისიმედიშვილი, ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები ნართებზე, თბილისი, გამომცემლობა სამშობლო, 2020, 472 გვ.
13. **მახაური 2003:** ტ. მახაური, ქართული ხალხური საგმირო ბალადა, თბილისი, გამომცემლობა „ლომისი“ 2003, 250 გვ.
14. **ნართები 1988:** ნართები, ცხინვალი, გამომცემლობა „ირისტონი“, 1988, 380 გვ.
15. **სიმღერა ნიბელუნგებზე 1961:** სიმღერა ნიბელუნგებზე, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961, 425 გვ.
16. **სიხარულიძე 2006:** ქ. სიხარულიძე, კავკასიური მითოლოგია, თბილისი, კავკასიური სახლი, 2006, 280 გვ.
17. **ტრისტანი და იზოლდა 1960:** წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1960, 269 გვ.

18. **ქრესტომათია 1956:** ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, თბილისი, სამეცნ.-მეთოდ. კაბინეტის გამომცემლობა, 1956, 335 გვ.
19. **ქურდოვანიძე 2002:** თ. ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 2002.
20. **ჩხეიძე 1965:** ო. ჩხეიძე, რომანი და ისტორია, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1965, 387 გვ.
21. **Lord Raglan 1934:** Lord Raglan, The hero of tradition, Folklore Enterprises, Ltd..1934, <https://www.jstor.org/stable/1256167>.
22. **Vogler 2007:** Christopher Vogler, 2007, The Writer's Journey, <https://shorturl.at/ns8NY>.

# On the History of a Castle in Samegrelo (Chakvinji Castle)

Ioseb Schengelia  
(Sokhumi State University)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8004>  
[iosebshengelia94@gmail.com](mailto:iosebshengelia94@gmail.com) || ORCID: [0009-0008-5266-0752](https://orcid.org/0009-0008-5266-0752)

**Abstract:** Chakvinji Castle, located in the village of Jikhashkari, Zugdidi province, is an outstanding historical monument of Samegrelo. In addition to historical documents, it is mentioned in the inscription of the icon of St Nicholas made in 1640 by order of Levan II Dadiani. Chakvinji Castle is also found in the notices of foreign travellers, for instance in the travel materials of Johann Anton Güldenstädt (1771–1772). In the 1820s, Eduard Eichwald also provides us with some information about the castle. The history of Chakvinji Castle dates back to the distant past, and it served as a defense facility for many centuries. In the feudal age, it was the centre of Odishi province; the palace and residence of the House of Dadiani was located there, and Davit Dadiani, the last Prince of Samegrelo, was born there on 26 January, 1813. Archeological investigations of Chakvinji Castle and the fixing of its architectural structures began in 1968–1969. The archaeological finds were quite diverse and dividable into three periods: the material of the first period is from the early feudal period, the second, from the middle feudal period, and the third, from the late feudal period. This article presents a new analysis of the existing historical, archaeological, architectural and linguistic materials concerning Chakvinji Castle. It describes the present condition of Chakvinji Castle, which is very deplorable and in urgent need of conservation and restoration.

**Keywords:** Chakvinji Castle, Historical monuments in Samegrelo, The icon of St. Nicholas

## Introduction

The article deals with the historical castle in Samegrelo, Zugdidi district, on the territory of the village of Jikhashkari, referred to in written sources as Chakvinji castle. The castle was one of the strongest fortresses in Samegrelo, where the princes of Samegrelo had their palaces and residences. In the feudal age, it was the center of the Odishi province, where the palace and residence of the Dadianis were located, and where Davit Dadiani, the last Prince of Samegrelo, was born on January 26, 1813. As a result of comparing the written sources, archival documents and the ethnographic materials we collected in the field, we tried to clearly present the history and the current situation of Chakvinji Castle.

### 1. Historical background

The population of Georgia has always settled in valleys, and this fact has had a certain influence on the administrative division of Georgia (Javakhishvili 1913:258). Chakvinji Castle is one of the outstanding monuments in the valley of the Khanisskali River, which played an important role in the protection of this valley. Its history, along with that of other monuments in the valley, is an integral part of Georgia's history.

Information about the castle can be found both in Georgian sources and in the reports of foreign travelers. The academic Shota Meskhia believed that the toponym “Chakvinji” is a misspelled form of the word Jikhakuji, linked this name to the name of Kuji, the ruler of Egris,



and cited the manuscript of the Princes of Argvet “Martyrdom of David and Constantine” from the 13<sup>th</sup> and 14<sup>th</sup> centuries to prove his opinion.

According to Sh. Meskhia, the Cikhe-Goji known in Georgian sources is not to be equated with today’s Nokalakevi, but with Chakvinji. This fortress was the center of the Kingdom of Egris in the Hellenistic age (Meskhia 1983:66)

The stories depicted in the Martyrdom of David and Constantine date back to the 8<sup>th</sup> century. If the Jikhankuji mentioned in this hagiographic work is the modern Chakvinji, then it turns out that there was already a large castle here at that time. This is also confirmed by archaeological data, which we will discuss later.

The castle changed its function several times, as can be seen from the reports of foreign travelers. Johann Güldenstedt mentions Chakvinji Castle in his travel book from the years 1771–1772 (Güldenstädt 1962:188, 325). In the twenties of the 19<sup>th</sup> century, Karl Eduard von Eichwald provided us with sparse but reliable information about the castle. At the time of von Eichwald’s journey, the castle seemed to have been used for military purposes. A small Russian garrison was stationed in the castle, and there were also several cannons on the territory. According to the letter dated March 12, 1847, preserved in the archive of Zugdidi, there was also a prison in the castle. As per to the document drawn up in 1866, Chakvinji Princely Castle was closed after Omar Pasha’s campaign in Samegrelo in 1857.

## 2. Geographical location, architecture and archeological study of the castle

The citadel of Chakvinji Castle stands on the top of the mountain. The walls of the castle match the relief form of the mountain, so the plan line is followed the curves of landscape. The outline is long and close to an oval. The length of the fortress citadel is up to 100 meters, and the width is 30 meters on average. The walls of the castle are high on each side, but there is quite a difference between the south and north walls. The southern side of the wall is without towers. The opposite, the northern side, overlooks the Caucasus Mountains and is equipped with towers. One tower is built on the east wall. The towers are quadrangular and have three or four floors.



Picture 1: Chakvinji Castle



Picture 2: Drawing of the castle

The archeological study of Chakvinji Castle and the fixing of architectural structures began in 1968–1969. The archaeological discoveries were quite diverse and were divided into three periods: the material of the first identified period is from the early feudal period, the second - from the middle feudal period, and the third - from the late feudal period.


The archaeological study of the castle in the 21<sup>st</sup> century was renewed in 2019 under the leadership of Doctor of Archeology Niko Murgulia. A large-scale excavation and a detailed study of the castle and its surrounding areas are planned for the near future.

### 3. Icon of St. Nicholas

Chakvinji Castle is mentioned in the inscription of the icon of St. Nicholas made by order of Levan II Dadiani in 1640. The icon itself is one of the most important specimens of Georgian art. It was made in the goldsmith's workshop of Levan II Dadiani. The size of the icon is 31 × 21 cm. The central part of the icon contains the image of the saint. The background of the icon is covered with plant ornaments. There is an inscription on the icon: St. Nicholas. Around the inscription, there are 10 gems of different sizes and colors, some of which are damaged, and eight of them are pearl stones.



Picture 3: The icon of St. Nicholas



Picture 4: Inscription on the icon

The icon of St. Nicholas of Chakvinji was seen by Marie Brosé during her trip to Samegrelo and Abkhazia, and she deciphered the inscription on the icon for the first time. We have deciphered the inscription again and added it to the article.

### 4. Conclusions

The article presented existing historical, archaeological, architectural and linguistic material about Chakvinji Castle, which we have newly deciphered and the present condition of Chakvinji Castle, which is very deplorable and in urgent need of conservation and restoration.

# ერთი ციხესიმაგრის ისტორიისათვის სამეგრელოში (ჭაქვინჯის ციხე)

იოსებ შენგელია

(სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8004>  
[iosebshengelia94@gmail.com](mailto:iosebshengelia94@gmail.com) || ORCID: [0009-0008-5266-0752](https://orcid.org/0009-0008-5266-0752)

## შესავალი

სტატიაში განხილულია სამეგრელოში, ზუგდიდის რაიონ სოფელ ჯიხაშკარის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ციხესიმაგრე, რომელიც წერილობით წყაროებში ჭაქვინჯის ციხის სახელითაა ცნობილი. აღნიშნული ციხე სამეგრელოს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სიმაგრეს წარმოადგენდა, აქ ჰქონდათ სასახლე და რეზიდენცია სამეგრელოს მთავრებს - დადიანებს.

საქართველოს მოსახლეობა ოდითგანვე ხეობებზე იყო განლაგებული და ამ გარემოებამ თავის დროზე გარკვეული გავლენა მოახდინა საქართველოს ადმინისტრაციულ დაყოფაზე (ჯავახიშვილი 1913:258). ჭაქვინჯის ციხე მდინარე ჭანისწყლის ხეობის ერთ-ერთ გამორჩეული ძეგლია, რომელიც ამ ხეობის დაცვის საქმეში დიდ როლს თამაშობდა. მისი ისტორიაც, ამ ხეობაში არსებულ სხვა ძეგლებთან ერთად, საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ სადისერტაციო თემის ფარგლებში საფუძვლიანად შევისწავლეთ აღნიშნული ხეობა, რომელიც, ვიქრობთ, გარკვეულ დახმარებას გაუწევს სამეგრელოს და, ზოგადად, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

## 1. ჯიხაშკარის თემი და მისი დემოგრაფიული სურათი

ჯიხაშკარის თემი მდებარეობს ოდიშის პლატოზე, მდ. ჭანისწყლის ხეობაში, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაონების საზღვრებთან. ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მას ესაზღვრება ობუჯი და ჯადირა (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი), დასავლეთით და ჩრდილო დასავლეთით სოფლები ყულიშკარი და ჭაქვინჯი (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). თემის ტერიტორია მოიცავს 19,68 კვ. კმ. და მდებარეობს ზღვის დონიდან 150 მეტრზე. თემი ზუგდიდიდან 16 კილომეტრითაა დაშორებული და მასში შედის ორი სოფელი: ჯიხაშკარი და ფალაზონი. 1920-იან წლებამდე ჯიხაშკარი და ჭაქვინჯი ერთი

სოფელი იყო. 1920-იან წლებში მათი გაყოფით წარმოიშვა ორი სოფელი, ჭაქვინჯი და ჯიხაშკარი. სოფლის ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ ჭაქვინჯის ციხე ჯიხაშკარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა (ზუგდიდი, 2016:248).

1867 წლის აღწერით სოფელ ჭაქვინჯში ცხოვრობდა სამეგრელოს მთავრის ნაყმევი 252 კომლი გლეხი. მოჯალაბე გლეხი 29 კომლი (ზსიემ 9332. დკ. 8299).

1886 წლის კამერალური აღწერის მასალების მიხედვით კი სოფელში სულ ირიცხებოდა 507 კომლი: 1334 კაცი და 1272 ქალი. ჯამში 2606 ადამიანი (ზსიემ 19139, დკ 8107).

1996 წლის 5 აგვისტოს მონაცემებით, ჯიხაშკარში ცხოვრობდა 99 გვარის 595 კომლი. 2002 წელს ჯიხაშკარის თემის საკრებულოში აღირიცხა 2368 მუდმივი მაცხოვრებელი: 1170 კაცი და 1198 ქალი (ცხადია 2007:390).

ჯიხაშკარი მთავორიანი სოფელია. სოფლის ტერიტორიაზე ჭაქვინჯის ციხის გარდა მდებარეობს შვიდი ნაეკლესიარი, ძველი აკლდამა და სხვა არქეოლოგიური ძეგლები.

## 2. ჭაქვინჯის ეტიმოლოგია

ტოპონიმ ჭაქვინჯის ეტიმოლოგია ბოლომდე გარკვეული არაა. ო. ქობალია მეგრულ ლექსიკონში ჭაქვინჯს განმარტავს, როგორც *ჭის ფსკერს* (ქობალია 2010:707). ზოგან ჭაქვინჯი განმარტებულია, როგორც *ჭანთა ნაფუძარი*, *ჭანთა ქველა ციხე*. მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გურძემში ფიქსირდება ტოპონიმი „ჭანურქვინჯი“ (კეკელია 2023:156). მარი ბროსე წერს: „მე მინახავს ამ ციხესიმაგრის ქართულად დაწერილი სახელი „ჭაქშა“, უკეთ „ჭაქშას ციხე“. ეს სახელწოდება ნიშნავს „ქვიშის ჭის ციხე-სიმაგრეს“ (ბროსე 2011:56). კეკელიას მოსაზრებით, თუკი დავუშვებთ, რომ ჭაქვინჯის უწინდელი ფორმა ჭანურქვინჯი ან ჭანირქვინჯი იყო, მაშინ შესაძლებელია სოფლის სახელწოდება მეტაფორულ ორთოგრაფიულ ნომენად მივიჩნიოთ, კონუსის ფორმის თავწაჭრილ ქვაბთან გეოგრაფიული ობიექტის მიმსგავსებით წარმოქმნილი (კეკელია 2023:156).

სიტყვა ქვინჯი ფიგურირებს სამეგრელოში დაფიქსირებულ რამდენიმე ტოპონიმშიც. მაგალითად, **ქვაბ(ი)ქვინჯი**, **ქვაბიშქვინჯი** და სხვა (კეკელია 2008: 62). წარწერის ტექსტის მიხედვით ლევან II დადიანს ჭაქვინჯს დაუსახლება გომართია შენგელია, რომელსაც ლევან II დადიანის ცოლის ნესტან-დარეჯანის

სულის საოხად ყოველწლიურად სააღაპე ბეგარა ჰქონია დაკისრებული. ჭაქვინჯი როგორც ადმინისტრაციული ერთეული ჭაქვითი ფორმით იხსენიება 1646 წლით დათარიღებულ ღვთისმშობლის ხატის წარწერაში. ხატი 1646 წელსაა დამზადებული, მაგრამ ალაპი ლევან II დადიანს 1642 წელს განუწესებია. დადიანს ეს ხატი შეუწირავს სოფ. ტარხულში მდებარე ლიპარტიანის სასახლის კარის ეკლესიისთვის. ჩვენთვის უცნობი მიზეზით, ეს ხატი შემდეგ მარტვილის მონასტრის საკუთრება გამხდარა (თაყაიშვილი 2017:58-60).

აკადემიკოსი შოთა მესხია გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ჭაქვინჯი დამახინჯებული ჯიხაქუჯია. მეცნიერი ამ სახელწოდებას უკავშირებდა ეგრისის მმართველის ქუჯის სახელს და თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მოჰყავდა არგვეთელი მთავრების „დავით და კონსტანტინეს მარტვილობის“ XIII-XIV საუკუნეების ხელნაწერი: „ესე განაჩინა მძღაგრმან (მურმან ერუმ) მათთვის და თვთ აღიძრა და დაბანაკდა ქალაქსა ჯიხანქვიჯისა ქუე ყანასა სამეგრელოსა სანახებსა ჭყონდიდისასა“. შ. მესხიას აზრით, ქართულ წყაროებში ცნობილი ციხე-გოჯი დღევანდელი ნოქალაქევიან კი არ უნდა იყოს გაიგივებული, არამედ ჭაქვინჯთან. სწორედ ეს ციხე-სიმაგრე წარმოადგენდა ეგრისის სამეფოს ცენტრს ელინისტურ ხანაში (მესხია 1983:66). თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, გამოდის, რომ ჭაქვინჯი დღეს ჩვენს ხელთ არსებულ წერილობით წყაროებში XIII-XIV საუკუნიდან იხსენიება (ჭითანავა 2010:81). დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში ასახული ამბები VIII საუკუნეს განეკუთვნება. თუ ამ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში მოხსენიებული ჯიხანქუჯი თანამედროვე ჭაქვინჯია, მაშინ გამოდის რომ ამ პერიოდში აქ უკვე დიდი ციხე მდგარა. ამას ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემებიც.

### 3. ჭაქვინჯის ციხის გეოგრაფიული მდებარეობა, არქიტექტურა და არქეოლოგიური შესწავლა


ზუგდიდის რაიონ სოფელ ჯიხაშკარში მდებარე ჭაქვინჯის ციხის არქეოლოგიური შესწავლა და არქიტექტურულ ნაგებობათა ფიქსაცია დაიწყო 1968-1969 წლებში. პირველი წლის ექსპედიციის ხანგრძლივობა 45 დღით შემოიფარგლა, მეორე წლისა კი 30 დღით. არქეოლოგიური მონაპოვარი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და სამ პერიოდად იყოფა: პირველი პერიოდის მასალა ადრე ფეოდალური ხანისაა, მეორე - შუა ფეოდალურის, მესამე კი - გვიანფეოდალური ხანისა (მურღულია 2022:186).

ციხის არქეოლოგიური შესწავლა XXI საუკუნეში, 2019 წელს განახლდა არქეოლოგიის დოქტორ ნიკო მურდულიას ხელმძღვანელობით. სამომავლოდ დაგეგმილია ფართო მასშტაბიანი გათხრების ჩატარება და ციხისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დეტალური შესწავლა.

ჭაქვინჯის ციხის ციტადელი მთის წვერზე დგას, მისი კედლები მთის რელიეფურ ფორმას ეხამება, ამიტომ გეგმის ხაზი ტეხილია საკმაოდ რთული მოხვევებით. მოხაზულობა გრძელი და ოვალს მიახლოებული.



ფოტო 1: ჭაქვინჯის ციხე



ფოტო 2: ციხის ნახაზი



ფოტო 3: ჭაქვინჯის ციხის ციტადელი

ციხის ციტადელის სიგრძე ას მეტრამდეა, ხოლო სიგანე საშუალოდ ოცდაათი მეტრია. ციხის გალავანი ყოველ მხარეს მაღალია, მაგრამ სხვამხრივ, გადაწყვეტაში საკმაოდ დიდი განსხვავებაა. ციხის ერთი ფრონტი, ის მხარე, რომელიც სამხრეთით, ქვეყნის შიგნისაკენ იცქირება, კოშკების გარეშეა,

მხოლოდ გალავანია. მოპირდაპირე მხარე, ანუ ჩრდილოეთის ფრონტი, კავკასიის მთებს გაჰყურებს და იგი კომპეგებითაა აღჭურვილი. ერთი კომპეგ ადმოსავლეთითაა. კომპეგები ოთხკუთხა ფორმისაა და სამ-ოთხ სართულიანია (ზაქარაია 1980:10-18).

ციტადელის ეზოს გათხრების შემდეგ გამოჩნდა ეკლესია, პალატი და ნაგებობათა საძირკვლები. ჭაქვინჯის სიმაგრის მეორე მონაკვეთი, რომელსაც ქვედა ციხეს ვეძახით, ციტადელს ჩრდილო დასავლეთით ეკვრის და ძალიანაა დაზიანებული. სამწუხაროდ, გალავანი ისეა აღგვილი მიწის ზედაპირისაგან, რომ ყველგან კვალის დადგენაც კი ვერ ხერხდება.



ფოტო 4: ქვედა ციხის გალავნის ნაშთები

ფოტო 5: ციტადელიდან ჩამომავალი გვირაბი

ქვედა ციხის საერთო ფართობი სამი ჰექტარია. აქ ამჟამად ასეთი სურათია: ქვედა ციხის ტერიტორიაზე მდებარეობს ორი ნაგებობა, ერთი მათგანი კომპეგია, რომელშიც ციტადელიდან ჩამოდის ტრაპეციულად გადახურული გვირაბი. ციტადელის შესასვლელთან მცირე ფართობი კედლებით შემოუფარგლავთ და შიგ ჩაურთავთ გვირაბში ჩასასვლელიც. დაცვის თვალსაზრისით კედლების ერთი ხაზით შემოუფარგვლა დამაკმაყოფილებლად არ ჩაუთვლიათ და გარე კედლების გაგრძელებით კიდევ ერთი მცირე ეზო შეუქმნიათ. გარე, ქვედა ციხის გალავნის აღების შემდეგ, მტერს კიდევ ექნებოდა გადასალახი ორი მცირე ეზოს ტერიტორია ვიდრე ციტადელის კარებს მიაღებოდა.

პარმენ ზაქარაიას მოსაზრებით აქ ციხე გაჩნდა ეგრის (ლაზიკის) სამეფოს საწყის და იმავე დროს ძლიერების ხანაში. ციხესიმაგრის ციხე-დარბაზად გადაქცევა უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც ააგეს პალატი. ეს უნდა ყოფილიყო დაახლოებით IX-X საუკუნეში. მომდევნო პერიოდის

მასშტაბური სამუშაოები აქ ჩატარებულა მაშინ, როდესაც გაჩნდა ჩრდილოეთით მდებარე ქვედა ციხე, რომლის ფართობი სამ ჰექტრამდეა. იმავე ეპოქაში ჩანს ზედა ციხეშიც დიდი მშენებლობა, კოშკების აგება და ძველის გადაკეთება. ასეთი დიდი მასშტაბის ახალი მშენებლობა და ციხის გაფართოება უნდა მომხდარიყო ქვეყანაში საშიშროების გაზრდის დროს. ეტყობა საჭირო გამხდარა ისეთი დიდი ციხის აგება, სადაც მტრის შემოსევისას მოსახლეობის ნაწილი მაინც შეაფარებდა თავს. ამ მშენებლობის თავისებურებები XV-XVI საუკუნეზე მიუთითებს. ეს უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მეზობლად ისეთი მეტად აგრესიული მტრის გაჩენასთან, როგორც იყო ოსმალეთი (ზაქარაია 1980:11).

#### 4. ჭაქვინჯის ციხის ისტორიული როლი (დასავლეთ) საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

ჭაქვინჯის ციხეს, მასშტაბებისა და მდებარეობის მიხედვით, შუაფეოდალურ ხანაში ოდიშის ვერცერთი ციხე ვერ შეედრება და ამდენად იგი სამეგრელოს ყველაზე ძლიერ სიმაგრეს წარმოადგენდა. ციხე მდებარეობს შუაფეოდალური ხანის ოდიშის საერისთავოს ყველაზე დაწინაურებულ კუთხეში. ციხის მიმდებარედ იყო დადიანთა სასახლე და ეკლესია, რომელიც თავის დროზე ალბათ ერისთავთა კარის ეკლესიაც იყო. ციხის მიმდებარედ მდგარ სასახლეში 1813 წლის 26 იანვარს დაიბადა სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი (მეუნარგია 1939:12).

ისტორიკოსი თამაზ ბერაძე თვლის, რომ „შუაფეოდალურ ხანაში ჭაქვინჯის ციხე-სიმაგრეს ვერც სიდიდისა და ვერც სიძლიერის მიხედვით ოდიშის საერისთავოს ვერცერთი ნაგებობა ვერ შეედრება, ამიტომ ოდიშის საერისთავოს ცენტრი სწორედ აქ არის საძებნი. მით უფრო, რომ ჭაქვინჯში თავს იყრიდა სვანეთიდან და აფხაზეთიდან მომავალი უმნიშვნელოვანესი გზები” (ბერაძე 1967:181).

ოდიშის საერისთავოს ცენტრს ჭაქვინჯში მოიაზრებს ისტორიკოსი ავთო თორდიაძე. „ჭაქვინჯის ციხე რომ უნდა ყოფილიყო ოდიშის საერისთავოს ცენტრი, (ეს გარემოება) პირველად აღნიშნა თ. ბერაძემ. ის წერს: ჭაქვინჯის ციხე ყველაზე დიდი, ყველაზე ძლიერი სიმაგრეა შუაფეოდალური ხანის ოდიშში, ამ ეპოქის სხვა სიმაგრეები მას ვერ შეედრებიან. მის ცენტრობაზე მიგვანიშნებს აგრეთვე ის, რომ:



1. სამეგრელოს ტერიტორიაზე, განსხვავებით ადრე შუასაუკუნეებისა, ქვეყნის ცენტრი ტეხურის ხეობაშია (ჯიხა-ქვინჯი დღ. ნოქალაქევი და მის გარშემო მდებარე მნიშვნელოვანი ძეგლებით; შხევის, აბელათის ონოგურისის, კოტიანეთის, სენაკის ციხეებით, ნოჯიხევის და ნაჯახოს კომპლექსებით). განვითარებულ შუასაუკუნეებში კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხობისწყლის აუზი, გამორჩევით იძენს ჭანისწყლის ხეობა, რომელიც ენგურსა და ტეხურს შორის მდებარე „ქვეყნის“ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ცენტრსაც წარმოადგენს. ამ პერიოდის (IX-XIV ს.ს) სამეგრელოს ტერიტორიაზე. მატერიალური კულტურის ძეგლებით ის ყველაზე მდიდარია (სკურის ბაზილიკა, მონასტერი და ციხე-დარბაზი, ჯგალის ციხეები, წალენჯიხის მონასტერი და და ციხე ობუჯის მონასტერი და ციხე ხიბულას მონასტერი და ციხე, ხობის მონასტერი და ციხე და ბოლოს ჭაქვინჯის დიდი ციხე-დარბაზი).
2. ოდიშის ერისთავებს, შემდეგ მთავრებს (დადიანები], აქვე მდებარე მონასტრებში (ობუჯი, ხობი, წალენჯიხა) ჰქონდათ საგვარეულო საძეგლე.
3. ჭაქვინჯი (ოდიში) იმ დროს უმნიშვნელოვანეს გზასაყარზე მდებარეობდა, აქ გადიოდა ცნობილი შუა სამეგრელოს გზა („შქა სამარგალოშ შარა“), სადაც თავს იყრიდნენ ცხუმისკენ, ქუთაისისკენ, სვანეთისკენ მიმავალი გზები და ის ასეთი მოხერხებული მდებარეობის გამო ძალიან დიდ ფართობს უწევდა კონტროლს.
4. ციხე IV-V სს-დან ფუნქციონირებდა, როგორც სტრატეგიული დანიშნულების სიმაგრე” (თორდია 2012:75).

ჭაქვინჯში ოდიშის საერისთაოს ცენტრის არსებობას თითქოსდა ამტკიცებს ვახუშტის ცნობა, რომელიც ვრცლად წერს მეფე ვახტან V-ის მიერ 1661 წელს ჯერ იმერეთში, შემდეგ კი ოდიშში ლაშქრობის შესახებ: „შემდგომად ჩავიდა მეფე ოდიშს, ვერ წინააღუდგა დადიანი და ივლტოდა სვანეთს. ხოლო ბრძანებითა მეფისათა შეუჩინა ლაშხისშვილმან ხოსიამ კაცი, და მოკლეს დადიანი იქ. მაშინ მეფემან მოტყვევნა ოდიში და აიღო ციხენი. მერე მოადგა ჭაქვითს ციხესა შინა მყოფს ცოლშვილსა დადიანისასა. მცირედ ხანსა შინა გამოიყვანა იგინი და გამოიღო საჭურჭლენი მრავალნი დადიანისანი და ჰპოვა იქ ხატი ოქონისა, რომელიც დარჩა მეფესა სვიმონს” (ვახუშტი 1970:450).

ვახუშტი ბატონიშვილის მონათხრობიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს ციხე განძის სამალავიც ყოფილა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭაქვინჯის ციხე თავისი მდებარეობითა და მასშტაბებით სამეგრელოს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სიმაგრეს წარმოადგენდა. მთებში მოქცეული ციხე მიუვალობასთან ერთად იმითაც გამოირჩეოდა, რომ ძალიან დიდ მანძილს ზვერადა და აკონტროლებდა. თანაც ლოგიკურია, რომ დადიანი ცოლ-შვილს და განძს ყველაზე დაცულ და ძნელად ასაღებ ციხეში გადაამალავდა.

ჭაქვინჯის ციხე იხსენიება 1640 წელს ლევან II დადიანის დაკვეთით დამზადებულ წმინდა ნიკოლოზის ხატის წარწერაში.




ფოტო 6: წმ. ნიკოლოზის ხატი

ხატის წარწერის მიხედვით, იგი ნესტან-დარეჯნის ცოდვათა შენდობისათვის დაუმზადებიათ ლევან II დადიანის დაკვეთით და ჭაქვინჯის ციხეში დაუბრძანებიათ. ხატის უკანა მხარეს არსებული წარწერიდანვე ვიგებთ, რომ მისთვის შეუწირავთ ვინმე დათვია ჩადარანისძე, რომელსაც სააღაპე ბეგარად ჰქონია ერთის საკლავის ფასი, თევზი, ორი გუდა ღვინო და ერთი ქილა ღომი.

ეს ყველაფერი მას ქრისტეშობის თვის ექვს რიცხვში უნდა მოეტანა და ნესტან-დარეჯნის სულის საოხად მშიერებისთვის და გლახაკებისთვის უნდა დაერიგებინა (ქორდანი 2018:455).

ჭაქვინჯის წმინდა ნიკოლოზის ხატი სამეგრელოსა და აფხაზეთში მოგზაურობის დროს ნახა მარი ბროსემ, ხატზე არსებული წარწერაც პირველად სწორედ მან გაშიფრა.



ფოტო 7: წმ. ნიკოლოზის ხატის წარწერა

მარი ბროსეს მიერ გადმოწერილი ტექსტი შემდეგნაირად იკითხება:

„წმიდისა მიერ სულისა საშობებან წმიდა იქმენ, და საღმრთოსა მიერ მადლისა მირონ ქალაქისა მღვდელმთავარ იქმენ, და ყოველი სოფელი განანათლე და განაკვირვე სასწაულთა და საკვირველებათა შენთა მიერ, მართლმადიდებლობისა-თვის იღვაწე, არიოზ სირცხვილეულ ჰყავ და სარწმუნოება დაამტკიცე. თვითმპყრობელსა კოსტანტინეს წარმოუდგე, და უბრალონი სიკვდილისაგან იხსენ: მიყოვლად ტკბილო

და საწადელო მამო, საკვირველთ მოქმედო და დიდებულო ნიკოლოზ, მიითვალე გულისმოდგინება ჩვენი, და შეიწყალე, და იხსენ ცოდვათა მისთა-გან თანა-მეცხედრე ჩვენი კურთხეული დედოფალი ნესტან-დარეჯან, რამეთუ მოვაჭედინეთ ჩვენ დადიან-მან ბატონ-მან ლევან ხატი ესე წმიდის ნიკოლოზისა და შევაძვევით თვლითა და მარგალიტითა მის კურთხეულისა სულისა სახსრად, და დავასვენეთ საყდარსა ჭაქვიშას ციხესა შიგან, და შევსწირეთ ერთი მოსახლე, და თვთ ჩაღარანიძე, მისის ცოლ-შულითა და მისის ყოვლის-ფერითა და მართებს სააღაპო, ერთი საკლავის ფასი თევზი, ორი გუდა ღუნო, ერთი ქილა ღომი, ამას გარდა მოიტანდეს ექვსსა ქრისტეს-შობის თევსა, წმიდის ნიკოლოზის დღეობასა აღაპსა იქმოდენ, და მშიერსა და გლახაკსა აჭმევდინ. იმ დღეს კანდალაკი ჟამსა სწირავდეს, კურთხეულის დედოფლის ბატონის ნესტან-დარეჯანის სულის სახსრად და საოხად: აწ ესე ჩვენ-გან შეწირული და გაჩენილი აღაპი რა-მანცა ადამის ნათესავ-მან ეს მოშალოს, რისხავს ღმერთი მამა, ძე და სული წმიდა, შემცაედების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაენისი, მების-ტება დიოსკორესი, დანთქმა დათან და აბირონისი, ამათ-თანამცა არის ნაწილი სახსენებელი და საუკუნი მათი. ქკსა. სამ ას ოც და რვას.“ (ბროსე 2011:56-56).

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ ჭაქვიშის წმინდა ნიკოლოზის ხატზე შესრულებული წარწერა და ვინაიდან ჩვენი წაკითხვა განსხვავდება მარი ბროსეს წაკითხვისაგან, სტატიაში მოგვაქვს წაკითხვის ჩვენეული ვერსია:

„ქ: წმიდისა: მიერ: სულისა: სიშოთაგან წმიდა იქმენ: და: საღმრთო-ს: მი  
ერ: მადლისა: ძირონ: ქალაქისა: მდღელთ: მთავარ: იქმენ: და: ყოველ  
ი: სოფელი: განანათლე: და: გახაკვირვე: სასწაულთა: და: საკვირვე  
ლებათა: შენითა: მიერ: მართლ: მადიდებლო-ბისათვის: და: დაი  
ღვაწე: არიო-ზ: სირცხვილეულ: ჰყავ: და: სარწმუნობა: დამ  
ტკიცე: თვით: მპურობელსა: კოსტანტინეს: წარმოუდგე: და: უბრა  
ლონი: სიკუდილისაგან: იხსენ: იგი: ყოვლად: ტკბილო: და:  
საწადელო: მამო: საკვირველთ: მოქმედო: და: დიდებულო: ნიკო  
ლოზ: მიითვალე: გულისა: მოდგინება: ჩვენი: და: შეიწყალე: და  
იხსენ: ცოდვათა: მისთაგან: თანა მეცხედრე: ჩვენი: კურთხ  
ეული: დედოფალი: ნესტანდარეჯან: რათა: მოვაჭედინე  
თ: ჩვენ: დადიანმან: ბატონმან: ლევან: ხატი: ესე: წმიდის:  
ნიკოლოზისა: და: შევაძვევით: თვლითა: მარგალიტითა: მი  
ს: კურთხეულისა: სულისა: სახსრად: და: საოხად: და: დავასვენ  
ეთ: წმიდასა: ტაძარსა: ჭაქვიშს: ციხესა: შიგან: და შევსწირე  
ეთ: ერთი: მოსახლე: დათვია ჩაღარანიძე: მისის: ცოლ: შ  
ვილითა: და: მისის: ყოვლისფერითა: და: მართებს: სააღაპო:

*ერთის საკლავის: ფასი: თევზი: ორი: გუდა: ღვინო ერ  
თი: ქილა: ღო-მი, ამას: უნდა: მოიტანდეს: ექუსხა: ქ  
როსტისშობის: თვესა: წმიდის: ნიკოლოზო ბისა: დღესა: აღ  
აპსა: იქმო დენ: და: მშიერსა: და: გლახაკსა: აჭმევდეს: იმ: დღეს  
კანდალაკ: ჟამს: სწირევდეს: კურთხეულის: დედო-ფლის: ბატ(ო)  
ნის ნესტანდარეჯანის: სულის: სახსრად: და: საოხად: აწე ესე: ჩვე  
ნვან შეწირული: და: გაჩენილი: ალაპი: რამანცა: დამის: ნათესავმან: ეს  
მოშალს, რისხავს: ღ(მერთ), მამა: ძე: და: სული: წმიდა შემცაედების: კეთრი:  
გეზისი, შიშთვილი: იუდისი: ძრწ(ო)ლა: კაენისი: მეხისატეხა: დეოსკო  
რესი: დანთქმა დათანა: და ამირ-ნისი: ამათთანამცა: ამიის: ნაწი  
ლი სახსენებელი: და: საუკუნო: მათი: ქკსა:სამას: ოცდა: რვასა.“<sup>1</sup>*

ლევან II დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნოში დამზადებული ხატები, მათ შორის წმინდა ნიკოლოზის ხატიც, შესწავლილი აქვს ხელოვნებათმცოდნე ლეილა ხუსკივაძეს (ხუსკივაძე 1973:37-39). ასევე საგანგებო კვლევა აქვს ჩატარებული წმინდა ნიკოლოზის ხატზე დადიანების მუზეუმის თანამშრომელს ლილი ბერაიას (ბერაია 2020:23).

ხატში წმინდანის გამოსახულებას უჭირავს სასურათე არე. წმინდანის სახე შესრულებული უნდა ყოფილიყო ფერწერით, ლითონის ფუძეზე. სკულპტურული ფორმების გადმოსაცემად გამიზნული ხელოვნურად გაბერილი მოცულობის ასახვა არის მთავარი მხატვრული ხერხი, რომელსაც წმ. ნიკოლოზის ხატის ოსტატი მიმართავს (ხურციკიძე 1974:37). ხატის ზომაა 31 X 21 სმ. ხატის ცენტრალური ნაწილი წმინდანის გამოსახულებას უჭირავს. ხატის ფონი მცენარეული ორნამენტებითაა დაფარული. შარავანდედზე არის მხედრული წარწერა: **ქ. წმიდა ნიკოლოზ.** წარწერის ირგვლივ 10 სხვადასხვა ზომის და ფერის თვლებია განლაგებული, რომელთაგანაც ზოგი შელახულია. რვა მათგანი მარგალიტის თვალია, ერთი - ფირუზის. წმ. ნიკოლოზის ხატზე მხედრულით შესრულებული წარწერა მოთავსებულია ზურგზე; წარწერა შესრულებულია ჩაჭედვით; შეადგენს 28 სტრიქონს; გრაფემების სიმაღლეა 0,5-0,8 სმ; ტექსტს ახლავს განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის ბოლოს. ქარაგმის ნიშანი არ არის გამოყენებული (ბერაია 2020:86).

იოჰან გიულდენშტედტი საქართველოში 1771-1772 წწ. მოგზაურობის მასალებში იხსენიებს ჭაქვინჯის ციხეს (გიულდენშტედტი 1962:188,325). XIX

<sup>1</sup> ჩვენ ვერსიაში დაცულია სიტყვების განლაგება სტრიქონებში.

საუკუნის ოციან წლებში ციხეზე მწირ, მაგრამ გარკვეული სახის ცნობებს გვაწვდის ედუარდ აიხვალდი. მასთან ტოპონიმი **ჭაქვინჯი** „ცაქვიში“ ფორმით არის დადასტურებული. აიხვალდის მოგზაურობის დროს ციხეში მცირე გარნიზონი მდგარა. ასევე ყოფილა რამდენიმე ზარბაზანი. მოგზაურს ზუსტი ცნობა არ გააჩნია ციხის აგების თარიღზე და ზოგადად ციხის ისტორიაზე, მაგრამ გარკვეულ დასკვნებს მაინც აკეთებს და თვლის, რომ ციხე სამეგრელოს რომელიღაც წინა მთავარმა ააგო თურქების წინააღმდეგ (აიხვალდი 2005:184).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩნდა ეკლესიის ნანგრევები.



ფოტო 8: ეკლესიის ჩამონგრეული კედელი



ფოტო 9: ეკლესიის ნანგრევები

ზუგდიდის მუხეუმში დაცული 1826 წლით დათარიღებული საარქივო მასალის მიხედვით ვგებულობთ ციხის შიგნით და გარეთ მდგარი ეკლესიების შესახებ. ციხის გარეთ მდგარა წმინდა გიორგის ხის ეკლესია. რომლის მესამე მღვდელი ნიკო ავალიშვილი თურმე ასევე მსახურობდა მთავარ დადიანის კარის საყდარში. კარის საყდარში იგულისხმება ციხის ციტადელის შიგნით მდებარე ეკლესია, რომელიც წმინდა ნიკოლოზის სახელობისა ყოფილა (ზსიემ. ანაწერი 1, საქმე 4856, გვ. 18-19).

ზუგდიდის არქივში დაცული 1847 წლის 12 მარტით დათარიღებული წერილის მიხედვით ციხეში საპყრობილედ ყოფილა. წერილს სამეგრელოს მთავარ დავით დადიანს წერენ ზუბის მაზრის სოფელ უფალკარის მცხოვრები: გარდაცვლილი თავადი პატია ბერიკას ძე ჩიჩუას ქერივი და მცირეწლოვანი შვილები: „მამა ჩვენი პატია მოჰკლა ყმამან მისმა გოგისა სვანმა. მამისა ჩვენისა მკვლელი სვანი ტუსალობასა ქვეშე მყოფი ჭაქვინჯის ციხიდან განვლტოლვილი

ახლა სამურზაყანოში მცხოვრებს მანუჩარ კაციას ძე ჩქოტუას ყავს”. ციხეში, რომ საპყრობილედ იყო ამას ნიკო დადიანის თხზულებაში „ქართველთ ცხოვრება” ვხვდებით: „დროსა ამას განურისხდა ლეონ შარვაშიძეს ბეჟანს და შეიპყრა და პატიმარ ჰყო ციხესა შინა ჭაქვინჯისასა“ (დადიანი 1962:199).

მათე ხუბულავას ცნობითაც დგინდება ციხეში საპყრობილის არსებობა: „ზემოთ მოხსენებული დიდი ციხე, სხვათა შორის, ძველებურ დროში, (როგორც ამბობენ ადგილობრივი ღრმად მოხუცებულნი), ყოფილა, დამნაშავეთა საპყრობილედ. ძველათ, მთავრობის დროს, ქურდების გასასამართლებლად შემდეგ საშუალებას ხმარობდენ: ბრალდებულ კაცს ხელის გულზე დააფარებდნენ სამ ქალადის ნაჭერს და ჩაუდებდნენ ამ გადაფარულ ხელის გულში ცეცხლით გახურებულ შანთ-რკინას და თუ გაიხტუნებდა სამჯერ წინ, გადააგდებდა შანთ-რკინას იქით, და ხელი დაურჩებოდა დაუწველი, მაშინ გათავისუფლებული იქნებოდა ბრალისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე-ი თუ ხელი დაეწვოდა, იგი ცნობილი იქნებოდა დამნაშავეთ და დაკარგულის ფასს გადაახდევინებდნენ ერთის (დაკარგულის) მაგიერ შეიდჯერ მეტს - „შეიდუულს“ და თვით დამნაშავეთ ცნობილს დაბორკავდნენ „ხაჯალურით“ და ჩააგდებდნენ ციხეში (კვალი 1896:17). იქვე ავტორი აღწერს ციხეში არსებულ ჭასაც: „ციხის შუა ადგილას არის ჭა, რომელიც სიღრმით იქნება 40 საუენი. ჭაში გადადებულია რკინის კარი და ხაჯალულები (ბორკილები)”. როგორც პარმენ ზაქარაია განმარტავს, „ჭის თავი 1,30 მეტრის დიამეტრისაა. ჭას გვერდები მოპირკეთებული ჰქონია. იგი თითქმის ჩაცვენილია... ადგილობრივთა გადმოცემით, 30-იან წლებში ციტადელის ეზოში ჩაის პლანტაცია ჰქონიათ გაშენებული. რადგან ჭა ღია იყო, სხვა ვერაფერი მოუხერხებიათ გარდა იმისა, რომ შიგ მდგარი წყლის დასაფარად ციხის რკინის კარი ჩაუგდიათ. მათი გადმოცემით, წყალი ძალიან ღრმად ყოფილა“ (ზაქარაია 1980:24).

1866 წელს შედგენილი დოკუმენტის მიხედვით ჭაქვინჯის სამთავრო ციხე 1857 წლის სამეგრელოში ომარ ფაშას ლაშქრობის შემდეგ დაუკეციათ. ამ დროს ციხეში ყოფილა ერთი დიდი ზარბაზანი, რომელიც გამოუტანიათ ციხიდან და ჭანისწყლის ჭალაში დაუგდიათ. მეორე პატარა ზარბაზანი გორდში წაუღიათ. ციხეში არსებული მესამე პატარა ზარბაზანი ჰქონია მოურავს ძიძილალა ცხონდიას, რომლისთვისაც ჩამოურთმევიათ და მთავრის მოხელე

გიორგი შელიასთვის ჩაუბარებიათ. ციხეში ასევე დაცული ყოფილა დიდი ხაჯალური, რომელიც წაუღია გენერალ კოლუნოვს ქვაშიხორს. ციხეში დაცული ორი საკისრო ხაჯალური და სამი ხელის ბორკილიც კულიბანოვს წაუღია ქვიშორს. ციხის გაუქმების დროს იქ დაცული ყოფილა 30 ბათმანი ჩამოსხმული ტყვია და ორმოცდაორი შანთი რკინა. აქედან 35 შანთი რკინა დაუხარჯიათ ზუგდიდის სასახლის აშენების დროს, ასევე გორდში და ბუბუას ხიდის მშენებლობის დროს. ერთი შანთისგან ბორძალი გამოუჭედიათ და ილორში წაუღიათ მთავრის სალოცავად. ორი შანთი სახლთუხუცესს დავით ჩიქოვანს დაუხარჯავს ჭაქვინჯში წისქვილის გამართვაზე. ერთი შანთი მურის ეკლესიისათვის მიუციათ. ციხეში ყოფილა ორი ბედელი, რომელთაგან ერთი ხელოსანს ლუკაია სიჭინავას წაუღია თავის სახლში, მეორე ბედელიც ლუკაიას ჰქონია. ციხის შიგნით მდგარი ორი ხულაც გაუყიდიათ. პირველი 5 მანეთად და მეორე 4 მანეთად. ეს ფულები ხელოსან ბიტულია შენგელიას აუღია და ჩაუბარებია ლუკაიასთვის. ციხის ტერიტორიაზე ყოფილა ორი სახლი. რომელთაგან ერთი ცხონდიას უყიდა 3 მან. და 50 კაბიკად. მეორე კი ძალიან დამპალი ყოფილა და ლუკაია სიჭინავას წაუღია. დაკეცვის დროს ციხის შიგნით მიწაში ჩაფლული ყოფილა 20 თავი ჭური. ციხის მიმდებარედ კი ყოფილა მარანი 120 თავი ჭურით. ციხეში დაცული ყოფილა დიდი საარყე ქვაბიც. ასევე ორი სპილენძის ქვაბი და ერთი ზოდი გრძლად ჩამოსხმული ტყვია, რომელიც 1866 წლისთვის ყმა შეუკოჩია ხაცავასთან ყოფილა დაცული (ზსიემ 19207, დკ. 8174).

ჭაქვინჯის ციხეს იხსენიებს გიორგი ჩიჩუა 1894 წელს ივერიაში გამოქვეყნებულ წერილში: „ამ გორების მახლობლად არის ერთი ძველი ციხე, რომელსაც მეგრელები უძახიან ჭაქვინჯის ციხეს და მის ქვემოთ მიმავალ მდინარეს ჭანისწყალს. ეს სახელი უნდა მიეღო ამ ციხეს და ამ მდინარეს ჭანებისაგან. ჭანებს უძახიან მეგრელები ლაზებს, და როგორც გვითხრეს ეს ციხე დიდხანს სჭერიათ ლაზებს... ამ ციხეში ხშირად იფარავდა თავს მოელი ეს მხარე და თვით მთავარიც თავის ჯარით. მთავარს ეს ციხე რომ დაენებებინა მტრისთვის დიდ საშიშროებაში ჩავარდებოდა” (ივერია 1894:14).



## 5. ციხის მულტიდისციპლინური კვლევის ასპექტი (ეთნოგრაფიული მასალა)

ჩვენ მიერ წარმოებული საველე ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად ჭაქვინჯის ციხეზე ჩაწერილი იქნა მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ანგარიშგასაწევია ციხის ისტორიის შესწავლისას. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად ციხის სამხრეთ კედელში სამი გვარის კაცი ჩაუშენებიათ. არაჩემია, ჩარგაზია და ხაცავა. სხვა ლეგენდის მიხედვით ერთ დროს ეს ციხე თურქებს ჰქონიათ აღებული. მათთან მისულა რამდენიმე მეგრელი, რომელთაც თურქებისთვის უთქვამთ, რომ დღეს მათთვის მნიშვნელოვანი დღესასწაულია და უთხოვიათ ციხეში მდებარე სალოცავში შეშვება. თურქები ამაზე დათანხმებულან, შეუშვიათ რამდენიმე მამაკაცი, რომელთაც ციხეში შესვლისთანავე უშიშვლიათ კაბაში დამალული ხმლები და ციხის კარები გაუღიათ. ამ დროს ქვემოთ მდგომი ჯარიც დაძრულა შესულა ციხეში და ციხე ისევ მეგრელებს დაუბრუნებიათ.

ჭაქვინჯში აზნაურები იყვნენ ცხონდიები, ზარანდიები კი ცხონდიების ყმები იყვნენ. ლეგენდის თანახმად ზარანდიას შეჰყვარებია ცხონდიას ქალი. ზარანდია ჭაქვინჯის ციხეში დაუმწყვდევიათ. ზარანდიასთვის თავისიანებს მალულად ხარის ტყავი შეუგზავნიათ. ტყავში ამოჭრილი ყოფილა ხელის და ფეხის ჩასადები ადგილები. ზარანდია ამ ტყავით გადმომხტარა ციხიდან და ციხიდან გაქცევის შემდეგ აფხაზეთისთვის შეუფარებია თავი. როგორც ადგილობრივები გადმოგვცემენ, მისი შთამომავლები დღესაც აფხაზეთში ცხოვრობენ.


## 6. ციხის თანამედროვე მდგომარეობა და რეაბილიტაციის აუცილებლობა

ციხის თანამედროვე მდგომარეობა მეტად სავალალოა, ის სასწრაფო კონსერვაცია-რესტავრაციას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ჭაქვინჯის ციხეს 2012 წელს სახელმწიფო მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, მის გადასარჩენად დღემდე არავითარი ქმედითი ღონისძიებები არ გატარებულა. ციხის შემორჩენილი სამი კოშკიდან (მეოთხე კოშკი დაახლოებით 40-50 წლის წინ დაინგრა) შუა კოშკი ორივე მხარეს მთელ სიგრძეზე გაბზარულია და ქვები ცვივა. ბზარი იმდენად დიდია, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება კოშკი შუაზე

გაიხლიჩოს და მთლიანად ჩამოინგრეს. საბჭოთა დროს ციხის საძირკველიდან კირის მოპოვების მიზნით გამოჰქონდათ მიწა, ამან გალავანს საძირკველი გამოაცალა და შეიძლება ითქვას, რომ გალავნის ნაწილი ჰაერშია, რომლის ნაწილებიც დრო და დრო ინგრევა და ხრამში ცვივა. შემორჩენილი ნაწილიც საძირკველის არქონის გამო გადახრილია ხრამის მხარეს. რამდენიმე წლის წინ ჩამოინგრა ნაეკლესიარის მიმდებარე ტერიტორია, რომელსაც ასევე საძირკველი გამოცლილი აქვს. ციხის გადასარჩენად აუცილებელია მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიური შესწავლა და შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნების მიხედვით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.



ფოტო 10: შუა კოშკის ჩამონგრეული კედელი



ფოტო 11: შუა კოშკის ბზარი

პირველ ეტაპზე აუცილებელია საძირკველგამოცლილი კედლებისთვის საყრდენების გაკეთება, სუროშემოვლებული კედლების გაწმენდა და სხვა. კონსერვაციის შემდეგ უნდა დაიწყოს სამუშაოების მეორე ეტაპი და მოხდეს ძეგლის პირვანდელი სახით აღდგენა.

### დასკვნა

ჭაქვინჯის ციხე სამეგრელოში გამორჩეულ თავდაცვის ობიექტს წარმოადგენდა. ამ ციხის ისტორია შორეულ წარსულში იღებს სათავეს. იგი მრავალი საუკუნის მანძილზე მტკიცედ იდგა ქვეყნის სადარაჯოზე, სანამ 1857 წელს არ მოხდა მისი დაკეტვა. ფეოდალურ ხანაში აქ მდებარეობდა ოდიშის საერისთავოს ცენტრი, დადიანების სასახლე და რეზიდენცია. რაც თავის მხრივ განპირობებული იყო ციხის სტრატეგიული მდებარეობით. ციხეზე არსებული

წერილობითი წყაროების, საარქივო დოკუმენტებისა და ჩვენს მიერ ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების შეჯერების შედეგად შევეცადეთ თვალნათლივ წარმოგვეჩინა ჭაქვინჯის ციხის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **აიხვალდი 2005:** ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. (XIX საუკუნის პირველი მესამედი) გერმანულიდან თარგმნა გია გელაშვილმა. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
2. **ვახუშტი 1973:** ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსი საქართველოსა, გამომცემლობა „საბჭ. საქართველო“, თბილისი.
1. **ბერაია 2020:** ლილი ბერაია, დადიანების სასახლეების საგანძური, გამომცემლობა „სტამბა ფავორიტი სტილი“, თბილისი.
2. **ბერაძე 1967:** ბერაძე თამაზ, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.), სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.
3. **ბროსე 2011:** მარი ბროსე, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი.
4. **გიულდენშტედტი 1962:** იოჰან გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, გამომცემლობა „საქ. სსრ მეცნ. აკადემია“, თბილისი.
5. **დადიანი 1962:** ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გამომცემლობა „საქ. სსრ მეცნ. აკადემია“, თბილისი.
6. **კვარაცხელია 2015:** ვახტანგ კვარაცხელია, ზუგდიდი წარსული და თანამედროვეობა, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი.
7. **ზაქარაია 1980:** პარმენ ზაქარაია, ჭაქვინჯა (ციხე-სიმაგრე), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
8. **თაყაიშვილი 2017:** ექვთიმე თაყაიშვილი, თხზულებანი, ტ. 4, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
9. **თორდია 2012:** ავთანდილ თორდია, სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ოდიში, ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. V. თბილისი.

10. **კეკელია 2008:** იგორ კეკელია, მარტვილის რჩეული გეოგრაფიული სახელწოდებანი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
11. **კეკელია 2018:** იგორ კეკელია, სამეგრელო ედუარდ აიხვალდის სამოგზაურო ჩანაწერებში, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
12. **კეკელია 2023:** იგორ კეკელია, სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
13. **მესხია 1983:** შოთა მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, გამომცემლობა „საქსსრ მეცნ. აკადემია“, თბილისი.
14. **მურღულია 2023:** ნიკო მურღულია, ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, გამომცემლობა „სტამბა ფავორიტი სტილი“, თბილისი.
15. **ჟორდანიას 2018:** თედო ჟორდანიას, ქრონიკები. ტ. II, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
16. **ქობალია 2010:** ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
17. **ჭითანავა 2010:** დავით ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვის ნაგებობები სამეგრელოში, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი.
18. **ხუსკივაძე 1974:** ლეილა ხუსკივაძე, ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო (ნარკვევები XVII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
19. გაზეთი „ივერია“, 1894 წ. 14.
20. გაზეთ „კვალი“, 1896 წ. 17.
21. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ანაწერი 1, საქმე 4856.
22. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 19207, დკ. 8174.
23. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 19332. დკ. 8299.
24. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 19139, დკ. 8107.

**თანდართული ფოტოების სია**

| ფოტოს ნომერი                           | წყარო                     |
|--|---------------------------|
| ფოტო 1: ჭაქვინჯის ციხე                 | ნიკო მურდულიას ფოტო       |
| ფოტო 2: ციხის ნახაზი                   | პარმენ ზაქარაიას წიგნიდან |
| ფოტო 3: ჭაქვინჯის ციხის ციტადელი       | ნიკო მურდულიას ფოტო       |
| ფოტო 4: ქვედა ციხის გალავნის ნაშთები   | იოსებ შენგელიას ფოტო      |
| ფოტო 5: ციტადელიდან ჩამომავალი გვირაბი | იოსებ შენგელიას ფოტო      |
| ფოტო 6: წმ. ნიკოლოზის ხატი             | ლილი ბერაიას წიგნიდან     |
| ფოტო 7: წმ. ნიკოლოზის ხატის წარწერა    | მარი ბროსეს წიგნიდან      |
| ფოტო 8: ეკლესიის ჩამონგრეული კედელი    | იოსებ შენგელიას ფოტო      |
| ფოტო 9: ეკლესიის ნანგრევები            | იოსებ შენგელიას ფოტო      |
| ფოტო 10: შუა კოშკის ჩამონგრეული კედელი | იოსებ შენგელიას ფოტო      |
| ფოტო 11: შუა კოშკის ბზარი              | იოსებ შენგელიას ფოტო      |